13 მაისი. 1981

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 მაისი **პარასკევი** 2011

№ 110 (13407) ფასი 60 თეთრი




# ამ დღეს, 30 წლის წინ, საქართველო ცას ეწია




2-3

პირველი გოლი: ვლადიმერ გუცაევი




ერი ასეთი ბედნიერი, ხალხი ქუჩაში და ერთიანი, იყო სიხარული, სიყვარული იყო, ზღაპარი იყო, ზღაპარი იყო...

## ქართული ფეხბურთი

# მოდიან, მოდიან!

## დიდი სტუმრიანობა თბილისში

დღეს ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების დღეა. 30 წლის წინ თბილისის „დინამომ" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში მაშინდელი აღმოსავლეთ გერმანიის გუნდი, იენის "კარლ ცაისი" დაამარცხა და ქართული ფეხბურთის გამარჯვებათა მატიანეში უმნიშვნელოვანესი ფურცელი შეავსო.

13 მაისის აღსანიშნავად თბილისში ცნობილი ვეტერანი ფეხბურთელები ჩამოვიდნენ: უკრაინიდან **იოსებ საბო, ანდრეი ბიბა, ლეონიდ ბურიაკი,** სომხეთიდან **ხორენ ოგანესიანი,** "კარლ ცაისისა" და აღმოსავლეთ გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი **ლოთარ კურბიუვაიტი,** გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი **რაინერ მილკორაიტი** და სხვანი.

დიდი გამარჯვების აღსანიშნავად ვეტერანთა მატჩი არ დაგეგმილა, მაგრამ დღეს, 19 საათზე თბილისის საკონცერტო დარბაზში საზეიმო გალა-კონცერტი გაიმართება, რომლის ნახვა ტელეეთერით იქნება შესაძლებელი.

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, საგანგებოდ ამ დღისთვის სოჭიდან ჩამოვიდა "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი **გიორგი სიჭინავა,** რომელიც კლუბის გენერალურ დირექტორ **ზურაბ პოლოლიკაშვილს,** მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავას** და ახალი თაობის დინამოელებს შეხვდა.

**მერაბ მამულაშვილი**

### ეროვნული ნაკრები

# კალაძე კოჭმა შეაწუხა




გუშინ "ჯენოას" ვარჯიშზე **კახა კალაძემ** კოჭი გადაიბრუნა და წვრთნა ნაადრევად დაასრულა, თუმცა გენუური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩვენთვის დამაიმედებელი ინფორმაციაა გამოქვეყნებული – საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტნის ტრავმა საგანგაშო არ არის, მაგრამ საიტი იმასაც იტყობინება, რომ შესაძლოა, კახამ შაბათს "ლაციოსთან" გასამართი მატჩი გამოტოვოს.

იმედია, კალაძეს მხოლოდ ეს შეხვედრა გაუცდება, თორემ ხორვატიასთან ევროშესარჩევი დაპირისპირება კარსაა მომდგარი, საქართველოს ნაკრები კი მის გარეშე კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება. შეგახსენებთ, სპლიტში დისკვალიფიკაციის გამო **ლევან კობიაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე** ვერ ითამაშებენ, ხოლო **ალექსანდრე ამისულაშვილისა** და **ჯანო ანანიძის** დროულად მომჯობინება ჯერ კიდევ საეჭვოა.

33 წლის კალაძემ, რომელიც "ჯენოაში" ამ სეზონში გადავიდა, მიმდინარე სერია A-ში 25 მატჩი ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში კი საქართველოს ნაკრების ღირსება ყველა შეხვედრაში დაიცვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ხორვატები ბილეთების რიგში




ხორვატია-საქართველოს მატჩზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია. 3 ივნისს სპლიტის "პოლიუდზე" გასამართი შეხვედრის ცოცხლად ნახვის მინიმალური ღირებულება 6 ევროს ეკვივალენტი ხორვატიული კუნაა, ხოლო მაქსიმალური – 30 ევრო. "პოლიუდის" ტევადობა 34 200 მაყურებელია და მატჩზე სრული ანშლაგია მოსალოდნელი. სავარაუდოდ, ყველა ბილეთი თამაშამდე კარგა ხნით ადრე გაიყიდება.

აღსანიშნავია, რომ ბილეთს ქვეყნების დასახელებები ხორვატიულთან ერთად ქართულადაც აწერია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### ლეგიონერი

# მერებაშვილი და სკანდალური ფინალი

**გიორგი მერებაშვილს** პირველი სერბული ტიტულის მოპოვების შანსი ჰქონდა, მაგრამ მისი "ვოივოდინა" ქვეყნის თასის ფინალში ბელგრადის "პარტიზანთან" დამარცხდა, თანაც ისე, რომ მატჩისთვის განკუთვნილი დრო მეტოქეებს მოედანზე ბოლომდე არ გაუტარებიათ.


გიორგი მერებაშვილი (შუაში)

"პარტიზანი" მე-17 წუთზე დაწინაურდა, რის შემდეგაც "ვოივოდინა" გააქტიურდა. მე-60 წუთზე მოედანზე მერებაშვილი შეიყვანეს და ორ წუთში მისი შედეგიანი გადაცემით ნოვისადელებმა ანგარიში გაათანაბრეს. 71-ე წუთზე ბელგრადელები ისევ წინ გავიდნენ, მე-80-ზე კი ქართველი შემტევის პასით კიდევ ერთი გოლი გავიდა, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. "ვოივოდინას" მწვრთნელ-ფეხბურთელები ამ ეპიზოდამდეც გამოთქვამდნენ მსაჯობით უკმაყოფილებას, ხოლო არბიტრის ამ გადაწყვეტილებამ კლუბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აუვსო და "ვოივოდინამ" მოედანი დატოვა. მერებაშვილი და მისი თანაგუნდელები არც მატჩისშემდგომი დაჯილდოების ცერემონიალს დასწრებიან, თასის მფლობელად კი, ბუნებრივია, "პარტიზანი" გამოცხადდა.

მოგვიანებით "ვოივოდინას" მესვეურებმა ოფიციალური განცხადებით საკუთარი გადაწყვეტილების ახსნა სცადეს, თქვეს, რომ "პარტიზანს" თასი დაუმსახურებლად მიაკუთვნეს. ჯერჯერობით უცნობია, რა სასჯელს მიიღებს "ვოივოდინა" ფინალში ჩადენილი საქციელისთვის.

მერებაშვილი მომავალ სეზონში ევროპის ლიგაზე მაინც ითამაშებს, რადგან "ვოივოდინას" სერბეთის ჩემპიონატში მესამე ადგილს ველარავინ შეეცილება, თუმცა მეორეობის შანსიც აქვს – ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე "ცრვენა ზვეზდას" სამი ქულით ჩამორჩება, ჩემპიონობასთან და დუბლის შესრულებასთან კი ძალიან ახლოსაა "პარტიზანი".

**ლევან ჯანეზაშვილი**

### 30 წლის შემდეგ. ინტერვიუ ლოთარ კურბიუვაიტთან

**გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების წევრი (66 მატჩი), 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ლოთარ კურბიუვაიტი იენის "კარლ ცაისის" კაპიტანი და გუნდის ლეგენდაა. იენელთა შემადგენლობაში 13 სეზონი და 357 მატჩი ჩაატარა, მაგრამ 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის "დინამოსთან" წაგებამ მასაც აურია კარიერა და გუნდის სხვა წევრებსაც.

კარიერის დასრულების შემდეგ მენეჯერად მუშაობს, უმთავრესად, იენურ კლუბში. "კარლ ცაისის" კაპიტანი "დინამოს" მოწვევით თბილისშია და ინტერვიუც ჩამოვართვით, სადაც 13 მაისთან დაკავშირებული უცნობი ამბები მოგვითხრო.

# რა მოხდა მერე



## წაგებაზე მეტი ტკივილი, რომლის გახსენება ლოთარ კურბიუვაიტს დღესაც არ უნდა

**- მოგებას ორი მხარე აქვს, საქართველომ გაიხარა, "კარლ ცაისის" წევრები კი, როგორც ამბობენ, გდრ-ის მაშინდელმა მმართველმა ერიხ ჰონეკერმა მძიმე მდგომარეობაში ჩაგაგდოთ, ლამის კაგებეს დავალების შესრულება დაგაბრალათ.**

- სამწუხაროდ, ასე იყო. წაგებით ისედაც შეწუხებული ვიყავით და ამას ჰონეკერის და შტაზის, კომუნისტური გერმანიის უშიშროების სამსახურის წნეხი დაემატა. რატომღაც ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ კაგებედან გვქონდა მითითება, მატჩი დაგვეთმო. ეს ჩვენი გუნდის წევრებისთვის უმძიმესი წლები იყო, რადგან დიდი ტკივილი მოგვაყენეს. დიუსელდორფის ფინალის წაგების შემთხვევაშიც ბანკეტი იყო დაგეგმილი, მაგრამ გააუქმეს.

**- რეალურად რა მოხდა?**

- რა მოხდა და, იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი ევროპული გუნდი შეგვხვდა, რომელიც თასების თასის მაშინდელ გათამაშებაში ყველას ერთი თავით სჯობდა, აშკარად გამორჩეული იყო და, ცხადია, ჩვენც გვაჯობა. მაგრამ ამის გაგება არავის სურდა, არც იმის, რომ აღმოსავლეთ გერმანიის გუნდის ევროპული თასის ფინალში გასვლა უკვე დიდი წარმატება იყო, ამას ჩვენ კი არა, ბევრად უკეთესი კლუბები ვერ ახერხებდნენ. კომუნისტურ გერმანიაში ეს ვერ გაიგეს. "კარლ ცაისი" 70-იან წლებში უფრო ძლიერი იყო, მაგრამ რაც 1981 წელს შევძელით, ამის ნახევარიც ვერ მოახერხა. ესეც დაივიწყეს. ალბათ, იმიტომ, რომ მანამდე "რომასთან" სასწაული მოვახდინეთ, როდესაც იტალიაში 0:3 წაგებული მატჩის შემდეგ იენაში 4:0 გავიმარჯვეთ და მომდევნო წრეში გავედით. ამის შემდეგ გაუჩნდათ რწმენა, რომ თბილისის "დინამო" აუცილებლად უნდა დაგვემარცხებინა.

**ამხანაგი ჰონეკერი ძალიან გაბრაზდა, შტაზიმ კი იენელები გაწნეხა: თქვენ კაგებეს მითითება შეასრულეთ**

**- როგორ გახსენდებათ მაშინდელი "დინამო"?**

- წინასწარ ვიცოდით, რომ ძლიერი გუნდი იყო, რადგან მაშინ თქვენებისთვის ტიტულები და ფინალში გასვლა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ისიც ვიცოდით, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებში ბევრი წარმომადგენელი გყავდათ, თამაშისთვისაც საგანგებოდ ვემზადებოდით, მაგრამ ობიექტურად ძლიერმა "დინამომ" გვაჯობა. ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები იყვნენ, რომლებიც გუნდურადაც სწორად თამაშობდნენ, მოკლედ, ძალიან უხერხული მეტოქე შეგვხვდა. და რაც მთავარია, მაშინ გუნდს უძლიერესი მწვრთნელი ავარჯიშებდა.

ჩვენთვის ფინალი იმიტომაც იყო მძიმე, რომ ფედერაციულ გერმანიაში ვთამაშობდით, რაც ძალიან არ გვინდოდა. დიუსელდორფში ხომ "კარლ ცაისს" მხოლოდ 300 გულშემატკივარი გამოგვაყოლეს, ისიც სპეცმატარებლით.

**- ეს 300 "გულშემატკივარიც" რეალურად შტაზის თანამშრომელი იყო?**

- ვერ გეტყვით და სიმართლე გითხრათ, შტაზის გახსენებაც არ მსურს.

**- მინდა იცოდეთ, გავა წლები და ბევრი იტყვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობაში თასების თასის მოპოვებამ დიდი როლი ითამაშა, რადგან ხალხი მიხვდა, რომ ქართველს დამოუკიდებლადაც შეეძლო გამარჯვება და არა მხოლოდ ფეხბურთში.**

- სხვათა შორის, მეც მაინტერესებს: მაშინ საბჭოელებად მიიჩნევდით თავს თუ მხოლოდ ქართველობდით?

**- ქართველი ყოველთვის ცდილობდა, ქართველად დარჩენილიყო და საბჭოელად არ გადაქცეულიყო.**

- იმიტომ გკითხეთ, რომ დიუსელდორფის მატჩამდე მეგონა, რუსეთის სამხრეთის ერთ-ერთი ქალაქის გუნდს ვეთამაშებოდით. მერე გავიგე, რომ, თურმე, რუსები კი არა, სხვა ერი იყავით და რომ გერმანელებს უფრო გულშემატკივრობდით, ვიდრე რუსების ნაკრებს და კლუბებს, რაც ჩემთვის აღმოჩენა იყო.

**- ცოტა ხნის წინ "კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგაში თამაშობდა და რამდენიმე ქართველიც აიყვანეთ – გიორგი სეთურიძე, ილია კანდელაკი, რევაზ ბარაბაძე.**

- ისინი უფრო იმით დამამახსოვრდნენ, რომ ფატალურად არ უმართლებდათ და სულ ტრავმირებულები იყვნენ, მხოლოდ ილია კანდელაკი თამაშობდა, ის საკმაოდ საიმედო და მებრძოლი ფეხბურთელია.

**- "კარლ ცაისი" ამჟამად მესამე ბუნდესლიგაშია. წინ წაწევაზე არ ფიქრობთ?**

- გერმანელებს ყველაფრის დაგეგმვა გვიყვარს, დღევანდელი ბიუჯეტით კი უკეთეს ლიგაზე ვერც ვიოცნებებთ. ორი-სამი სეზონი მაინც უნდა ჩავატაროთ კარგად, სპონსორები ჩვენს პოტენციალში რომ დავარწმუნოთ, ბიუჯეტი გავზარდოთ და დაწინაურებაზე ვიფიქროთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო 81
# სიხარული და სიამაყე

დღეს 13 მაისია - ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვების თარიღი; თანაც, საიუბილეო - ზუსტად 30 წლის წინ, თბილისის „დინამომ“ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი მოიპოვა! როგორი გახარებული, ბედნიერი და ამაყი ვიყავით ყველა 1981 წლის 13 მაისის იმ ღამეს, როცა ტელეეკრანებთან მიჯაჭვულნი ვუცქერდით დინამოელთა ზეიმს დიუსელდორფის სტადიონზე; ბედნიერი ვიყავით და, ცოტა არ იყოს, კეთილი შურიც გვქონდა იმ მცირერიცხოვან თანამემამულეთა მიმართ, რომლებიც იქ, ადგილზე, დიუსელდორფის სტადიონის ტრიბუნიდან ქომაგობდნენ იმ დროისათვის თითოეული ქართველისათვის სათაყვანებელ გუნდ'ს...

... 1981 წლის 13 მაისის ღამეს არანაკლები ზეიმი თბილისში და საქართველოს, ფაქტობრივად, ყველა ქალაქსა თუ რაიონშიც იყო; მართლაც „უცნაური“ გრძნობა გვქონდა თითოეულ ჩვენგანს, — ვერაფრით გაგვერკვია, სიამაყე ჭარბობდა თუ სიხარული; თანაც, ერთიორად გვიხაროდა, რომ ეს არ ყოფილა არც შემთხვევითი წარმატება და, რაც მთავარია, არც - მოულოდნელობა! ჰო, ეს იყო ევროპული კლასის ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდის ღირსეული და, რაც მთავარია, კანონზომიერი გამარჯვება; გამარჯვება, რომლის მისაღწევადაც „დინამო“ „ნელ-ნელა“ ემზადებოდა და, ადრე თუ გვიან, ამ მართლაც ზღაპრულ თაობას საკავშირო ასპარეზზე წარმატების გარდა. საერთაშორისო დონეზეც უნდა გაებრწყინა! ამას გარდა არნახული ოპტიმიზმიც თან გვდევდა: 1981 წლის 13 მაისის ტრიუმფით ბოლომდე დამტკბარი არ ვიყავით, უკვე რომ... მომავალ აღიარებაზე ვფიქრობდით. აბა, იმ დროს როგორ წარმოვიდგენდით, რომ მომდევნო 30 წლის განმავლობაში ქართულ ფეხბურთს მსგავსი კი არა, ოდნავ მიახლოებული წარმატებაც თუ არ ექნებოდა...





## სამწვრთნელო გენია

...აშკარად „სხვა“ დრო იყო და აშკარად „სხვა“ გუნდი გვყავდა: ერთიმეორეზე უკეთესი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული და იმ დროისათვის ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს და საუკეთესო გუნდად სრულიად სამართლიანად რომ მიიჩნეოდა! ჰო, ჩვენ „დინამოში“ მართლაც ევროპული დონის ვარსკვლავები თამაშობდნენ, თანაც გუნდი ისე იყო დაბალანსებული, რომ ყველა რგოლში, სულ მცირე, ორი-სამი ლიდერი გვყავდა! აღარაფერს ვამბობთ მართლაც ლეგენდარულ მწვრთნელზე: **ნოდარ ახალკაცმა,** როგორც იტყვიან, დროს გაასწრო და „დინამო“ ისე აათამაშა, იმდროინდელი თანამედროვე ფეხბურთი როგორც მოითხოვდა. ტექნიკა და იმპროვიზაცია მანამდეც იყო ქართული ფეხბურთის „სავიზიტო ბარათი“, მაგრამ ნოდარ ახალკაცმა „დინამოს“ თამაშს სხვა, უფრო ზუსტად, აუცილებელი კომპონენტები დაამატა და ესეც ერთ-ერთი წინა პირობა იყო დიდი გამარჯვებისა. აი, ხანდახან იმდროინდელ კადრებს რომ ვუცქერთ ხოლმე, მართლაც „უცნაურად“ გვეჩვენება „დინამოს“ თამაშის მანერა. ჩვენი უსაყვარლესი გუნდის თამაშში ყველაფერი იყო: ზემოთ ნახსენები ტექნიკაც და იმპროვიზაციაც, კოლექტიური თავდაცვაც და მთელი მოედნის ტერიტორიაზე უმკაცრესი პრესინგი, შეტევაში უსწრაფესად გადასვლაც და ფლანგების მაქსიმალურად გამოყენებაც, სტანდარტული მდგომარეობებიდან მაქსიმალური სარგებლის ნახვაც და სათამაშო დისციპლინის უმკაცრესად დაცვაც; თუმცა, ყველაფერ ამასთან ერთად, არავინ არაფერში იზღუდებოდა და თითოეულ ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაც შეეძლო. ყოველივე ეს კი, ნოდარ ახალკაცის მართლაც გონივრული სელექციისა და მერე უკვე, ცალკეული რგოლებისა თუ ფეხბურთელების ურთიერთშეთამაშების შედეგიც იყო: „დინამოს“ ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა უნივერსალური თვისებებით გახლდათ დაჯილდოებული; ანუ თითქმის ყველა ფეხბურთელს, სულ მცირე, ორ-სამ სხვადასხვა პოზიციაზე ერთნაირი წარმატებით შეეძლო ასპარეზობა. ჰოდა, ნოდარ ახალკაცმაც სწორედ რომ საუკეთესო ამპლუა მოუძებნა ყველა იმ უნივერსალს და მართლაც თანამედროვე სტილში მოასპარეზე ჩვენი გუნდისთვის დაუმარცხებელი მეტოქე აღარც არსებობდა!

## ქართული მაქსიმალიზმი

... „დინამო“ ამ დიდი ტრიუმფისკენ გეგმაზომიერად მიდიოდა; საკავშირო ასპარეზზე „ბრინჯაოს“ „ვერცხლი“ ცვლიდა, „ვერცხლს“ — „ოქრო“, ამასობაში ორჯერ საბჭოთა კავშირის თასიც მოვიპოვეთ და, რაც მთავარია, საერთაშორისო ასპარეზზეც „ნელ-ნელა“ ვაოცებდით ყველას; ჯერ იტალიური „გრანდების“ შემუსვრა დავიწყეთ და „ინტერისა“ თუ „ნაპოლის“ ტიფოზები გაოგნებულები დავტოვეთ; ამას „ლივერპულის“ გაცამტვერება მოჰყვა (იმ დროისათვის და საერთოდ, 70-80-იანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კლუბისა); მაგრამ უფრო მეტისთვის ჩვენს „დინამოს“ „რაღაც“ აკლდებოდა და ნოდარ ახალკაცმაც, ცოტა არ იყოს, სარისკო და იმ დროისათვის მეტად არაერთგვაროვანი საკადრო გადაწყვეტილებები მიიღო. თუმცა, დრომ და შედეგებმა დაამტკიცა, რომ 80-იანი წლების ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის თითქმის ყველა საკადრო ცვლილება თუ გადაწყვეტილება (ამ შემთხვევაში, კონკრეტული ფეხბურთელებისათვის ამპლუის შეცვლას ვგულისხმობთ), აბსოლუტურად სწორი გახლდათ! ჰო, არც ქართული ფეხბურთისათვის დამახასიათებელი ტექნიკა გამქრალა და არც იმპროვიზაცია — ეს ყველაფერი შენარჩუნდა; სამაგიეროდ თანამედროვე ფეხბურთის ელემენტებით გამდიდრდა „დინამოს“ თამაში: უფრო რაციონალურიც გახდა, თამაშის რიტმის გაკონტროლებაც შეგვეძლო და თითოეული ფეხბურთელიც უკვე ნამდვილ პროფესიონალად ჩამოყალიბდა. ყოველ შემთხვევაში, ამა თუ იმ მატჩში მსაჯების არნახული ტენდენციურობისათვის მზად ვიყავით: როგორ გგონიათ, 1981 წლის გაზაფხულზე, როტერდამში „ფეიენოორდთან“ განმეორებით ნახევარფინალში ავსტრიელმა მსაჯმა **ვიორერმა** იმაზე ნაკლები გააკეთა, ვიდრე 1978 წელს ციურიხში „გრასჰოპერსთან“ შეხვედრაში ფრანგმა არბიტრმა **კიტაბჯანმა?** აი, ასე — მართლაც ზღაპრული თაობა გამოცდილებასაც იძენდა და ბოლოს, მოსახდენი მოხდა! ოღონდ, ცოტა არ იყოს, გვეხამუშება ხოლმე, როცა „დინამოს“ 30 წლის წინანდელ ტრიუმფს... აკნინებენ! რას ვიზამთ, ქართველებს ყველაფერში მაქსიმალიზმიც გვჩვევია და საკუთარი წარმატების... არდანახვაც! ჰო, მაშინაც და იმის მერეც, ხშირად გაგვიგია თუ მოგვისმენია: „დინამომ“ თასების თასი ისე აიღო, მეტ-ნაკლებად სერიოზული მეტოქე არ შეხვედრიაო; ეგ კი არა, ფინალშიც... სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, აშკარად „არასაფეხბურთო“ ქვეყნიდან (გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას გულისხმობდნენ). არადა, იმდრინდელ „ვესტ ჰემთან“ თუ „ფეიენოორდთან“ ჩვენმა უპირველესმა გუნდმა თამაშები რომ ჩაატარა, ალბათ ქართული ფეხბურთის საგანძურად უნდა მივიჩნიოთ! რაც შეეხება „კარლ ცაისს“, ამ გერმანულმა გუნდმა ფინალამდე „რომა“ და „ბენფიკა“ დაამარცხა და თუ რა დონის ფეხბურთელები თამაშობდნენ იტალიურ და პორტუგალიურ გრანდებში, ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს.



## ზღაპრული თაობა

... 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში წამყვანი უცხოური სპორტული გამოცემები იმდროინდელ საფეხბურთო ნოვაციებზე რომ საუბრობდნენ, ნიმუშად თუ ეტალონად რამდენიმე მწვრთნელის ტაქტიკურ-სტრატეგიული გათვლები მოჰყავდათ. ჰო, ოთხი-ხუთი კაცის გვარი ფიგურირებდა ამ სიაში: **ლუის სესარ მენოტის** (არგენტინა), **ტელე სანტანას** (ბრაზილია), **რინუს მიხელსის** (ჰოლანდია), **ენცო ბეარზოტისა** (იტალია) და... **ნოდარ ახალკაცის!** აი, ასეთი ბუმბერაზი მწვრთნელი გვყავდა, თავისი ნიჭით ქართულ ფეხბურთს დაუვიწყარი გამარჯვება რომ მოუტანა; თუმცა ახალკაცი რაც უნდა გენიოსი მწვრთნელი ყოფილიყო, ვერაფერს მიაღწევდა, რომ არა თითოეული ფეხბურთელის არნახული მონდომება თუ ნიჭიერება...

... **ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, გია თავაძე, ზაურ სვანაძე, ნუკრი კაკილაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია,** — დიუსელდორფის მატჩის მონაწილე თითოეული ქართველი ფეხბურთელი ნებისმიერ იმდროინდელ ევროპულ გრანდში გაიბრწყინებდა, მაგრამ უცხოურ კარიერაზე მაშინ ხომ ვერც იოცნებებდნენ; არადა, იმავე ყიფიანსა თუ გუცაევს, შენგელიასა თუ ჩივაძეს, დარასელიასა თუ სულაქველიძეს, ერთიმეორეზე უკეთესი და ერთიმეორეზე ტიტულიანი უცხოური გუნდები ზღაპრულ პირობებს სთავაზობდნენ, მაგრამ ამათ აქედან ვინ გაუშვებდა? **შოთა ხინჩაგაშვილიც** არ დაგვავიწყდეს, ყველა დროის ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, კარიერის განმავლობაში უამრავი ტრავმა რომ თან სდევდა და 13 მაისის ფინალში კი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშა.

... 1981 წლის ბოლოს, პოპულარულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა“ „ოქროს ბურთის“ ტრადიციული გამოკითხვა რომ მოაწყო, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ათეულში რამაზ შენგელია და ალექსანდრე ჩივაძე მოხვდნენ, დავით ყიფიანმა კი მეთერთმეტე-მეთოთხმეტე ადგილები გაიყო!

**გია ტუხაშვილი**



## გზა ტრიუმფისაკენ

1980-81 წლების ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშება

| | |
|---|---|
| **1/16 ფინალი** | |
| დინამო-კასტორია (საბერძნეთი) | 0:0, 2:0 |
| **1/8 ფინალი** | |
| დინამო-უოტერფორდი (ირლანდია) | 1:0, 4:0 |
| **1/4 ფინალი** | |
| დინამო-ვესტ ჰემი (ინგლისი) | 4:1, 0:1 |
| **1/2 ფინალი** | |
| დინამო-ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 3:0, 0:2 |
| **ფინალი** | |
| დინამო-კარლ ცაისი (გდრ) | 2:1 |




ამ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 21-მა ფეხბურთელმა:

| | |
|---|---|
| **მეკარე** | |
| ოთარ გაბელია | 9 მატჩი; |
| **მცველები** | |
| ალექსანდრე ჩივაძე | 9 (2 გოლი) |
| ნოდარ ხიზანიშვილი | 7 |
| გია თავაძე | 7 |
| თამაზ კოსტავა | 7 |
| შოთა ხინჩაგაშვილი | 5 |
| დავით მუჯირი | 4 |
| გიორგი ჭილაია | 3 (1) |
| **ნახევარმცველები** | |
| თენგიზ სულაქველიძე | 9 (2) |
| ვიტალი დარასელია | 8 (3) |
| ზაურ სვანაძე | 5 |
| ნუკრი კაკილაშვილი | 4 |
| ვახტანგ ქორიძე | 2 |
| გოჩა ჯოხაძე | 1 |
| კონსტანტინე კერესელიძე | 1 |
| **თავდამსხმელები** | |
| რამაზ შენგელია | 9 (5) |
| დავით ყიფიანი | 9 |
| ვლადიმერ გუცაევი | 7 (3) |
| რევაზ ჩელებაძე | 4 |
| ვაჟა ჟვანია | 2 |
| გურამ ჩძარეული | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

### სპორტი და ხელოვნება

# დარასელია კიდევ უნდა დაფასდეს



რამდენიმე თვის წინ ცნობილი ქართველი მოქანდაკის, **გოგი შხვაცაბაიას** შემოქმედებაზე მოგითხრეთ და ყურადღება იმ ნამუშევრებზე გავამახვილეთ, სპორტულ თემაზე რომ შეუქმნია. შეგახსენებთ, შხვაცაბაიას ეკუთვნის "მშვიდობის ჩირალდანი", რომელიც საბერძნეთის ქალაქ ოლიმპიაში დაიდგა 1992 წლის 5 ივლისს, ბარსელონის ოლიმპიადის გახსნამდე, ჰერას ტაძარში ოლიმპიური ცეცხლის დანთების დღეს.

ბატონი გოგის ცხოვრებაში სპორტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი – "ლელო" სკულპტურული ჯგუფია, რომლის დადგმაც სპორტის სასახლის წინ იგეგმებოდა, მაგრამ საბჭოთა ბიუროკრატიზმის "წყალობით" პროექტი ჩაიშალა. სპორტის სასახლეს დღეს მისი კიდევ ერთი გამორჩეული ქმნილება, ლეგენდარული **გივი კარტოზიას** ბიუსტი ამშვენებს.

გიორგი შხვაცაბაიას განსაკუთრებული დამოკიდებულება ქართული ფეხბურთისადმი გამოვლინდა მის ერთ-ერთ გამორჩეულ ნამუშევარშიც – **მიხეილ მესხის** სკულპტურაში. მისი დადგმა იგეგმებოდა ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ გეგმა გეგმად დარჩა. დაბრკოლება ახლა უსახსრობაა.

სამაგიეროდ, დიდ ხარჯებს არ მოითხოვს **ვიტალი დარასელიას** რელიეფური პორტრეტის დადგმა. ავტორისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, სად განთავსდება მისი ქმნილება – სტადიონზე, სხვა სპორტულ ნაგებობასა თუ ქუჩაზე, მთავარია, დიუსელდორფის მატჩის გმირის გამოსახულებამ დღის სინათლე იხილოს.

ვიტალი დარასელიას რელიეფური პორტრეტი ბერძნული მონეტის სტილშია გადაწყვეტილი. ავტორის თქმით, ეს იდეა ლეგენდარული ფეხბურთელის ბერძნულმა პროფილმა შთააგონა.

დღეს ქართული ფეხბურთის უდიდესი გამარჯვებიდან 30 წელიწადი შესრულდა და ვიმედოვნებთ, ყველაზე ძვირფასი ქართული გოლის ავტორი კიდევ ერთხელ დაფასდება და მისი სახე ეროვნულ სტადიონს დაამშვენებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სუვენირი

ვიტალი დარასელიას თანაკლასელი, ოჩამჩირელი **ზურაბ მიქავა** საკუთარი ხელით დამზადებულ სუვენირზე ორიგინალური ფორმით გამოხატავს საფეხბურთო სამყაროს ღირსსახსოვარ მოვლენებს. ამჯერად მან 135-ე სუვენირი დაამზადა და იგი თბილისის „დინამოს" 1981 წლის ბრწყინვალე წარმატებას მიუძღვნა.



### იყო ასეთი შემთხვევა

# ასე მივულოცეთ...

1981 წლის 13 მაისის ტრიუმფს საქართველოში არნახული სიხარული და აღტყინება მოჰყვა — თბილისის „დინამოს" თასების მფლობელთა თასზე გამარჯვებისადმი ალსანიშნავი ზეიმი ჩვენს ყველა ქალაქში, რაიონულ ცენტრსა თუ სოფელში მოეწყო. გამონაკლისი არც საჩხერე იყო, სადაც მოსახლეობა მთელი ღამის განმავლობაში აღნიშნავდა „დინამოს" მართლაც ისტორიულ გამარჯვებას. ფეხბურთის სტაჟიანი ქომაგი **ვახტანგ მაჭავარიანი** იხსენებს: „იმ პერიოდში საჩხერის რაიონის ალმასკომის თავმჯდომარედ ვმუშაობდი; „დინამოს" ზღაპრული წარმატებით უზომოდ გახარებული ვიყავი და მინდოდა, საჩხერლების სახელით ჩვენი სათაყვანებელი გუნდისთვის „რაიმე" ფორმით მომელოცა. ფინალის მეორე დილა იყო, საჩხერის სამშობიაროს მთავარი ექიმი რომ ვიხმე; მაინტერესებდა, თუ რამდენი ბავშვი იყო დაბადებული 13 მაისის ღამეს და იქიდან, რამდენი - ბიჭი; გაირკვა, რომ იმ ღამით 13 ბავშვი დაბადებულა, საიდანაც 7 ბიჭი იყო, დანარჩენი კი - გოგო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, დიდი სურვილი მქონდა ახალშობილი ბიჭებისთვის... „დინამოს" ფეხბურთელთა სახელები დაერქმიათ, რა თქმა უნდა, მშობლებთან შეთანხმებით! ყველა ახალშობილის მშობელმა ეს წინადადება უდიდესი სიხარულით მიიღო და სახელებიც „გადაინაწილეს": ვის - ვიტალი დაარქვეს, ვის - ვლადიმერი, ვის - რამაზი, ვის - დავითი და ასე შემდეგ; აი, რაც შეეხება ახალშობილ გოგონებს, ამ შემთხვევაშიც „ორიგინალობა" გამოვიჩინეთ და ფეხბურთელების სახელებს რახან ვერ დავარქმევდით, ჩვენი სასიქადულო მოჭადრაკე ქალბატონების სახელების (ნონა, მაია, ნანა, ნინო) დარქმევა შევთავაზეთ მშობლებს. ამ შემთხვევაშიც უარი არავის უთქვამს..."

**გია ტუხაშვილი**

### U16

# გამარჯვება აზერბაიჯანში

ბაქოში შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა აზერბაიჯანელ თანატოლებთან პირველი მატჩი ჩაატარა და 3:1 გაიმარჯვა. **გელა შეყილაძის** გუნდი აზერბაიჯანის ნაკრებთან მეორე შეხვედრას ხვალ ჩაატარებს, რის შემდეგაც თბილისში დაბრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### პირველი ლიგა, XXXI ტური

| | |
|---|---|
| სქური-მარტვილი | 3:0 |
| ჩიხურა-ჩხერიმელა | 2:0 |
| ნ. დინამო-ლოკომოტივი | 1:1 |
| ჭიათურა-ადელი | 1:0 |
| ბათუმი-სამგურალი | 5:1 |
| იმერეთი-კოლხეთი (ხ) | 2:0 |
| მარტვილი-მეშახტე | 3:0 |
| გურია-გაგრა | 1:0 |

*დილა-ისვენებს*

**მომდევნო, XXXII ტური**

**16 მაისი, ორშაბათი**

მეშახტე-გურია
იმერეთი-გაგრა
კოლხეთი-ბათუმი
სამგურალი-ჭიათურა
ადელი-ნ. დინამო
ლოკომოტივი-ჩიხურა
ჩხერიმელა-სქური
მერცხალი-დილა

*მარტვილი-ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 29 | 21 | 5 | 3 | 67-17 | 68 |
| 2. მარტვილი | 30 | 20 | 7 | 3 | 56-15 | 67 |
| 3. დილა | 29 | 17 | 9 | 3 | 52-21 | 60 |
| 4. ჩიხურა | 29 | 18 | 5 | 6 | 54-24 | 59 |
| 5. ბათუმი | 29 | 16 | 8 | 5 | 62-16 | 56 |
| 6. გურია | 30 | 14 | 4 | 12 | 50-55 | 46 |
| 7. კოლხეთი (ხ) | 29 | 11 | 10 | 8 | 26-31 | 43 |
| 8. იმერეთი | 29 | 10 | 4 | 15 | 32-38 | 34 |
| 9. ჩხერიმელა | 29 | 7 | 12 | 10 | 34-42 | 33 |
| 10. მეშახტე | 29 | 9 | 5 | 15 | 30-43 | 32 |
| 11. ნ/დინამოელი | 29 | 9 | 5 | 15 | 36-53 | 32 |
| 12. მერცხალი | 30 | 8 | 7 | 15 | 40-64 | 31 |
| 13. ლოკომოტივი | 29 | 7 | 7 | 15 | 30-43 | 28 |
| 14. ადელი | 29 | 8 | 2 | 19 | 32-51 | 26 |
| 15. სამგურალი | 29 | 7 | 5 | 17 | 34-60 | 26 |
| 16. ჭიათურა | 29 | 7 | 5 | 17 | 25-64 | 26 |
| 17 სქური | 29 | 7 | 4 | 18 | 27-50 | 25 |

**კონსტიტუციური** უსაფრთხოების დეპარტამენტის სპეცოპერაცია, ტოტალიზატორების წარმომადგენლებთან საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელების კორუფციული გარიგებები და ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის გადაწყვეტილება მათი დასჯის თაობაზე - ქართული ფეხბურთის ვეტერან არჩილ არველაძეს ამ თემებსა და მათგან გამომდინარე შედეგებზე ვესაუბრეთ.

# ნუ იფიქრით, რომ ჩვენს ფეხბურთის სახელი გაუტყდება



## არჩილ არველაძის ორი რჩევა. მოწუწუნეებს: თუ არ მიხედეთ, ისე რა გამოვა? ბიზნესმენებს: დაინახეთ შანსი!

**- ჯერ მომხდარი შევაფასოთ. თქვენი აზრით, ალმასკომის გადაწყვეტილება ფეხბურთელთა სამუდამო დისკვალიფიკაციის თაობაზე სამართლიანია?**

- ადამიანურად შევწუხდი, რადგან ეს მოთამაშეები ფეხბურთს ჩამოაშორეს და მესმის, ეს რა მტკივნეულია. გინდა, ერთი წელი მიეცათ და გინდა, სამუდამო დისკვალიფიკაცია, უმრავლესობა თამაშისთვის ასაკოვანია და ამ გადაწყვეტილებით კარიერა დაასრულეს. მაგრამ გარიგებებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასმოდა წერტილი და გადაწყვეტილება მიღებულიყო. არა მგონია, ალმასკომის წევრებს დაუფიქრებლად მიესაჯათ სამუდამო დისკვალიფიკაცია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანდა. შეიძლება, დღეს ცხელ გულზე ვფიქრობ ასე და ხვალ ბიჭები შემეცოდოს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ უსამართლო გადაწყვეტილება იყო.

**- ბევრი ფიქრობს, რომ ხუთეული განტევების ვაცია, საქმის რეალური ჩამწყობები კი ჩრდილში დარჩნენ და არ დაუსჯიათ.**

- ასე რომ ვიმსჯელოთ, უფრო ხშირად განტევების ვაცი ისჯება, მაგრამ კუდ-მა ფაქტები გამოავლენა და ალმასკომს რეაგირება არ უნდა მოეხდინა?

**- ამას არ ვამბობ, დასასჯელები იყვნენ, მაგრამ მატჩებს მხოლოდ ფეხბურთელები აწყობენ?**

- მესმის, თუნდაც ასეთი მკაცრი გადაწყვეტილებით ჩვენს ფეხბურთში აბსოლუტური წესრიგი ვერ დამყარდება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ბევრს დააფიქრებს, რომ არასპორტული საქციელისთვის ახლა აუცილებლად დაისჯება და გაჩერდება. იმედი მაქვს, გამოძიება გაგრძელდება და იმ პიროვნებებსაც დაადგენს, რომლებიც ფეხბურთელებს გონებას უმღვრევდნენ.

**- ეს ადამიანები რატომ არ ჩანან, კარგად ინილბებიან? ან კლუბები როგორ არ მონაწილეობდნენ გარიგებებში, როდესაც ლაპარაკი იყო შედეგების დასმაზე?!**

- მეც გამიჩნდა ასეთი კითხვები, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ არავინ არავის ხელს არ დააფარებს. ყველამ ვიცით, რომ კორუფციას კუდ-ი და შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუნდობლად ებრძვიან. ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ორი ვარიანტია - ან გუნდები არ მონაწილეობდნენ გარიგებებში, ან ჯერ მათზე ფაქტები არ არსებობს, თორემ აუცილებლად დასჯიდნენ.

**- საქართველოში მოქმედი ტოტალიზატორებიც არ იქნებოდნენ ჩარეულები?**

- ფსონები აზიაში კეთდებოდა და ამიტომ, მგონია, რომ ჩვენი ტოტალიზატორები ამ მაქცინაციებში არ არიან გარეულები.

**- ერთ-ერთი მაქინატორი ამბობს, "ტრენერი" საქმის კურსშიაო, ეს კლუბის მონაწილეობას არ ნიშნავს?**

- ფედერაციის ალმასკომის წევრებს უნდა ჰქონდეთ ფაქტები, კლუბი ან მწვრთნელი რომ დასაჯონ. ვარაუდებით და მტკიცებულების გარეშე ბრალდებული თავს ყოველთვის გაიმართლებს.

**- თქვენი აზრით, მომხდარი საქართველოს ჩემპიონატზე როგორ აისახება?**

- მიმაჩნია, რომ ძალიან კარგად. სისულელეა იმის მტკიცება, რომ ახლა ფეხბურთს სახელი უფრო გაუტყდება. პირიქით, უმძიმესი დანაშაული გამოავლინეს, მისი მონაწილეები დასაჯეს და სხვებს ხელ-ფეხი შეეკრათ. წარმოუდგენელია, ეს საერთო სურათზე დადებითად არ აისახოს. ახლა არასპორტულ საქციელს მეტ ყურადღებას მიაქცევენ, ჯანსაღი ბრძოლა კი ჩემპიონატის დონესაც დაეტყობა.

**- ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ბიზნესი ფეხბურთით ისედაც არ ინტერესდებოდა, სახეობის განვითარებისთვის კი ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია.**

- ვფიქრობ, ახლა დაინტერესდება, რადგან ლაპარაკია ეროვნული ჩემპიონატის გაუმჯობესებაზე. ჩემი ინფორმაციით, მუშაობა შემდეგი მიმართულებით წარიმართება: პირველი იქნება ფორმატის შეცვლა, რათა ტურნირი დაძაბული და საინტერესო გახდეს.

გარდა ამისა, ეროვნულ ჩემპიონატში საკმაოდ სოლიდური საპრიზო ფონდი დაწესდება. მისი გენერალური სპონსორი საქართველოს ლატარიის კომპანია გახდება და ჩემპიონატის მონაწილეებისთვის ყოველწლიურად 2 მილიონ ლარს გამოყოფს.

თუ აქამდე კლუბებისთვის ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშებებში გამარჯვება, პრაქტიკულად, მხოლოდ პრესტიჟის საქმე იყო, ახლა ფინანსური ინტერესიც გაუჩნდებათ, რაც ჩემპიონატის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნება. მთელ მსოფლიოში ფეხბურთი შემოსავლიანია და ადრე თუ გვიან ჩვენთანაც ასე უნდა იყოს.

ამას დაემატება ჩემპიონატის სატელევიზიო გაშუქება, რაც მის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს და გარიგებულ მატჩებსაც შეზღუდავს. როდესაც მთელი ქვეყანა გიყურებს, თამაშის ჩაწყობა ძალიან ძნელია.

**- მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნესი უეჭველად დაინტერესდება.**

- რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვი, რომ უცებ ყველა კომპანია და ბიზნესმენი ფეხბურთს მიაწყდება და კლუბებს დააფინანსებენ, მაგრამ პროცესი დაიწყება და ის საფუძველი ჩაიყრება, რომელმაც გარკვეული ეტაპის შემდეგ ეროვნული ჩემპიონატი საინტერესო უნდა გახადოს. გუნდები საპრემიო თანხებს რომ მიიღებენ და ტურნირს ტელევიზიები გააშუქებენ, ვიღაცას სტიმული აუცილებლად გაუჩნდება - ანუ დღეს რომ ხარჯავს ხუთი-ექვსი კაცი ფულს, ასე აღარ უნდა იყოს.

თავად განსაჯეთ: ხარ ბიზნესმენი და ყოველწლიურად კლუბის შენახვა მილიონი ლარი გიჯდება. თუ უნარიანი მმართველი ხარ, წარმატებული კლუბით მილიონიან დანახარჯს ერთ წელიწადში ამოიღებ.

**- როგორ?!**

- უეფასგან ქვეყნის ჩემპიონი 200 ათას ევროს იღებს, ევროთასის ყოველი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლისთვის - 90 ათასს, რასაც საქართველოს ლატარიის კომპანიის საპრიზო თანხა დაემატება და კლუბის ბიუჯეტში მილიონ ლარზე მეტი შევა. თუ ევროპის ლიგის, ან ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვდები, ხომ მთლად უკეთესი, შესაბამისად, ბიუჯეტს 3,3 მილიონი ან 7,1 მილიონი ევროთი შეივსებ. ასე რომ, თუ ჭკვიანი ბიზნესმენი ხარ, ფეხბურთში მისვლა გიღირს.

**მერაბ მამულაშვილი**




ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინგლისის ნაკრები



# შოკი სახელად ფოსტერი

**ბენ ფოსტერმა** ინგლისის ნაკრების იტალიელი თავკაცი **ფაბიო კაპელო** შოკში ჩააგდო — მოულოდნელად გამოაცხადა, რომ სანაკრებო კარიერას ასრულებს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ კაპელომ ეს ამბავი „ბირმინგემ სიტის" ვებ-გვერდიდან შეიტყო, თორემ 28 წლის მეკარეს პირადად მისთვის არაფერი უთქვამს. გამოდის, რომ ინგლისის ეროვნული გუნდი სერიოზული პრობლემის წინაშე დგას — 24 წლის **ჯო ჰარტს** მეტ-ნაკლებად მაღალი დონის შემცვლელი არ ჰყავს.

ბოლო ინფორმაცია, რომელიც კაპელოს ფოსტერის შესახებ ჰქონდა ის გახლდათ, რომ ბირმინგემელთა კარის მცველს ზაფხულში ხელის ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. სხვათა შორის, იტალიელმა დაარეკინა კიდეც თავის მარჯვენა ხელ **ფრანკო ბალდინის** გოლკიპერთან და ათხოვნინა, ექიმთან 4 ივნისის ანუ შვეიცარიასთან თამაშის შემდეგ მისულიყო. მოგეხსენებათ, ეს დღე უეფამ ეროვნულ გუნდებს გამოუყო, ინგლისი და შვეიცარია კი ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში მეტოქეები არიან.

რა უპასუხა ფოსტერმა ბალდინის? როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა გამოიკვლიეს, ის ნაკრების წარმომადგენელს ოპერაციის გადადებას არ დაჰპირებია, მაგრამ არც ის უთქვამს, ნაკრებში აღარასოდეს ვითამაშებო. ამრიგად, კაპელოს ოცნება, გუნდში ყოველ პოზიციაზე კონკურენცია ჰქონდეს, ჯერჯერობით ოცნებადვე რჩება. „მანჩესტერ სიტის" მეკარე ჰარტი უპირობოდ რჩება ეროვნული გუნდის პირველ ნომრად.

ვის შეიძლება უხმოს კაპელომ? მიმომხილველებს, უპირველეს ყოვლისა, „ვესტ ჰემის" კარის დარაჯი **რობერტ გრინი** გაახსენდათ, მაგრამ გრინს ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აღარ უთამაშია — გახსოვთ, აშშ-ის ნაკრებთან შეხვედრაში **კლინტ დემპსის** დარტყმული რომ გაუძვრა და ქვეყნის სალაპარაკო გახდა?

ფოსტერის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარეები, **დევიდ ჯეიმსი** და **პიტერ შილტონიც** გააკვირვა. 40 წლის ჯეიმსმა, რომელიც ახლა „ბრისტოლ სიტის" კარს იცავს, თქვა:

*„ჩემთვის, ჩემი ქვეყნის სახელით გამოსვლა ყოველთვის უდიდესი პატივი იყო".*

შილტონმა დასძინა: *„დღეს პირველი მეკარე, რასაკვირველია, ჯო ჰარტია, მაგრამ ის ჯერ ახალგაზრდაა და კონკურენცია რომ ეგრძნო, ძალიან კარგი იქნებოდა".*

ფოსტერმა კი თავისი გადაწყვეტილება ჯანმრთელობას დააბრალა:

*„უმაღლეს დონეზე დიდი დატვირთვით თამაში, ორგანიზმზე მოქმედებს. ძალიან არ მინდა, ნაკრების კარი სამუდამოდ გამოვიხურო, მაგრამ ყველამ იცის, რომ ბოლო პერიოდში რამდენიმეჯერ დავშავდი და ამის გამო ეროვნულ გუნდშიც არ გამომიძახეს. გარდა ამისა, ჩემს სხეულს დასვენება სჭირდება, სანაკრებო ცხოვრება კი ამის საშუალებას არ იძლევა. დიდი ხნის განმავლობაში, საკმარისი იყო დასვენების დღეები გამოჩენილიყო, რომ ეროვნულ გუნდში მიძახებდნენ და დაღლას დაღლა ემატებოდა. სწორად გამიგეთ, ეროვნულ გუნდში თამაში ძალიან მიყვარს, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის.*

*ჯო ჰარტის სახით კი ინგლისს ჰყავს დიდებული მეკარე და შესანიშნავი პიროვნება. ეჭვი არ მეპარება, რომ ის ერთ-ერთი უდიდესთაგანი გახდება. რაც შემეხება მე, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. შევეცდები საკლუბო კარიერა რაც შეიძლება გავიხანგრძლივო".*

ამბობენ, რომ ფოსტერის წასვლის შემდეგ კაპელო სამი გოლკიპერიდან ერთს აარჩევს. ერთი გახლავთ „ვესტ ბრომვიჩის" 25 წლის მეკარე **სკოტ კერსონი**, მეორე „ბლექბერნის" კარის მცველი, 31 წლის **პოლ რობინსონი** და მესამე „ფულჰემის" სათადარიგო გოლკიპერი **დევიდ სტოკდეილი**, რომელიც კერსონის თანატოლია, 25 წლისა გახლავთ.

● ამბები

## მერსონი და ყვითელი სითხე

ყოფილმა ვარსკვლავმა **პოლ მერსონმა** განაცხადა, რომ „არსენალში" თამაშის წლებში მას ხშირად უკეთებდნენ ნემსს უცნობი ყვითელი ნივთიერებით. ინგლისის ნაკრების ყოფილმა წევრმა, რომელიც დღეს 43 წლის გახლავთ, ფრანგულ ჟურნალ So Foot-ისთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ ეს „მეთოფეთა" სათავეში **არსენ ვენგერის** მოსვლის შემდეგ დაიწყო.

მერსონმა, რომელიც ვენგერის ხელმძღვანელობით 1996-97 წლებში თამაშობდა, თქვა: *„პერიოდულად, მნიშვნელოვანი თამაშების წინ, ჩვენ მივდიოდით ისლინგტონში მდებარე სასტუმრო „ჰოლიდეი ინში", სადაც მკლავში ნემსს გვიკეთებდნენ. მართალი გითხრათ, არასდროს მიკითხავს, რა ნივთიერება შეჰყავდათ ჩვენს ორგანიზმში. როდესაც მწვრთნელს ენდობი, ყველაფერს ისე აკეთებ, როგორც ის გეუბნება".*

მერსონი ამბობს, რომ იმხანად ის ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს ეტანებოდა და, ამდენად, ერთი ნივთიერებით მეტისა თუ ნაკლებისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

*„რას ამბობთ, რასაც იმ წლებში საკუთარ თავს ვუკეთებდი, სხვა რამეს როგორ უნდა შევეშინებინე"?*

კიდევ, მერსონი ჰყვება, რომ ყოველ დილით, ვარჯიშის წინ, ფეხბურთელებს ფორთოხლის წვენსა და კრეატინს აძლევდნენ. კრეატინი ენერგიის მოსამატებელი საშუალებაა.

## ტერი კარლოსკენ არის

„ჩელსის" 30 წლის კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** მწვრთნელ **კარლო ანჩელოტის** დაუჭირა მხარი — ინგლისელი ვეტერანი დასავლეთლონდონური კლუბის მეპატრონე **რომან აბრამოვიჩს** სთხოვს, იტალიელი თანამდებობაზე დატოვოს. მოგეხსენებათ, „ჩელსი" ამ სეზონში ტიტულის გარეშე დარჩა, რამაც გააძლიერა ხმები, თითქოს აბრამოვიჩი ანჩელოტის შეცვლას უპირებს.

ტერი ამბობს: *„მე მას ვენდობი და სრულად ვუჭერ მხარს. ძალიან მიყვარს კარლო. მან პირველივე სეზონში ორი ჯილდო მოგვაგებინა. წლეულს? წლეულს ტრავმებმა და სეზონის წინ მნიშვნელოვანი ფეხბურთელების გაყიდვამ ითამაშა ცუდი როლი. როდესაც „ჩელსის" მოურინიო წვრთნიდა, მის განკარგულებაში ბევრი ფეხბურთელი იყო. დღეს ასე აღარ არის და ეს ნაკლია".*

● მანჩესტერ სიტი

## მიკას იმედი

„მანჩესტერ სიტის" 22 წლის მცველის, **მიკა რიჩარდსის** თქმით, მის გუნდს შესწევს საიმისო ძალა, რომ ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში „ტოტენჰემ ჰოთსპურის" შედეგი გაიმეოროს ან გააუმჯობესოს. შეგახსენებთ, რომ „დეზებმა", მიმდინარე გათამაშებაში, მეოთხედფინალს მიაღწიეს, სადაც მადრიდის „რეალს" ველარ გაუძლეს.

დღეს, როდესაც პრემიერლიგის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურია დარჩენილი, „სიტის" მეოთხე ადგილი გარანტირებული აქვს. ისტლენდელებმა გადამწყვეტ შეხვედრაში სწორედ „ტოტენჰემს" აჯობეს 1:0 და ჩემპიონთა ლიგის სამომავლო გათამაშებაში ადგილი დაიბევეს. მოგეხსენებათ, „სიტის" მეპატრონეებს დიდძალი ფული აქვთ და, სავარაუდოდ, ზაფხულში გუნდს ახალი ვარსკვლავებით გააძლიერებენ. რიჩარდსს, რომელსაც კლუბთან ამჟამინდელი კონტრაქტის ვადა მომავალი სეზონის ბოლოს გაუდის, იმედი აქვს, რომ უახლოეს მომავალში ახალი ხელშეკრულების დადებას შესთავაზებენ. მან თქვა:

*„ჩემპიონთა ლიგის თამაშები უხვად მინახავს. ვუყურებდი „სფურზს", რომელიც ამ რთულ შეჯიბრებაში შესანიშნავად გამოვიდა და მეოთხედფინალსაც კი მიაღწია, მაგრამ იმასაც ვგრძნობ, რომ ჩვენც შეგვიძლია არანაკლებ ვითამაშოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ზაფხულში გავძლიერდებით. ახალი ფეხბურთელი ყველა კლუბს სჭირდება. ჩვენც ასე ვართ. მუდმივად ვცდილობთ ყველა პოზიციაზე უკეთესი მოთამაშე მოვიყვანოთ.*



სიტი ჩემპიონთა ლიგაში გასვლას ზეიმობს

*ჩვენ ძველებური „სიტი" აღარ ვართ, სულელურ შეცდომებს რომ უშვებდა და შედეგებს ვერ აღწევდა. ყოველ წელიწადს წინ ვდგამთ ნაბიჯს. გასულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დავიკავეთ, ახლა კი მეოთხეზე ვართ. მომავალ სეზონში დღევანდელ მიღწევებზე დაყრდნობით კიდევ უფრო წინ წასვლას შევეცდებით.*

*ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და დღეს, როდესაც ნატვრა ამიხდა, ბედნიერი ვარ. საკუთარ თავს ვჩქმეტ, რომ შევამოწმო, ეს ყველაფერი მესიზმრება თუ არა. ერთი სული მაქვს, როდის შევეჯიბრები მსოფლიოს საუკეთესო გუნდებსა და ფეხბურთელებს".*

შეგახსენებთ, რომ მეოთხე ადგილზე გასული გუნდი ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, მაგრამ თუ ისტლენდელები შეძლებენ და დარჩენილ ორ ტურში მესამე ადგილიდან „არსენალს" ჩამოაგდებენ, პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე ამოყოფენ თავს.

„სიტის" ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის ფეხბურთელებს კი არ ზრდის, არამედ ყიდულობს. ამასთან დაკავშირებით რიჩარდსი ამბობს:

*„კარგად ვიცით, რასაც ამბობენ ჩვენზე. ისინი ფულის ხარჯვას გვსაყვედურობენ, მაგრამ შეგვხედეთ - ეს მეთოდი შედეგიანია. და კიდევ, არ დაუჯეროთ, როდესაც გაიგებთ, თითქოს „მანჩესტერ სიტიში" გუნდური სულისკვეთება მოისუსტებს".*

● შოტლანდია




## ანტილენონიზმი

„სელტიკის" თავკაცი **ნილ ლენონი** დაზაფრული და გაოგნებული დარჩა — ოთხშაბათს მას თავს დაესხნენ. გლაზგოელთა მწვრთნელის ასისტენტმა, შვედმა **იოჰამ მოლბიმ** კი შიში ვერ დამალა. ის შიშობს, რომ თუ ასე გაგრძელდა, ლენონის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

ეს ამბავი ედინბურგში მოხდა, სადაც „სელტიკი" „ჰართსს" ეწვია და 3:0 მოუგო. თუმცა, გულშემატკივარი სტუმართა გუნდის თავკაცს შეხვედრის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე, მეორე ტაიმის დასაწყისში, „სელტიკის" მეორე გოლის შემდეგ დაესხა. შეგახსენებთ, რომ ლენონს ამ სეზონში ემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ და მავანმა თვითნაკეთი ასაფეთქებელი პაკეტიც კი გაუგზავნა.

კაცმა რომ თქვას, გამარჯვებამ „სელტიკს" ჩემპიონობის შანსი შეუნარჩუნა. ის „რეინჯერსს" ერთი ქულით ჩამორჩება და ჩემპიონატის დამთავრებამდეც ერთი ტურია დარჩენილი. „სელტიკი" ბოლო დღეს „მოზერუელს" მასპინძლობს", „რეინჯერსი" კი კილმარნოკში მიდის.







„ჰართსთან" შეხვედრაში გლაზგოელთაგან თავი **გერი ჰუპერმა** და **კრის კომონსმა** გამოიჩინეს. ჰუპერმა ორი გოლი გაიტანა. კიდევ, „ტაინკესტლ სთედიუმზე" ორივე გუნდიდან თითო ფეხბურთელი გააგდეს. ედინბურგელები უგანდელი მოთამაშის, ნებისმიერ პოზიციაზე გამოსადეგი, 27 წლის **დავიდ ობუას** გაძევებამ გააბრაზა. ობუა „სელტიკის" 25 წლის მცველ **ჩარლი მალგრიუზე** ხელის აწევის გამო გაუყენეს გასახდელის გზას. „სელტიკიდან" კი მესამე გოლის ავტორ კომონსს მოუხდა მოედნის ნაადრევად დატოვება — ბურთი კარში რომ შეაგდო მასპინძელთა ქომაგების გასაღიზიანებლად, მათ წინ მორთო ზეიმი, რისთვისაც მეორე ყვითელი ბარათი ამოუღეს.

თუმცა, ეს ყველაფერი ლენონზე თავდასხმამ გადაჩრდილა. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შოტლანდიურ ფეხბურთში რაღაც მოიშალა და ჩვეულებრივმა საფეხბურთო ჯიბრმა მასშტაბები შეიცვალა. მატჩის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე ზემოთ ნახსენები მოლბი წარსდგა და ასე ბრძანა:

*„იმის შემყურე, რაც უკვე მოხდა, ადამიანს უფრო მეტი შიში გიჩნდება. ვინ იცი, რა შეიძლება ეჭიროს ასეთ თავდამსხმელს ხელში. მოკლედ, ლენის უსაფრთხოებაზე სერიოზულად ვშფოთავ.*

*ჯერჯერობით ნილი გაოგნებულია. არაფერი სჭირს, მაგრამ ვერ დაუჯერებია, რომ ასეთი რამ გადახდა. დავიცადოთ, ვნახოთ, რა რეაქცია ექნება შემდეგ. რასაკვირველია, ის ძალიან კმაყოფილია, რომ გუნდმა მოიგო და საქმე ბოლო დღემდე მიიყვანა. ნილ ლენონი ძლიერი პიროვნებაა. მე მას კარგად ვიცნობ და გარწმუნებთ, ის „სელტიკის" თამაშს კიდევ უფრო დახვეწავს. ამაში ყველანი დარწმუნდებით. ჩვენ, მთელი კლუბი, მთელი სამწვრთნელო შტაბი, ვნატრულობთ, რომ ის თანამდებობაზე დატოვონ.*

*მართალია, მე არ გამიგია, ვინმე ლენონს რაიმეს აბრალებდეს, მაგრამ ასეთი რამ რომ მოხდეს, უსამართლობა იქნება. მას ერთი მცდარი გადაწყვეტილებაც კი არ მიუღია. ლენის ძალიან უყვარს თავისი საქმე და მთლიანად მასშია გადაშვებული".*

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სქოთთა პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში ბევრი კონფლიქტი მოხდა, რამაც ქვეყნის ფეხბურთის ხელმძღვანელები გამოსავალზე დააფიქრა. მათ „ტაინკესტლ სთედიუმზე" მომხდარის შემდეგაც გადაწყვიტეს ახალი თათბირის მოწვევა, მოლბიმ კი ბოლომდე გამოხატა თავისი ემოცია:

*„დღეს შოტლანდიური ფეხბურთის მორიგი შავ-ბნელი დღე იყო. რაც მოხდა, სამარცხვინო იყო. ასეთ დონეზე მსგავსი რამ არასდროს მინახავს. თვალი ვკიდე, რომ დავინახე, რომ დაცულ ზონაში ვილაც მოდიოდა, მაგრამ თამაშში ვიყავი ჩართული და ყურადღება არ მივაქციე. თუ არ ვცდები, პირველი, ვინც გონს მოეგო და თავდამსხმელის გაჩერება სცადა ალან ტომპსონი იყო. ალანმა მისი შებოჭვა სცადა.*

*ნილს ბოლო პერიოდში, მოგეხსენებათ, მუქარის წერილები მოსდიოდა და ამიტომ გაოგნდა. ასეთ რამეს აღარ ელოდა. ახლა უკვე გადაუარა და ყველაფერი კარგად არის".*

თავისი პოზიცია „სელტიკის" 26 წლის მცველმა **მარკ უილსონმაც** გამოთქვა.

*„ჩვენი მწვრთნელი ძალიან ძლიერი პიროვნებაა იმისათვის, რომ ასეთმა ხულიგნობამ გატეხოს. მას ამ სეზონში ბევრი შემოტევის გადალახვა მოუხდა. არც კი მახსენდება რომელიმე სხვა მწვრთნელი, ამდენი რომ გადახდენოდა. საბედნიეროდ, ნილი ყველა წინააღმდეგობას სძლევს და, როგორც ხედავთ, სეზონის ბოლო დღეს კვლავ თავის ადგილზეა".*

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

საფრანგეთი ლიგა 1. XXXV ტური



ეს ნუთია ალან ტრაორემ უგო ლორისს პირველი გოლი გაუტანა

# არც ერთი ნაბიჯი უკან

**ოსერი–ლიონი 4:0**

გოლები: 1:0 ოლიეჩი (20), 2:0 ტრაორე (45), 3:0 ტრაორე (50), 4:0 ანგბარი (79)

**რენი–კაენი 1:1**

გოლები: 1:0 მანგანე (44), 1:1 ნიანგი (55)

**სოშო–მონაკო 3:0**

გოლები: 1:0 საუე (22), 2:0 მაიგა (24), 3:0 ბუდებუზი (84)

**მარსელი–ბრესტი 3:0**

გოლები: 1:0 რემი (12), 2:0 ჟ. აიუ (59), 3:0 პაინცე (81)

**ნიცა–არლი 3:2**

გოლები: 1:0 ლუბოჟა (31), 1:1 საბელა (39), 2:1 კლერი (55), 3:1 ლობოჟა (76) კ. დიავარა (90)

**ლანსი–ბორდო 1:0**

გოლი: 1:0 ჰერმაში (87)

**მონპელიე–ლორიანი 3:1**

გოლები: 0:1 მანგა (22), 1:1 ჟირუ (27) 2:1 ესტრადა (52) 3:1 საიჰი (65)

**ტულუზი–ვალანსიენი 0:0**

35-ე ტურში რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართა. რამდენადაც გასაოცარი უნდა იყოს, ერთ-ერთში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ევროპის ტოპლიგების "ყველაზე აუტსაიდერი" "არლი" მონაწილეობდა. ამ გუნდმა ხომ ლიგა 1-დან გავარდნა პრაქტიკულად პირველი წრის შემდეგვე გაინაღდა. სტუმართა ამ სტატუსიდან გამომდინარე **ერიკ რუას** "ნიცა" სამართლიანად მიიჩნეოდა შეხვედრის ფავორიტად. მოგების შემდეგ მან ერთბაშად სამი საფეხურით ზემოთ აინაცვლა. შეხვედრის გმირად 32 წლის სერბი თავდამსხმელი **დანიელ ლუბოჟა** იქცა. ვეტერანი წელს მაინცდამაინც შედეგიანი ვერ არის (საუკეთესო წლები მან დიდი ხნის წინ პსჟ-ში გაატარა), აქამდე მის ანგარიშზე სულ რალაც სამი გოლი იყო, თუმცა მისმა გამოცდილებამ სწორედ გადამწყვეტ შეხვედრაში გამოილო შედეგი. ლუბოჟამ პირველი გოლი **ერიკ მულუნგუის** დახმარებით თავით გაიტანა, მეორე კი მთლიანად ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით შეაგდო.

ამოცანა, დარჩენილიყო ელიტურ ლიგაში, "ტულუზმა" უკვე შეასრულა. ასე რომ, **ალან კაზანოვას** გუნდი ინერციითღა აგრძელებს სეზონს, რაც მის თამაშებსაც ეტყობა უსახურობაზე (ბოლო ოთხი შეხვედრიდან "ტულუზმა" სამი ფრედ ითამაშა) და ტრიბუნებსაც – 35 ათასიან "მუნისიპალზე" სულ რალაც 17 ათასი ფანი შეიკრიბა. ცხრილში დაკავებული მე-12 ადგილი ეტყობა საკმარისი საბაბია კმაყოფილებისთვის. როგორც ჩვენი ფრანგი კოლეგები წერენ, 90 წუთის განმავლობაში გუნდებს წუთითაც არ მიუციათ საფუძველი, ვინმეს მათ მიმართ სიმპათია გასჩენოდა. წარმოიდგინეთ, კარის მიმართულებით მინდვრის ოცმა ფეხბურთელმა 12-ჯერ დაარტყა და აქედან კარში სულ 3 წავიდა. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

"ლანსი" და "ბორდო" თავიანთ შეხვედრას მძიმე ხასიათზე შეხვდნენ, რისთვისაც მათ ობიექტური საფუძველი ჰქონდათ. სტუმარმა წინა ტურში საშინაო შეხვედრაში კომმარული სანახაობა აჩუქა საკუთარ მაყურებელს, განადგურდა რა "სოშოსთან" 0:4, "ლანსი" კი იმას წუხდა, "კაენთან" ფრის შემდეგ ელიტაში დარჩენის პრაქტიკული შანსი რომ დაკარგა. სახიფათო მომენტებით დახუნძლული შეხვედრა იყო-თქო, ვერ მოგატყუებთ, აქა-იქ კი შეიძლებოდა ლამაზი კომბინაციებისთვის თვალი მოგვეკრა. ბორდოელმა **ჟუსიმ** 79-ე წუთზე პენალტი დაიმსახურა, თუმცა **ენტონი მოდესტეს** დარტყმული **კასრაუიმ** დიდებულ ნახტომში მოიგერია. 86-ე წუთზე მასპინძლებმა სახიფათო საჯარიმოს დარტყმის უფლება მოიპოვეს. **სედრიკ კარასომ ჰერმაშის** დარტყმულის წინააღმდეგ ვერაფერი იღონა. ამის შემდეგ „ბორდო" უკანმოუხედავად გაიქცა შეტევაში, თუმცა საფინალო სასტვენამდე იმდენად ცოტა დრო ჰქონდა, რომ ვერაფერს გახდა.

ახლა კი ტურის ორ ყველაზე საინტერესო შეხვედრაზე ვთქვათ. **კლოდ პიუელის** "ლიონი" "ოსერს" ესტუმრა და ისე განადგურდა, ვეჭვობთ, ეს შედეგი ვინმეს წინასწარ გაეთვალა. შედეგად, **ჟან ფერნანდესის** გუნდმა პრაქტიკულად გაინაღდა ლიგაში დარჩენა, სტუმარმა კი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მესამე ადგილისთვის ბრძოლაში "პარი სენ-ჟერმენთან" უპირატესობა ერთ ქულამდე შეამცირა. საფრანგეთის შვიდგზის ჩემპიონებმა შეხვედრა ომახიანად დაიწყეს და თავიდან სოლიდურ უპირატესობასაც კი ფლობდნენ. მათდა სამწუხაროდ, პირველი გოლი მე-20 წუთზე მაინც **უგო ლორისის** კარში გავიდა, რამაც ისინი, როგორც ჩანს, ძალიან დააბნია. 39-ეზე კი შეხვედრის გარდამტეხი მომენტი დადგა, როცა მსაჯმა **ფილიპ კალმა** ხორვატ **დეიან ლოვრენს** მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა. პიუელმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, როცა გუნდი არ გადააწყო, რადგან აშკარა იყო, რომ ცენტრალური მცველის გარეშე დარჩენილი გუნდი მოიშალა – **ალან ტრაორემ** ლორისს მეორე გოლი ჯერ კიდევ შესვენებამდე გაუტანა. ლიონელთათვის მეორე ტაიმიც მძიმედ დაიწყო, ტრაორემ დებიუტშივე შეძლო დუბლის შესრულება. სტუმართა თავკაცმა მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა ცვლილებებს. მოვლენათა ამგვარად განვითარებამ "ლიონს" შეხვედრის გადარჩენის ყოველგვარი შანსი მოუსპო. რომელ გადარჩენაზეა ლაპარაკი, როცა მათ კიდევ ერთი გოლი გაუშვეს და მიმდინარე სეზონში ყველაზე დიდი მარცხი იგემეს. აი, რა განუცხადა მატჩის შემდეგ "ფრანს პრესის" ჟურნალისტს პიუელმა: *"სერიოზული ალიყური მივილეთ და ეს რაც შეიძლება მალე უნდა დავივიწყოთ. ხომ ნახეთ, ჯერ სულელური გოლი გავუშვით, შემდეგ წითელი ბარათი დავიმსახურეთ. ფინიშის სწორს ფეხბურთელები სერიოზული წნეხის ქვეშ არიან. აუცილებლად უნდა აღვიქვათ, რომ სეზონის დამთავრებამდე კიდევ სამი "ფინალი" გვაქვს სათამაშო და შესაბამისად, ხვალიდანვე მთელი ძალისხმევა "ბრესტთან" მატჩისთვის მოსამზადებლად უნდა მივმართოთ".*

ბოლოს კი "მარსელის" თამაში მიმოვიხილოთ. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ **დიდიე დეშამმა** თავისი კოლეგა **ალექს დიუპონი** ტაქტიკურად იოლად დაჯაბნა. შესაბამისად, სამხრეთელებმა "ლილს" ცხრილში უპირატესობის გაზრდის საშუალება აღარ მისცეს. სამაგიეროდ, თავის მხრივ ჩემპიონებმა "ლიონი" 6 ქულით ჩამოიტოვეს და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას პირდაპირ გაინაღდებენ, თუკი მომდევნო ტურში "ლორიანთან" გასვლით შეხვედრაში გაიმარჯვებენ. როგორი ამბავია "სტად დე მუსტუაზე" გამარჯვება, სხვა საქმეა, მაგრამ შანსი კი აქვთ. "მარსელმა" შეხვედრა არასტაბილურად წარმართა - მომენტებში მისი უპირატესობა თვალში საცემი იყო, მომენტებში კი მასპინძლები უკან იხევდნენ, აქცენტს დაცვაზე აკეთებდნენ და ბურთს მეტოქეს უთმობდნენ. სტუმრები ამით სარგებლობას ვერ ახერხებდნენ, რადგან დაცვა მონოდების სიმაღლეზე იდგა. საერთო ჯამში დეშამის ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა გაამართლა, მისმა გუნდმა "ველოდრომზე" ძალების მაქსიმალურად დაძაბვის გარეშე მოიპოვა 3 ქულა. შესანიშნავად ითამაშეს **ლოიკ რემიმ** და **ბენუა შეირუმ**, ასევე ძმებმა **ჟორდან** და **ანდრე აიუებმა**, უმცროსმა ჟორდანმა 59-ე წუთზე თავის გამოჩენაც შეძლო, ვისაც საგოლე გადაცემა შეირუმ გაუკეთა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 35 | 19 | 12 | 4 | 62-32 | 69 |
| 2. მარსელი | 35 | 18 | 11 | 6 | 56-33 | 65 |
| 3. ლიონი | 35 | 16 | 11 | 8 | 58-39 | 59 |
| 4. პსჟ | 35 | 15 | 13 | 7 | 53-37 | 58 |
| 5. რენი | 35 | 14 | 11 | 10 | 34-29 | 53 |
| 6. სოშო | 35 | 15 | 7 | 13 | 55-40 | 52 |
| 7. ლორიანი | 35 | 12 | 12 | 11 | 43-42 | 48 |
| 8. სენტ ეტიენი | 35 | 12 | 12 | 11 | 43-42 | 48 |
| 9. მონპელიე | 35 | 12 | 11 | 12 | 32-38 | 47 |
| 10. ოსერი | 35 | 9 | 18 | 8 | 38-45 | 45 |
| 11. ბორდო | 35 | 10 | 15 | 10 | 40-40 | 45 |
| 12. ტულუზი | 35 | 12 | 8 | 15 | 34-35 | 44 |
| 13. ვალანსიენი | 35 | 9 | 16 | 10 | 40-37 | 43 |
| 14. ნიცა | 35 | 10 | 13 | 12 | 30-43 | 43 |
| 15. ბრესტი | 35 | 10 | 12 | 13 | 34-40 | 42 |
| 16. კაენი | 35 | 10 | 11 | 14 | 42-49 | 41 |
| 17. მონაკო | 35 | 8 | 16 | 11 | 34-37 | 40 |
| 18. ნანსი | 35 | 10 | 9 | 16 | 34-48 | 39 |
| 19. ლანსი | 35 | 7 | 13 | 15 | 34-52 | 34 |
| 20. არლი | 35 | 1 | 11 | 23 | 18-67 | 14 |

**მომდევნო ტური:**

15 მაისი: არლი-ტულუზი, კაენი-მონპელიე, მონაკო-ლანსი, ნანსი-ნიცა, სტ. ეტიენი-რენი, ვალანსიენი-ოსერი, ლორიანი-მარსელი

16 მაისი: ბრესტი-ლიონი

18 მაისი: ბორდო-პსჟ, ლილი-სოშო

ლივერპული

# დალგლიშის სამი წელიწადი

"ლივერპული" მომავალ უქმეებზე პრემიერლიგის ბოლო საშინაო შეხვედრას "ტოტენჰემთან" გამართავს. უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მერსისაიდელთა ფანებმა მშვენიერი ინფორმაცია შეიტყვეს – კლუბმა მთავარ მწვრთნელ **კენი დალგლიშთან** ახალი 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. შეგახსენებთ, რომ 60 წლის სპეციალისტი "ენფილდზე" იანვარში **როი ჰოჯსონის** ნაცვლად მოვიდა და იქამდე უმძიმეს კრიზისში მყოფი გუნდი შესანიშნავად აათამაშა. შოტლანდიელის თავკაცობით "წითლებმა" საქმის კეთება მე-11 ადგილიდან დაიწყეს და მეხუთემდე აღზევდნენ. თუკი ისინი "დეზებსაც" დაამარცხებენ, პრაქტიკულად გაინაღდებენ კიდეც ამ ადგილს. მოლაპარაკება მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელთან ახალ ხელშეკრულებაზე აპრილიდან მიდიოდა. მოხდა ის, რასაც ყველა ელოდა – მხარეებმა კონტრაქტი 2014 წლამდე გააფორმეს. კლუბმა დააკმაყოფილა დალგლიშის თხოვნა და 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა მის თანაშემწე **სტივ კლარკსაც**. *"როცა იანვარში "ლივერპული" ჩავიბარე, ვთქვი, რომ მოხარული ვიქნებოდი, გუნდს სეზონის ბოლომდე დავხმარებოდი,* - განუცხადა კლუბის ოფიციალურ საიტს მწვრთნელმა. *– მერე კი ხელმძღვანელობამ ჩემთან კონტრაქტის გახანგრძლივება მოინდომა. ეს ფანტასტიკურია. მე და სტივმა "ლივერპულს" ჩვენი ბედი 2014-მდე დავუკავშირეთ. ჯონ ჰენრიმ (მესაკუთრე) და ტომ ვერნერმა (დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე) დიდი დრო დახარჯეს იმაზე ფიქრში, რა იქნებოდა კლუბის მომავლისთვის უკეთესი. მათ მშვენივრად ესმით ისიც, რა სურთ გულშემატკივრებს და როგორი უნდა იყოს "ლივერპული" მომავალში. ეს უნიკალური კლუბია, სწორედ ამიტომ მე უბედნიერესი ადამიანი ვარ, როცა მაქვს შანსი, რალაც განსაკუთრებულის შენებაში აქტიური როლი ვითამაშო.*

*მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ჩემს ფეხბურთელებს თავდადებისთვის. მათ დიდებულად წარმოაჩინეს თავიანთი თავი. მადლობას ვუხდი კლუბის ყველა თანამშრომელს, რადგან ჩემი დაბრუნების დღიდან მათგან დიდ სითბოს ვგრძნობ. მინდა, სტივ კლარკის ღვაწლი ცალკე აღვნიშნო. მან "ლივერპულს" თავისი დიდი გამოცდილება და ცოდნა თვალში საცემად დაატყო. ვიცი, რომ მისი წყალობით ფეხბურთელები დიდ სიამოვნებას იღებენ სავარჯიშო პროცესისგან და სწორად აღიქვამენ ყოველი მატჩის მნიშვნელობას".*

*"კენი "ლივერპულისთვის" ლეგენდარული ფიგურა იყო როგორც ფეხბურთელი და ასეთად რჩება მენეჯერის რანგშიც,* - განაცხადა ჯონ ჰენრიმ. *– დაბრუნების დღიდან მან გამორჩეული როლი იკისრა, გამოავლინა ლიდერის თვისებები და საუკეთესო გამოსწურა ყველა იმ ადამიანს, ვინც კლუბში მუშაობს. ხელმძღვანელები მალევე მივხვდით, რომ დალგლიშის მოსვლამ კლუბის გარშემო შექმნილი ატმოსფერო ერთბაშად გარდაქმნა. სხვას არავის შეეძლო ამის გაკეთება და სწორედ ამიტომ ვარ ასეთი ბედნიერი, რომ მასთან ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ. ჩვენ არც კი გაგვჩენია იმის სურვილი, "ლივერპულისთვის" სხვა მწვრთნელი გვეძებნა. მასთან მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ მასავით აქაურობა არავის უყვარს. კენის შეუძლია ჩამოაყალიბოს დიდი გუნდი, რაშიც ფანებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებაც დაეხმარება. მოკლედ, დალგლიში არის "ლივერპულის" გზა.*

*კლუბს თავისი განსაკუთრებული სტატუსი აქვს საფეხბურთო სამყაროში. კენის აქ ყოფნა იმის გარანტიაა, რომ ტალანტებს უფრო იოლად მოვიზიდავთ და ჩვენს მიზნებს უფრო ადვილად განვახორციელებთ. მოხარულები ვართ, რომ კონტრაქტი გავაფორმეთ სტივ კლარკთანაც, რადგან მისი ღვაწლი ბოლო პერიოდის წარმატებებში ძალიან დიდი იყო".*



კენი დალგლიში

სადისციპლინო საკითხი

# ბუსკეტსს სასჯელი ელოდება

უეფას შესაბამისმა კომიტეტმა დისციპლინარული საქმე აღძრა "ბარსელონას" 22 წლის საყრდენი ნახევარმცველის **სერხიო ბუსკეტსის** წინააღმდეგ. კატალონიელი ეჭვმიტანილია "რეალის" მარცხენა მცველ **მარსელოს** რასისტულ ნიადაგზე შეურაცხყოფაში. საქმე ეხება 27 აპრილს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური შეხვედრისას მომხდარ ინციდენტს. კომიტეტმა აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მას შემდეგ დაიწყო, რაც "რეალის" წარმომადგენლებმა უეფაში შესაბამისი საბუთები წარადგინეს. კომისიის სხდომა, კვირას, 15 მაისს შედგება. დასკვნა იმავე საღამოს გადაეგზავნება "ბარსელონას", - გვამცნობს უეფას ოფიციალური საიტი.



სერხიო ბუსკეტსი

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● იტალიის თასი. 1/2 ფინალი

# სულ არაფერს, თასი სჯობია

## ძანეტის საოცარი მიღწევა

**ინტერი–რომა 1:1 (0:1)**

**ინტერი (4-4-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, კივუ, ლუსიო, ნაგატომო - კამბიასო, მარიგა, ძანეტი, ხარჯა (75. მოტა) - ეტოო, პაცინი (67. მილიტო).

**რომა (4-2-3-1):** დონი - კასეტი, ჟუანი, ნ. ბურდისო, რიისე - პისარო (46. გრეკო), დე როსი - პეროტა, სიმპლისიო (56. ვუჩინიჩი), მენეზი (73. კაპრარი) - ბორიელო.

**გოლები:** 1:0 ეტოო (58), 1:1 ბორიელო (74).

სეზონის წინ, „ინტერისთვის" იტალიის თასის მოგება ნამდვილად არ იყო პრიორიტეტული, მაგრამ სულ არაფერს ნამდვილად სჯობია და ამად იყო, რომ „რომასთან" ნახევარფინალურ პაექრობებში მილანელებმა მაქსიმუმი გაილეს. ეს მაშინ, როდესაც დედაქალაქელებისთვის უმთავრესი მაინც ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და გამომდინარე ყველაფერ ზემოთქმულიდან, „ნერაძურის" გამარჯვება სრულიად ლოგიკურად მოჩანს.



ძანეტი 1000-იანთა კლუბში

მილანელებმა პირველივე შეხვედრაში მოიპოვეს დიდი უპირატესობა - **დეიან სტანკოვიჩის** გოლის წყალობით რომში დაამარცხეს მეტოქე და დიდი ნაბიჯი გადადგეს ფინალში გასასვლელად. განმეორებით შეხვედრაში „ინტერს" მხოლოდ უპირატესობის შენარჩუნება ევალებოდა და დასახულ მიზანს განსაკუთრებული პრობლემების გარეშე მიაღწია.

ორივე გუნდი საკმაოდ სერიოზული დანაკლისით შეხვდა მატჩს - **ლეონარდომ** დეიან სტანკოვიჩი, **ვესლი სნეიდერი** და **ანდრეა რანოკია** ვერ დაიხმარა, **ვინჩენცო მონტელამ** კი თვით **ფრანჩესკო ტოტი**. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და ერთი პერიოდი, მილანელებმა ბურთიც კი დაუმალეს მეტოქეს. თუმცა, დამაგვირგვინებელ ფაზაში აკლდათ სიმწვავე და რომაელმა მცველებმა პირველ დაწოლას გაუძლეს. ტაიმის შუაწელიდან შედარებით გათანაბრდა თამაში და ხიფათი მასპინძელთა კართანაც შეიქმნა - **მარკო ბორიელომ** მეტოქის საჯარიმოში მიიღო ბურთი, კარგად შეტრიალდა და ძლიერად დაარტყა, თუმცა ბურთი ზემოდან გადაცდა **ჟულიო სეზარის** კარს. ბორიელოს კიდევ ერთხელ შეეძლო თავის გამოჩენა, საშუალო დისტანციიდან დაარტყა, თუმცა ამჯერად კიპერმა იმარჯვა. მილანელთა რიგებიდან **სამუელ ეტოო** იყო განსაკუთრებულად აქტიური, ერთ-ერთ ეპიზოდში გატანის ძალიან კარგი შანსი ჰქონდა, თუმცა მიზანმა უმტყუნა.

მეორე ნახევარში მონტელამ ინერტული **დავიდე პიზარო** მოხსნა თამაშიდან და მის ნაცვლად ბრძოლაში **ლეანდრო გრეკო** ჩართო. მოგვიანებით, **მირკო ვუჩინიჩიც** ჩაერთო თამაშში და „რომა" კიდევ უფრო გააქტიურდა, თუმცა გოლი აქეთ მიიღო - ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ, ბურთი სამუელ ეტოოს მიუვიდა ხელსაყრელ პოზიციაზე, ბევრი აღარ უფიქრია, დაარტყა და ანგარიშიც გახსნა, 1:0. საერთო ჯამში, მილანელები ორი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ და თავი ქუდში დაიგულეს, თუმცა ბოლო ათი წუთი მაინც მოუწიათ ნერვიულობამ. 74-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც შეცვლაზე შესულმა 17 წლის **კაპრარმა** კარგად ჩააწოდა ფლანგიდან, მარკო ბორიელომ **ლუსიოს** აჯობა და თავური დარტყმით შეხვედრის საბოლოო რეზულტატი დააფიქსირა, 1:1. დარჩენილ დროში საინტერესო აღარაფერი მომხდარა და ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მილანის „ინტერმა" მოიპოვა.

ნამატჩევს ლეონარდომ კმაყოფილება გამოთქვა შეგირდების გარჯით: *„ძალიან კარგი იქნება თუ სეზონს უტიტულოდ არ დავასრულებთ და ამისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. წინ გადამწყვეტი მატჩია, რომლისთვისაც სრული მობილიზება უნდა გამოვაცხადოთ. ბევრმა ჩათვალა, რომ „პალერმოს" ფინალში გასვლით გაგვიმართლა, თუმცა პირადად მე ასე არ ვიტყოდი. დელიოროსის გუნდისთვის თასის მოგებას ეპოქალური მნიშვნელობა ექნება და თავად განსაჯეთ, როგორი მოტივაციით დაგვიპირისპირდებიან სიცილიელები. ამიტომ, თუ მეტოქეს სათანადოდ არ შევაფასებთ და ბოლომდე არ დავიხარჯებით, აუცილებლად დავისჯებით. თუმცა, დღევანდელი თამაში ნათელი დადასტურებაა იმის, რომ ჩემს განკარგულებაში პროფესიონალი ფეხბურთელები არიან, რომლებსაც დამატებითი მოტივირება არ სჭირდებათ".*

ვინჩენცო მონტელა კიდევ უფრო ვრცელი იყო: *„პირველ ტაიმში კარგად ვიცავდით თავს და კონტრშეტევებიც გამოგვდიოდა, აი მეორეში კი თამაში აირია, ზონები გაიხსნა, მღვრიე წყალში კი თევზი „ინტერმა" დაიჭირა. ჩვენი მიზანი თავიდანვე ორი გოლის გატანა იყო, თუმცა მხოლოდ ერთხელ შევარხიეთ მეტოქის კარის ბადე და ფინალს მილმა დავრჩით. მთავარია, დროზე დავივიწყოთ წარუმატებლობა და სერია A-ს დარჩენილ ორ ტურზე გადავერთოთ. ორი გადამწყვეტი მატჩის ჩატარება მოგვიწევს და იმედია, ჩემპიონთა ლიგის საგზური სწორედ ჩვენ დაგვრჩება. ძალიან რთული სეზონი გამოვიდა და ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ მაჟორულ ნოტაზე დავასრულოთ".*

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც „პალერმოს" თასის ფინალში გასვლამ გამოიწვია - გამომდინარე იქიდან, რომ მომდევნო სეზონში „ინტერი" ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს, ევროპის ლიგის საგზური სიცილიელებმა უკვე გაინაღდეს. - ეს კი იმას ნიშნავს, რომ სერია A-დან მხოლოდ ორი გუნდი გავა ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირზე. ანუ, ამ დროისთვის ევროპის ლიგის ზონაში „ლაციო" და „რომა" არიან, ტურინის „იუვენტუსი" კი ევროზონის მიღმაა დარჩენილი.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხავიერ ძანეტი 1000-იანთა კლუბში გაწევრდა - ეს კი იმას ნიშნავს, რომ პროფესიულ კარიერაში სწორედ ამდენი შეხვედრა აქვს ჩატარებული. „რომასთან" პაექრობა საიუბილეო იყო არგენტინელისთვის და ბუნებრივია, ეს საოცარი მიღწევა საგანგებოდ აღინიშნა.

**ლაშა ნიკლაური**

● U-17. ევროპის ჩემპიონატი

# ისევ გერმანია და ჰოლანდია

კაილ ებესილიომ ჰოლანდია ფინალში გაიყვანა



3-დან 15 მაისის ჩათვლით სერბეთი ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს 17-წლამდელ ფეხბურთელთა შორის. გუშინ შეჯიბრების ნახევარფინალური ფრაზა დასრულდა და გამოვლინდა ის ორი ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს: ჰოლანდია და გერმანია.

ეს სწორედ ის ასაკობრივი ტურნირია, სადაც საქართველოს ნაკრებმა **კობა ჟორჟიკაშვილის** მეთაურობით ელიტრაუნდამდე მიაღწია, თუმცა იქ სამივე თამაში წააგო და ევროპის ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა. ფინალურ ეტაპზე 8 ნაკრები გავიდა, რომელიც ორ ჯგუფში განთესეს. A ჯგუფი ქულათა მაქსიმუმით დანიის ნაკრებმა მოიგო, **ჯონ პიკოკის** ინგლისის ნაკრები 4 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. ჯგუფში საფრანგეთისა და სერბეთის გუნდები ჩარჩნენ. B ჯგუფში ჰოლანდიის ნაკრებმა იპირველა 7 ქულით, გერმანია ნახევარფინალში 4 ქულით გავიდა, ჯგუფში კი ჩეხეთი და რუმინეთი ჩარჩნენ.

პირველ ნახევარფინალში, რომელშიც ლაინსმენად **გიორგი ყრუაშვილმა** იმსაჯა, ნოვი სადში ჰოლანდიის ნაკრებმა ტიტულის მფლობელი ინგლისი გამოთიშა - 1:0. გამარჯვების გოლი 26-ე წუთზე ჰოლანდიელთა ნახევარმცველმა **კაილ ებესილიომ** გაიტანა. ზედიზედ მე-6 მატჩია, რაც ჰოლანდიელებს გოლი არ გაუშვიათ. ისინი 2005 წლის შემდეგ მესამედ გავიდნენ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალში.

სხვათა შორის, ებესილიო „არსენალის" ფეხბურთელია და „მეთოფეთა" სარეზერვო გუნდში თამაშობს. 17 წლის ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი ლონდონში შარშან ზაფხულში „ფეიენოორდიდან" გადავიდა. ჰოლანდია ფინალშია, ინგლისმა კი მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა იფიქროს, რომელიც ივნისში მექსიკაში გაიმართება. იქ 8-დან 6 ევროპული ნაკრები მოხვდა (სერბებსა და რუმინელებს არ გაუმართლათ).

**ალბერტ სტუივენბერგი** (ჰოლანდიის მწვრთნელი): *„ვფიქრობ, ჩვენ უკეთესი გუნდი ვიყავით და გამარჯვება დავიმსახურეთ. შეგვეძლო, პირველ ტაიმშივე 2:0 დავწინაურებულიყავით და ამით ინტრიგას მოვკლავდით. გულშემატკივრები დაგვეთანხმებიან, რომ მათ ძალიან კარგი თამაში იხილეს. ბიჭები ჯერ კიდევ უშვებენ შეცდომებს, ისინი ხომ ძალზე ახალგაზრდები არიან, თუმცა მე მათი თამაშით კმაყოფილი ვარ".*

**ჯონ პიკოკი** (ინგლისის მწვრთნელი): *„ასეთ დაძაბულ შეხვედრაში გოლს ოქროს ფასი აქვს. ჰოლანდიას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, ისინი უბრალოდ არ უშვებენ გოლებს. ისინი ძალზე ახლოს იყვნენ ხოლმე მიზანთან და შესაძლოა, წლეულს მათი გამარჯვების დროცაა".*

მეორე ნახევარფინალში დანიის ნაკრები **შტეფან ფროინდის** გერმანიას დაუპირისპირდა. მეორე ტაიმში **კაან აიჰანისა** და **ნილს კუაშნერმა** გერმანიას 2:0 მოაგებინეს. მაშ ასე, 15 მაისს ნოვი სადში გერმანიისა და ჰოლანდიის ნაკრებები გაარკვევენ საუკეთესოს. 2009 წელსაც ფინალში ერთმანეთს ეს ნაკრებები დაუპირისპირდნენ. მაშინ მასპინძელმა გერმანელებმა დამატებით დროში 2:1 მოიგეს. მაშინ გამარჯვების გოლი ბრემენის ვერდერის ფორვარდმა **ფლორიან ტრინკსმა** გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● კვირის [illegible]

### ჩიჩარ[illegible] მესი გახდება!

ფეხბურთის ლეგენდა პელემ „მანჩესტერ იუნაიტედის" მექსიკელ თავდამსხმელ **ხავიერ ერნანდესზე** ილაპარაკა და „ჩიჩარიტო" „ახალ მესიდ" მონათლა. მექსიკელი ჩინებულ სეზონს ატარებს: 42 შეხვედრაში 20-ჯერ შეძლო გოლის გატანა და ლომის წილი დაიდო, „იუნაიტედისთვის" პრემიერლიგის ჩემპიონობა რომ გაინაღდეს. ასევე, „წითელი ეშმაკები" ჩემპიონთა ლიგის ფინალში არიან, სადაც კატალონიურ „ბარსელონას" დაუპირისპირდებიან. *„ის შესანიშნავი მოთამაშეა. მისი რამდენიმე თამაში ტელევიზორის საშუალებით ვნახე და ფანტასტიკური ფეხბურთელის შთაბეჭდილება დამიტოვა. მას შეუძლია ლიონელ მესის დონეს მიაღწიოს. ის ისეთივე სიურპრიზია, როგორიც ჰუგო სანჩესი გახლდათ — ჩიჩარიტოს გოლის საოცარი ალღო აქვს. ცოტა ხანი ვაცადოთ, გამოავლინოს მექსიკის ნაკრებშიც თავისი სრული შესაძლებლობები და მერე მის უდიდეს პოტენციალს დავინახავთ".*

### ბაიერნი: 21 მილიონი ნოიერის სანაცვლოდ

მიუნხენის „ბაიერნის" მმართველი დირექტორი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** „შალკეს" სპორტულ დირექტორ **ჰორსტ ჰელდტცს** ამ სეზონში უკვე მეორედ შეხვდა გელზერკინხენთა კიპერ **მანუელ ნოიერის** ტრანსფერთან დაკავშირებით. მიუნხენური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში წერია: *„ჩვენ მანუელ ნოიერი ძალიან გვჭირდება და მის სანაცვლოდ მზად ვართ, 21 მილიონი გავიღოთ".* შეგახსენებთ, რომ ნოიერი ამ სეზონის დასრულებისთანავე ნებისმიერ ვარიანტში დატოვებს „შალკეს" — მას კონტრაქტი უმთავრდება, რომლის გაგრძელებაზე მანუმ უარი თქვა.

### დავიდ ლუიზზე ჯოხი არ უნდა გადატყდეს!

მოგეხსენებათ, კვირას, „ოლდ ტრეფორდზე" პრემიერლიგის „დიდი ოთხეულის" ერთ-ერთ შეხვედრაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ლონდონის „ჩელსი" 2:1 დაამარცხა და ამით ფაქტობრივად გაინაღდა პირველი ადგილი. ამ მატჩს კი „სანის" ჟურნალისტი **სტივენ ჰოვარდი** გამოეხმაურა, რომლის მოსაზრებები „ლელოს" მკითხველთათვის არაერთხელ გვითარგმნია. *„სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა დამსახურებულად იმარჯვა, - წერს ჰოვარდი - ისინი ძალზე დიდ უპირატესობას ფლობდნენ. როგორც სერ ალექსმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, მეტოქე გუნდიდან გამორჩეული ფეხბურთელი მეკარე პეტრ ჩეხი გახლდათ, რომელმაც 2-3 რთული ბურთი აიღო და დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მე კი ვფიქრობ, რომ მარცხი მხოლოდ დავიდ ლუიზს არ უნდა დავაბრალოთ: კი, ბატონო, შეცდა პირველი გოლისას, მაგრამ მას ტრავმაც ჰქონდა და ესეც გასათვალისწინებელია".*

### კვირის სიმბოლური

**(4-4-2): ედვინ ვან დერ სარი** (მანჩესტერ იუნაიტედი) — **გლენ ჯონსონი** (ლივერპული), **პეტრი პასანენი** (ვერდერი), **ჟუანი** (რომა), **კარლოს მარჩენა** (ვილიარეალი) — **არიენ რობენი** (ბაიერნი), **ლუის ჰოლტბი** (მაინცი), **გრეგ უილანი** (სტოკ სიტი), **მესუთ იოზილი** (რეალი) — **ლუის სუარესი** (ლივერპული), **მარიო გომესი** (ბაიერნი).

### კვირის გმირები

კვირის გმირებად ჩვენ მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელებს ვასახელებთ, რომელთაც „ზანკტ პაულის" სტუმრად 8:1 (!) სძლიეს. **არიენ რობენმა**, **ფრენკ რიბერიმ** და **მარიო გომესმა** დუბლები მიითვალეს, ერთი გოლი კი **დანიელ ვან ბუიტენმა** გაიტანა.

**გიორგი ფულარიანი**

## უცხოური ფეხბურთი

### ბომბარდირი

# გომესმა შეიგნო

## 100 გოლი ბუნდესლიგაში და პირველი ზარბაზანი




წინა უქმეებზე, „ზანკტ პაულისა“ და „ბაიერნის“ მატჩში **მარიო გომესმა** ანგარიში 7:1 რომ გახადა, ეს მიუნხენელთა თავდამსხმელისთვის ბუნდესლიგაში რიგით მე-100 გოლი იყო. აქედან, გომესს 37 გოლი რეკორდმაისტერის ფორმით აქვს გატანილი, 63 კი ყოფილი გუნდის, „შტუტგარტის“ შემადგენლობაში შეაგდო. ამ სეზონში კი გომესს 27 გოლი დაუგროვდა და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის ბრძოლაში პირველობა გაინაღდა. სიმბოლურია ის, რომ ბოლო ტურში გომესი სწორედ „შტუტგარტის“ წინაალმდეგ ითამაშებს.

ამ შეხვედრაში მარიოს ამბიცია ბომბარდირის სტატუსის საბოლოოდ გაფორმება იქნება, ზოგადად „ბაიერნის“ მიზანი კი მეორე ადგილის დაკავებაა. თუმცა 27 გოლის მარიოს ფაქტობრივად აძლევს იმის გარანტიას, რომ ბოლო ტურში უპირველესი მდევარი, ფრაიბურგელი **პაპის დემბა სისე** ველარ გადაასწრებს. სისესთან დუელი თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში დაძაბულად მიმდინარეობდა, მაგრამ მარტო ბოლო ოთხ მატჩში გომესმა 8 გოლის გატანა შეძლო და ფრაიბურგელს ახლა ხუთი გოლით უსწრებს.

თუკი მარიო იმდენს მოახერხებს, რომ „შტუტგარტთან“ ზედიზედ მესამე ჰეთ-თრიკსაც შეასრულებს, 30 გოლი დაუგროვდება, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ ბუნდესლიგის ისტორიაში ბოლო 34 წლის განმავლოვაში, საუკეთესო ბომბარდირმა პირველად შეძლო 30 გოლის გატანა. ასეთი შედეგი ბოლოს, რა თქმა უნდა, **მიულერს** ჰქონდა, ოღონდ არა **გერდს**, არამედ **დიტერს** (1976/77 წლების სეზონში), რომელიც „კიოლნის“ ღირსებას იცავდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, რაც გომესი ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო და სტაბილურ გოლეადორად მიიჩნევა, საუკეთესო ბომბარდირობას აქამდე ვერაფრით ახერხებდა - ხან ვინ სჯობნიდა, ხან ვინ. გერმანიის ნაკრებში კი, მარიო უფრო არასტაბილური იყო, მნიშვნელოვან შეხვედრებში გოლების გატანას ვერ ახერხებდა და დღემდე მიიჩნევა, რომ ბუნდესგუნდის პირველი ცენტრფორვარდი მაინც **მიროსლავ კლოზეა** და არა გომესი - ის კლოზე, რომელსაც „ბაიერნში“ გომესის დუბლიორის როლი აქვს.

გომესმა „ბაიერნში“ პირველი სეზონი ჩააგდო, რის გამოც მაგრადაც აკრიტიკებდნენ და ბევრმა ექსპერტმა რეკორდმაისტერის მიერ შტუტგარტისთვის გადახდილი ბუნდესლიგისთვის სარეკორდო თანხა, 35 მილიონი ევრო, წყალში გადაყრილ ფულად მონათლა. ამ სეზონში კი უკვე სულ სხვა, გაცილებით შედეგიანი გომესი ვიხილეთ, რომელიც მიუხედავად „ბაიერნის“ წარუმატებლობებისა, გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხდება. შესაბამისად, მისთვის კომპლიმენტებს არც ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** იშურებს: *„ის ფაქტი, რომ 33 ტურის შემდეგ 27 გოლი აქვს გატანილი, გომესის გოლეადორულ ნიჭზე იდეალურად მეტყველებს და მისი შესაძლებლობების დამადასტურებელი საბუთია. რაც ყველაზე მთავარია, მარიო თავდაჯერებული გახდა და საკუთარი ძალები ირწმუნა. მიუხედავად იმისა, რომ სეზონის წინ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში თამაშს არავინ ჰპირდებოდა, დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის თავდამსხმელია“*, - აცხადებს ლიოვი.

ძირითად შემადგენლობაში გარანტირებული ადგილის არქონა ზედმეტად რბილი ნათქვამია - გომესის მდგომარეობა კი უფრო რთული იყო. თვითონ განსაჯეთ: სეზონის წინ, მარიო „ბაიერნის“ რიგით მესამე ცენტრფორდვარდად მიიჩნეოდა, მირო კლოზე და **ივიცა ოლიჩი** მასზე წინ იდგნენ. ამიტომაც იყო, რომ გომესი აგვისტოში სერიოზულად ფიქრობდა „ბაიერნიდან“ გაქცევაზე და კინაღამ „ლივერპულში“ ამოყო თავი. მერე კი, ოლიჩმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და გაირკვა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ვერ ითამაშებდა, კლოზე კი ცუდ ფორმაში იყო, რითაც გომესმა ასი პროცენტით ისარგებლა და პირველი ცენტრფორვარდის სტატუსი მიიღო. გარდამტეხი მე-8 ტური აღმოჩნდა, რომელშიც გომესმა „ჰანოვერთან“ შეხვედრაში (3:0) ჰეთ-თრიკი შეასრულა. ამით მან ერთი მხრივ უმძიმესი წნეხი მოიშორა, მეორემხრივ კი თავდაჯერება მოემატა. საფინალო სასტვენის შემდეგ, მრავალგზის გაკრიტიკებული მარიო ფანებთან არ მისულა - პირდაპირ კატაკომბებში გაუჩინარდა, რაც ძალიან იშვიათი შემთხვევაა. მატჩის გმირები გულშემატკივრებთან ხომ პირველები მირბიან ხოლმე.

იმ შეხვედრის შემდეგ გომესმა თქვა, იმედი მაქვს, რომ კრიტიკოსებისგან ახლაც მივილებ რჩევებსო, „ზიუდდოიჩე ცაითუნგი“ კი „ბაიერნი“-„ჰანოვერის“ მიმოხილვაში წერდა: *„ვინც ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ მარიო გომესმა ერთ შეხვედრაში სამი გოლის გატანა შეძლო, აჰა, კიდევ ერთხელ ნახეთ ტექნიკური მონაცემები...“*

საერთო ჯამში, გომესმა ამ სეზონში ხუთჯერ შეძლო ჰეთ-თრიკის შესრულება. ერთი წლის წინ კი, ყველა იმას ამბობდა, გომესს გოლების გატანა მარტო „შტუტგარტში“ შეეძლო, გუნდში, სადაც ყველა ნახევარმცველი მხოლოდ მასზე მუშაობდა და გუნდში, რომელსაც მეტოქეები დაცვაში ისე არ უდგებიან, როგორც „ბაიერნსო“.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ თვითონ მარიო გომესმა უნდა იცოდეს, რატომ ვერ გაჰქონდა გოლები „ბაიერნში“ ამ სეზონამდე. ხოლო ის ფაქტი, რომ მარიო სწორედ „ბაიერნში“ ხდება ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი და აღწევს ისეთ წარმატებას, რაც „შტუტგარტის“ რიგებში ამ გუნდის საჩემპიონო სეზონშიც (2007 წელს) ვერ მოახერხა, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მან ბოლოს და ბოლოს შეიგნო და შეისისხლხორცა, რა როლი აქვს მიუნხენურ გრანდში - მეტოქის კარის წინ თუ საერთოდ გუნდში.

### მარიო გომესის გოლები ბუნდესლიგაში

ამ ცხრილით ნათლად დაინახავთ მარიო გომესის შედეგიანობას 2003 წლიდან დღემდე. შეგახსენებთ, რომ მას ბუნდესლიგაში დებიუტი სწორედ 2003/2004 წლების სეზონში ჰქონდა. რაკი მიმდინარე სეზონის საუკეთესო ბომბარდირობა გომესს ოფიციალურად ჯერ არ გაუნაღდებია, ცხრილში ამ სეზონის ბომბარდირის ვინაობა მაინც კითხვის ნიშნით დავწერეთ. სხვა სეზონებში, კი შეგიძლიათ, მისი შედეგები საუკეთესო ბომბარდირების შედეგებს შეადაროთ.

| სეზონი | გ. | საგ. პასი | თამ. | ბომბ. (ბუნ.)/გოლი |
|---|---|---|---|---|
| 2010/2011 | 27 | 5 | 31 | მარიო გომესი? |
| 2009/2010 | 10 | 5 | 29 | ედინ ჯეკო (ვოლფსბურგი)/22 |
| 2008/2009 | 24 | 8 | 32 | გრაფიტე (ვოლფსბურგი)/28 |
| 2007/2008 | 19 | 3 | 25 | ლუკა ტონი (ბაიერნი)/24 |
| 2006/2007 | 14 | 8 | 25 | თეოფანის გეკასი (ბოხუმი)/20 |
| 2005/2006 | 6 | 3 | 30 | მიროსლავ კლოზე (ვერდ.)/25 |
| 2004/2005 | 0 | 0 | 8 | მარეკ მინტალი (ნიურნბ.)/24 |
| 2003/2004 | 0 | 0 | 1 | აილტონი (ვერდერი)/28 |

### გერმანიის ნაკრები

# უბალაკოდ, მაგრამ როისით!

## ლიოვი ურუგვაისთვის, ავსტრიისა და აზერბაიჯანისთვის მზადებას იწყებს


მიხაელ ბალაკი

გუშინ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ის შემადგენლობა დაასახელა, რომლითაც 29 მაისს ურუგვაის (ამხანაგური მატჩი), 3 ივნისს ავსტრიას და 7 ივნისს აზერბაიჯანს (ორივე ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრაა) დაუპირისპირდება. როგორც მოსალოდნელი იყო, სიაში ისევ არ არის კაპიტანი **მიხაელ ბალაკი**. სამაგიეროდ, იოგიმ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ახალგაზრდა გარემარბ **მარკო როისს** უხმო, რომელსაც ბუნდესგუნდში დებიუტი ექნება.

*„მიხაელ ბალაკი გამოძახებულთა სიაში არ არის, რაც მასთანაც შევათანხმე. ბოლო დღეებში ბალაკს ხშირად ვესაუბრებოდი, მარტში კი შევხვდი კიდეც,“* - ასე განმარტა ლიოვმა ბალაკის გამოუძახებლობა მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ტრავმირებული დიდი ხანია აღარ არის. თუმცა ბალაკის გამოუძახებლობა სიურპრიზი არავისთვის ყოფილა. მართალია, სანამ 34 წლის ნახევარმცველი ტრავმირებული იყო, ლიოვი ამბობდა, როგორც კი ფორმაში ჩადგება, აუცილებლად ვუხმობო, მაგრამ როგორც ხედავთ, მიხაელზე მაინც უარს ამბობს. არადა, **სამი ხედირა** ტრავმირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ უცნობია, ვინ ითამაშებს მეორე საყრდენად, **ბასტიან შვაინშტაიგერის** გვერდით. ხედირა გამოძახებულია, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ შეხვედრებში მისი ასპარეზობა კითხვის ნიშნის ქვეშაა. დიდი შანსია, რომ ლიოვმა შვაინშტაიგერის გვერდით ბალაკის თანაკლუბელი **სიმონ როლფესი** ათამაშოს.

სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრებში დებიუტისთვის ემზადება „გლადბახის“ უნიჭიერესი გარემარბი მარკო როისი. ლიოვს ეს უკანასკნელი ორჯერ უკვე ჰყავდა გამოძახებული, მაგრამ როისს ორივეჯერ ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და ბუნდესგუნდში მისი დებიუტი დღემდე არ შემდგარა. *„როისი შესანიშნავ ფორმაშია და ამიტომაც გამოვიძახე. ვფიქრობ, უკვე დროა, რომ გერმანიის ნაკრებში ითამაშოს“*, - ამბობს იოგი.

ლიოვს ცენტრალურ მცველ **პერ მერტეზაკერსა** და მარჯვენა მცველ **ჟერომ ბოატენგზე** უარის თქმა მოუხდა - ორივეს ტრავმები აწუხებს. მართალია, მერტეზაკერი „ვერდერში“ თამაშობს, მაგრამ ამას გამაყუჩებლებით ახერხებს, რის გამოც გერმანიის ნაკრებში პერის თამაში სარისკო იყო. სიაში არ არის „ჰამბურგის“ მცველი **ჰაიკო ვესტერმანიც**, რომლის გამოძახებას ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობდნენ. გამოძახებულთა შორის ყველაზე მეტი ფეხბურთელი „ბაიერნიდანაა“ (შვიდი), ჩემპიონი „დორტმუნდიდან“ კი იოგიმ მხოლოდ 4 ფეხბურთელს უხმო. გერმანიის ნაკრები 26 მაისს ფრანკფურტში შეიკრიბება, ახლა კი გადახედეთ საბოლოო სიას:

**მეკარეები:** მანუელ ნოიერი (შალკე), რენე ადლერი (ლევერკუზენი), ტიმ ვიზე (ვერდერი).

**მცველები:** დენის აოგო (ჰამბურგი), ჰოლგერ ბადშტუბერი (ბაიერნი), არნე ფრიდრიხი (ვოლფსბურგი), მატს ჰუმელსი (ბორუსია დ), ფილიპ ლამი (ბაიერნი), მარსელ შმელცერი (ბორუსია დ), კრისტიან ტრეში (შტუტგარტი).

**ნახევარმცველები:** სვენ ბენდერი (ბორუსია დ), სამი ხედირა (რეალი), მარიო გიოტცე (ბორუსია დ), ტონი კროოსი (ბაიერნი), მესუთ იოზილი (რეალი), თომას მიულერი (ბაიერნი), ლუკას პოდოლსკი (კიოლნი), მარკო როისი (ბორუსია მ), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი).

**თავდამსხმელები:** მარიო გომესი (ბაიერნი), ანდრე შიურლე (მაინცი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი)

### დორტმუნდის ბორუსია

# კაპიტნების დაკა-დაკა

## ვინ აღმართავს სინს: ნაღდი კელი თუ უფრო ნაღდი ვაიდენფელერი?

ხვალ, „აინტრახტთან“ ბოლო ტურის მატჩის შემდეგ, დორტმუნდის „ბორუსიას“ ვერცხლის სინს გადასცემენ. წესის მიხედვით, გერმანიის ჩემპიონობისთვის განკუთვნილი ჯილდო პირველად გუნდის კაპიტანმა უნდა აღმართოს, „ბორუსიაში“ კი ამ მხრივ ცოტა უცნაური მდგომარეობაა. საქმე ისაა, რომ გუნდის არჩეული კაპიტანი **სებასტიან კელი** ფაქტობრივად მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმირებული იყო, რომლის არყოფნაში, კაპიტნის სამკლავური მეკარე **რომან ვაიდენფელერს** ეკეთა. კელმა მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ ექვს შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა (აქედან, თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთხელ ითამაშა), ბოლოს კი, BVB-ს ფორმა 19 მარტს, „მაინცთან“ თამაშის დროს ეცვა. 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი მოედანზე გასვლას ხვალაც ვერ შეძლებს. მიუხედავად ამისა, ის არ ნებდება და უნდა, რომ „ვერცხლის სინი“ თვითონ აღმართოს.


რომან ვაიდენფელერი (მარცხნივ) და სებასტიან კელი

*„ვაიდენფელერთან ამ თემაზე არ მისაუბრია, მაგრამ ვფიქრობ, კითხვის ნიშანი არც უნდა ყოფილიყო, რადგან გუნდის კაპიტანი მე ვარ. შესაბამისად, სინის პირველად აღმართვის პატივიც მე უნდა მხვდეს წილად. მერე რა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში ტრავმირებული ვიყავი. გუნდი არასდროს მიმიტოვებია. რომ არა ტრავმა, ფაქტია, რომ მუდმივად ვითამაშებდი“* - აცხადებს კელი „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში. აქ მხოლოდ მის ბოლო წინადადებაში შეიძლება ეჭვის შეტანა, რადგან ჯანმრთელიც რომ ყოფილიყო, დიდი შანსია, მაინც სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსი ჰქონოდა, რადგან საეჭვოა, კელს **ნური შაჰინისთვის** ან **სვენ ბენდერისთვის** ეჯობნა.

ვაიდენფელერმა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება იუარა, „ბორუსიას“ მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** კი ამბობს: *„გერმანიის საფეხბურთო ლიგის წესების მიხედვით, სინი იმ მოთამაშემ უნდა აღმართოს, რომელიც ბოლო შეხვედრაში კაპიტანი იქნება, ეს კი რომან ვაიდენფელერია.“*

ბოლო სიტყვა ლიგის პრეზიდენტ **რაინჰარდ რაუბალზეა**, რომელიც კელს აკრიტიკებს, მესმის, რომ „ვერცხლის სინის“ აღმართვა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდისთვის ესოდენ მნიშვნელოვან, საზეიმო მომენტში ამ ამბავმა დავა გამოიწვიოსო. როგორც ჩანს, დავას ვაიდენფელერი მოიგებს...

#### კაგავა ბრუნდება

ამასობაში, „დორტმუნდის“ იაპონელი გამთამაშებელი **შინჯი კაგავა** საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ხვალ გუნდის განაცხადში იქნება. მართალია, ეს უკვე ბოლო ტურია, მაგრამ ახალგაზრდა პლეიმეიკერი მოედანზე გასვლას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. შეგახსენებთ, რომ კაგავამ ბუნდესლიგის პირველი წრე იდეალურად ჩაატარა, მაგრამ იანვარში, აზიის თასზე მძიმე ტრავმა მიიღო, რის გამოც 2011 წელს ბუნდესლიგაში არც ერთი თამაში არ ჩაუტარებია.

### ამბები

#### შტუტგარტის შენაძენი და დანაკარგი

პირველ ბუნდესლიგაში ალზევებულმა „აუგსბურგმა“ „ვოლფსბურგის“ წარმოშობით ქართველი ფეხბურთელის, **აკაკი გოგიას** გადაბირების შემდეგ, წამყვანი ფეხბურთელი დაკარგა: გუშინ გადაწყდა, რომ **იბრაჰიმა ტრაორე** მომავალი სეზონიდან კარიერას „შტუტგარტში“ გააგრძელებს. ტრანსფერი შვაბენლანდური კლუბის მენეჯერმა **ფრედი ბობიჩმა** დაადასტურა.

გვინეის ნაკრების ფეხბურთელ ტრაორეს „აუგსბურგთან“ კონტრაქტი უმთავრდება და „შტუტგარტში“ უფასოდ გადავა. შვაბებთან ის სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. აღსანიშნავია, რომ შვაბებს 23 წლის შემტევი ნახევარმცველის გადაბირება შარშანაც უნდოდათ. ტრაორემ მეორე ბუნდესლიგაში 16 შეხვედრა ჩაატარა და ერთი გოლის გატანა შეძლო.

ამასობაში, გაირკვა, რომ „შტუტგარტი“ დაცვის ბურჯ **მატიო დელპიერს** სავარაუდოდ ოქტომბრამდე ვერ გამოიყენებს. 30 წლის კაპიტანი ოთხშაბათის ვარჯიშზე მძიმედ დაშავდა და ექიმებმა იძულებითი პაუზა მინიმუმ ოქტომბრამდე გამოუწერეს.

#### ასამოას საკითხი ღიაა

„ზანკტ პაულიმ“ პირველ ბუნდესლიგაში ადგილი ვერ შეინარჩუნა და უკვე ცნობილია, რომ კიცელები მომავალ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში იასპარეზებენ. გაირკვა ისიც, რომ 18-წლიანი ერთგულების შემდეგ, გუნდს მწვრთნელი **ჰოლგერ სტანისლავსკიც** დატოვებს. აი, გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის, **ჯერალდ ასამოას** საკითხი კი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

*„მე არასდროს მითქვამს, რომ „ზანკტ პაულიდან“ მივდივარ. გამორიცხული არაა, რომ დავრჩე“*, - აცხადებს 32 წლის ასამოა. შეგახსენებთ, რომ ჯერალდი „ზანკტ პაულიში“ წინა ზაფხულს „შალკედან“ გადავიდა. გამორიცხული არაა, რომ გელზენკირხენულ კლუბში დაბრუნების შესაძლებლობაც მიეცეს, მაგრამ ასამოა ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ითხოვს, რასაც „შალკეში“ ვერ მიიღებს. სწორედ ამიტომ, სერიოზულად ფიქრობს „პაულიში“ დარჩენაზე.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბარსელონა

# ბარსა, ბარსა, ბარსა

## სამგზის გვარდიოლა და ექვსგზის ჩავი

„ბარსელონამ" ოქროს ქულა ვალენსიაში მოიპოვა, კატალონიელებს ფრეც ჰყოფნიდათ ლა ლიგის ზედიზედ მესამე (ისე კი 21-ე) ტიტულის მოსაგებად და მათ ზედმიწევნით განახორციელეს ამოცანა - „ლევანტეს" 1:1 ეთამაშნენ. ახლა, ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, „ბარსას" 92 ქულა აქვს. რომც დათმოს ორივე თამაში და „რეალმა" ქულათა მაქსიმუმი აილოს, „სამეფო კლუბი" ოდენ ქულათა რაოდენობით გაუთანაბრდება კატალონიურს. ამ შემთხვევაში კი ესპანეთში გადამწყვეტი ურთიერთშეხვედრებია. „ოქროს ქულა" კი „ბარსას" **სეიდუ კეიტამ** მოუტანა.

27-ე წუთზე **ჩავიმ** მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა და მაღალმა ნახევარმცველმაც ბრწყინვალე თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. „ლევანტე" სეზონის მეორე ნახევარში კარგად თამაშობს და ამ გუნდმა ეს ოთხშაბათსაც დაამტკიცა - **ფელიპე კაისედომ ჟერარდ პიკეს** უხეში შეცდომით ისარგებლა, გასცდა **ვიქტორ ვალდესსაც** და ტაიმის დასრულებამდე ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში კი საინტერესო მხოლოდ ის იყო, რომ ურუგვაელმა მეკარე **გუსტავო მუნუამ** არგენტინელ **ლეო მესის** არ დაანება გოლის გატანა, ერთხელ კი მას ძელიც შეეწია. როგორც ჩანს, „ბარსამ" ეს მცირე დუელი წააგო - **კრიშტიანო რონალდო** „ლა პულგას" 5 გოლით უსწრებს ბომბარდირთა დავაში და არა გვგონია, რომ პორტუგალიელმა ამხელა უპირატესობა ორ მატჩში გაანიავოს.

**ხოსეპ გვარდიოლა:** *„ლა ლიგის მოგება ძალიან რთულია. ამაში კლუბის ყველა წევრმა შეიტანა თავისი წვლილი. საქმე ბოლომდე მივიყვანეთ, ახლა ტიტულით ტკბობის დროა. მთავარი მაინც ფეხბურთელები არიან. რომ არა ისინი, არაფერიც არ იქნებოდა. ჩვენ ყველანი ძალიან ბედნიერები ვართ. ფაქტია, რომ ჩემპიონები ვართ და ეს ტიტული დამსახურებულად მოვიგეთ, კიდევ ერთი ბრწყინვალე სეზონი გვქონდა".*

**კარლეს პუიოლი:** *„ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია ჩვენთვის, ახლა კი დროა, დავიწყოთ „უემბლისთვის" მზადება".*

**სეიდუ კეიტა:** *„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა „ბარსას" ფანებისთვის. გოლს მეუღლეს, შვილებსა და ფანებს ვუძღვნი".*

**ლეო მესი:** *„ჩვენ ძალიან ბევრი ვიშრომეთ, რომ „რეალის" წინააღმდეგობა დაგვეძლია, ახლა კი ზეიმის დროა".*

**ხავიერ მასკერანო:** *„ეს ტიტული კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ „ბარსა" „მშიერი" გუნდია".*

**ვიქტორ ვალდესი:** *„ვიბრძოლეთ და სეზონში ყველაფერი ჩავაქსოვეთ, რაც შეგვეძლო. ტიტული იოლად არ მოგვიპოვებია, ამიტომ ახლა უფლება გვაქვს ბოლომდე მოვულხინოთ. ეს სეზონი ყველაზე რთული გამოდგა ჩვენთვის. ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ ბარსელონაში".*

**ჩავი:** *„ტიტულის მოპოვება ყოველთვის სასიამოვნოა, მით უფრო, როცა ის ძნელად მოსაგებია. გუნდმა დაიმსახურა ეს, მინდა „ბარსას" ყველა ფანს მივულოცო წარმატება".*

**ანდრეს ინიესტა:** *„ყველაფერი ისე სწრაფად ხდება, რომ ხეირიანად ზეიმს ვერ ვასწრებთ ხოლმე. ამ ლიგის მოსაგებად შესაძლებლობების მაქსიმუმის გაღებაა საჭირო".*

**დავიდ ვილია:** *„ახლა მხოლოდ ზეიმზე ვფიქრობთ".*

ეს უკვე მე-6 შემთხვევაა, როცა „ბარსელონამ" ლა ლიგის ტიტული გასვლით მატჩში მოიპოვა. ბოლოს ეს 2004/05 წლების სეზონში მოხდა, როცა გუნდს **ფრანკ რაიკაარდი** წვრთნიდა და მაშინაც ეს „სიუტატ დე ვალენსიაზე" მოხდა „ლევანტეს" წინააღმდეგ.

ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა ამ სეზონში იმდენი ინდივიდუალური თუ გუნდური რეკორდი დაამხო, კაცს თვლა აერევა. ინებეთ მათი ჩამონათვალი:

- **„ბარსელონამ" პირველ წრეში 52 ქულა დააგროვა და 61 გოლი გაიტანა, ორივე ესპანეთის ჩემპიონატის ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელია.**
- **„ბარსელონამ" 13 მატჩი მოიგო სტუმრად (ერთი საგარეო შეხვედრა კიდევ დარჩა), ეს კლუბის შარშანდელი მიღწევის გამეორებაა. ამდენივე შეხვედრა მოგებული აქვს „რეალს" და „ატლეტიკოსაც". ასე რომ, კატალონიელებს ახალი რეკორდის დამყარების ბრწყინვალე შანსი აქვთ.**
- **„ბარსელონამ" სტუმრად ზედიზედ 10 მატჩი მოიგო, ესპანეთის ჩემპიონატის ისტორიაში მსგავსი არავის გაუკეთებია.**
- **სტუმრად 46 გოლი გაიტანა, ესეც ახალი რეკორდია, თანაც გუნდს რეზერვში ერთი თამაში რჩება.**
- **„ბარსელონას" ეკუთვნის ლა ლიგის ყველაზე ხანგრძლივი მოგებათა სერია, რომელიც 16 ტური გაგრძელდა - მე-7 ტურიდან 22-ემდე.**
- **„ბარსელონამ" სტუმრად ზედიზედ 23 მატჩი არ წააგო - 2010 წლის თებერვლიდან 2011 წლის აპრილამდე.**
- **მოიგო ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით სტუმრად, 8:0 დაამარცხა „ალმერია", გაიმეორა თავისივე 1959 წლის მიღწევა.**
- **„ბარსელონას" ჰქონდა ყველაზე გრძელი წაუგებელი სერია ოფიციალურ მატჩებში - 28 - (17 ლა ლიგა, 6 ჩემპიონთა ლიგა, 5 კოპა).**
- **„ბარსელონას" 22-მა ფეხბურთელმა შეძლო გატანა ოფიციალურ მატჩებში.**

„ბარსელონას" პირველი გუნდის თითქმის ყველა ფეხბურთელს ჰქონდა ჩემპიონის ტიტული მოგებული, „ბარსას" ან რომელიმე სხვა კლუბის მაისურით. გამონაკლისი მხოლოდ დავიდ ვილია და **ადრიანო** იყვნენ. ეს მათი პირველი საჩემპიონო ტიტულია. ვილიამ პრიმერადივიზიონში 8 სეზონი გაატარა („სარაგოსასა" და „ვალენსიაში"), თუმცა ჩემპიონი ახლაღა გახდა. არც ადრიანო კორეიას მოუგია აქამდე საკლუბო ჩემპიონატი. სამაგიეროდ, ბრაზილიელი **მაქსველისთვის** ეს მე-7 ტიტულია. მაქსველმა ორი ტიტული „აიაქსში" თამაშისას მოიგო, 3 - „ინტერში", „ბარსელონას" შემადგენლობაში კი მეორედ გაჩემპიონდა. მართალია, პრიმერა აქამდე არასოდეს მოუგიათ, მაგრამ სხვაგან იჩემპიონეს **იბრაჰიმ აფელაიმ** და **ხავიერ მასკერანომ**. პირველი ჰოლანდიის 4-გზის ჩემპიონია, მასკერანო კი (თითოჯერ) ბრაზილიისა და არგენტინის ჩემპიონია.

ჩავი ერნანდესი ერთადერთი ბარსელონელია, რომელსაც გუნდთან ერთად 6 ტიტული აქვს მოგებული. 5-5-ჯერ გაჩემპიონდნენ ვალდესი, მესი, პუიოლი და ინიესტა. განსაკუთრებით დიდი პერსპექტივა აქვთ მესის და ინიესტას, ისინი ხომ ჯერ ასე ახალგაზრდები არიან: მესი ივნისში გახდება 24 წლის, ხოლო ანდრესმა 27 წლის იუბილე სწორედ „ლევანტესთან" მატჩის დღეს იზეიმა. ჩავი მეექვსე ტიტულით „ბარსას" ორ ლეგენდას გაუტოლდა: **ანტონი რამალეტსს** და გუნდის დღევანდელ დამრიგებელ ხოსეპ გვარდიოლას.

**ბარსელონას ყველა ტიტული (21):** 1929, 1945, 1948, 1949, 1952, 1953, 1959, 1960, 1974, 1985, 1991, 1992, 1993, 1994, 1998, 1999, 2005, 2006, 2009, 2010, 2011.

ჩემპიონი და სეზონი

### როგორ მოიგო ბარსამ ტიტული

მოდი, გავიხსენოთ ბოლო სეზონი და ვნახოთ, როგორ მოიგო „ბარსელონამ" ზედიზედ მესამედ ლა ლიგის ტიტული.

**აგვისტო**

I ტური

**რასინგი-ბარსა 0:3**

**(მესი, ინიესტა, ვილია)**

კანტაბრიაში სეზონი მესის ბრწყინვალე შორეული დარტყმით გახსნა გუნდმა. ამას მოჰყვა **დავიდ ვილიას** პირველი გოლი „ბლაუგრანას" მაისურით. სეზონი შესანიშნავად დაიწყო.

**სექტემბერი**

II ტური

**ბარსა-ერკულესი 0:2**

კატალონიელები მიწაზე დაანარცხეს - პარაგვაელი **ნელსონ ვალდესის** გოლმა მხოლოდ კატალონია კი არა, მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო.

III ტური

**ატლეტიკო-ბარსა 1:2**

**(მესი, პიკე)**

რთული გამარჯვება „ვისენტე კალდერონზე", რომელიც ჩემპიონს ძალიან ძვირი დაუჯდა - ჩეხი **ტომაშ უიფალუში** მესის ეუხეშა და ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს.

IV ტური

**ბარსა-სპორტინგი 1:0**

**(ვილია)**

გამარჯვების გოლი მე-2 ტაიმის დასაწყისში დავიდ ვილიამ გაიტანა. ეს სწორედ ის თამაშია, რომლის გამოც **ჟოზე მოურინიომ** „სპორტინგის" თავკაცი **მანუელ პრესიადო** გააკრიტიკა, განგებ სუსტი შემადგენლობა გაიყვანაო.

V ტური

**ბილბაო-ბარსა 1:3**

**(კეიტა, ჩავი, ბუსკეტსი)**

„სან მამესზე" გამარჯვებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ამ თამაშში ბილბაოელი **ამორებიეტა** და ბარსელონელი ვილია გააძევეს.

**ცხრილი თვის ბოლოსთვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვილიარეალი | 5 | 4 | 0 | 1 | 10-4 | 12 |
| 2. ბარსელონა | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |

**ოქტომბერი**

VI ტური

**ბარსელ.-მალიორკა 1:1**

**(მესი)**

მესი დაბრუნდა ტრავმის შემდეგ და გაიტანა, მაგრამ „ბარსამ" უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. კუნძულელებმა კი **ემილიო ნსუეს** თავურის წყალობით ბალეარებზე ქულა წაიღეს.

VII ტური

**ბარსა-ვალენსია 2:1**

**(ინიესტა, პუიოლი)**

„ვალენსია" კარგა ხანს იგებდა **პაბლო ერნანდესის** გოლის წყალობით. გუნდს გამარჯვება კაპიტანმა **პუიოლმა** მოუტანა, რომელმაც მეორე ტაიმში არანორმალური სიმძლავრის თავური გაიტანა.

VIII ტური

**სარაგოსა-ბარსა 0:2**

**(მესი 2)**

მესის პირველი დუბლი სეზონში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მეორე გოლი.

IX ტური

**ბარსა-სევილია 5:0**

**(მესი 2, ვილია 2, დანი ალვეში)**

და აი, როგორც იქნა „ბარსელონამ" საჩემპიონო თამაში აჩვენა. მანამდე კატალონიელებმა „სევილია" სუპერთასზე გაანადგურეს და არც ახლა დაინდეს. მესის და ვილიას შეკავება იმ დღეს შეუძლებელი იყო.

**ცხრილი თვის ბოლოსთვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 9 | 7 | 2 | 0 | 25-5 | 23 |
| 2. ბარსელონა | 9 | 7 | 1 | 1 | 19-6 | 22 |

**ნოემბერი**

X ტური

**ხეტაფე-ბარსა 1:3**

**(მესი, ვილია, პედრო)**

მესიშოუ მადრიდის გარეუბანში, „ლა პულგას" ანგარიშზე გოლი და 2 საგოლე პასია.

XI ტური

**ბარსა-ვილიარეალი 3:1**

**(ვილია, მესი 2)**

ამ თამაშში უნდა გამოჩენილიყო, რამდენად რეალური იყო „ვილიარეალის" საჩემპიონო განაცხადი. „ელ სუბმარინოს" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეუტია და სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო თამაშიც გაჩაღდა, მაგრამ ვალენსიელებმა მესის შეჩერება ვერ შეძლეს.

XII ტური

**ალმერია-ბარსა 0:8**

**(მესი 3, კრკიჩი 2, ინიესტა, პედრო, ავტოგოლი)**

**ხუანმა ლილიოს** გუნდმა გახსნილი ფეხბურთი შესთავაზა მეტოქეს და მწარედ დაისაჯა. ანდალუსიელთა მწვრთნელი თამაშის დასრულებისთანავე მოხსნეს.

XIII ტური

**ბარსა-რეალი 5:0**

**(ვილია 2, ჩავი, პედრო, ხეფრენი)**

პირველი „ელ კლასიკო", მოურინიოს გუნდი „კამპ ნოუზე" მწარედ დაისაჯა. „ბარსელონამ" მოედანზე დაუმტკიცა ლიდერს, რომ უკეთესი გუნდია. დავიდ ვილიამ დუბლით გამოიჩინა თავი. „კლასიკოს" მერე „ბარსელონა" გალიდერდა და პირველი ადგილი აღარ დაუკარგავს.

**ცხრილი თვის ბოლოს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 13 | 11 | 1 | 1 | 38-8 | 34 |
| 2. რეალი | 13 | 10 | 2 | 1 | 33-11 | 32 |

**დეკემბერი**

XIV ტური

**ოსასუნა-ბარსა 0:3**

**(მესი 2, პედრო)**

ლეოს მორიგი დუბლი (პენალტის დახმარებით), „ბარსელონა" ინარჩუნებს ბრწყინვალე ფორმას.

XV ტური

**ბარსა-სოსიედადი 5:0**

**(მესი 2, ვილია, ინიესტა, კრკიჩი)**

თითქოს ბასკები კარგ ფორმაში ესტუმრნენ „კამპ ნოუს", მაგრამ მათ სრული განადგურება ელოდათ. განსაკუთრებით კარგი იყო მესის ერთი გოლი, როცა **დანი ალვეშთან** ნაცვეშში სამი „კედელი" გაითამაშა.

XVI ტური

**ესპანიოლი-ბარსა 1:5**

**(პედრო 2, ვილია 2, ჩავი)**

**ცხრილი თვის ბოლოს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 16 | 14 | 1 | 1 | 51-9 | 43 |
| 2. რეალი | 16 | 13 | 2 | 1 | 39-12 | 41 |

**იანვარი**

XVII ტური

**ბარსა-ლევანტე 2:1**

**(პედრო 2)**

შობისა და ახალი წლის დასვენების შემდეგ „ბარსა" ისევ დაუბრუნდა ტურნირს. დამაჯერებლად ვერ მაგრამ მაინც აჯობა „ლევანტეს", რაშიც **პედრო როდრიგესის** წვლილი დიდია.

XVIII ტური

**დეპორტივო-ბარსა 0:4**

**(ვილია, მესი, ინიესტა, პედრო)**

გვახსენდება მესის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმო დარტყმა.

XIX ტური

**ბარსა-მალაგა 4:1**

**(ვილია 2, ინიესტა, პედრო)**

„ბარსა" მეტოქეების განადგურებაზე გადავიდა, ის ძალიან ადრე დაწინაურდა „მალაგასთან" შეხვედრაში. ვილიამ მორიგი დუბლი მიითვალა.

XX ტური

**ბარსა-რასინგი 3:0**

**(პედრო, მესი, ინიესტა)**

პედრო და **ინიესტა** ზამთარში სუპერფორმაში იყვნენ. ეს ერთხელ კიდევ გამოჩნდა - ამჯერად, II წრის პირველ მატჩში.

XXI ტური

**ერკულესი-ბარსა 0:3**

**(მესი 2, პედრო)**

კვლავ დიდი ანგარიში. „ბარსამ" „ერკულესზე" შური იძია, მესიმ კი დუბლი თამაშის მიწურულს შეასრულა.

**ცხრილი თვის ბოლოს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 67-12 | 58 |
| 2. რეალი | 21 | 16 | 3 | 2 | 48-18 | 51 |

**თებერვალი**

XXII ტური

**ბარსა-ატლეტიკო 3:0**

**(მესი 3)**

მესიმ „ატლეტიკო" სამაგალითოდ დასაჯა (გახსოვთ ალბათ უიფალუშის უხეშობა მე-3 ტურში) - ჰეთ-თრიკი შეასრულა პირველი სეზონში.

XXIII ტური

**სპორტინგი-ბარსა 1:1**

**(ვილია)**

„ელ მოლინონზე" „ბარსას" 15-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყდა. „სპორტინგი" **დავიდ ბარალის** გოლით დაწინაურდა. თამაშის დასრულებამდე 10 წუთი ადრე სტუმრები მარცხისგან ვილიამ იხსნა.

XXIV ტური

**ბარსა-ბილბაო 2:1**

**(ვილია, მესი)**

„ბარსა" ადრიანად კი დაწინაურდა, მაგრამ ბასკებმა იბრძოლეს და პენალტით გაათანაბრეს. მესიმ გუნდს გამარჯვება 78-ე წუთზე მოუტანა.

XXV ტური

**მალიორკა-ბარსა 0:3**

**(მესი, ვილია, პედრო)**

ისევ მესიშოუ, მან ძალიან ლამაზი გოლით დააწინაურა „ბარსა".

**ცხრილი თვის ბოლოს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 25 | 22 | 2 | 1 | 76-14 | 68 |
| 2. რეალი | 25 | 19 | 4 | 2 | 55-19 | 61 |

**მარტი**

XXVI ტური

**ვალენსია-ბარსა 0:1**

**(მესი)**

ფუნდამენტური გამარჯვება, რომელმაც ჩაუყარა კიდეც საფუძველი საჩემპიონო სპურტს. **უნაი ემერის** გამართულმა ტაქტიკამაც ვერ უშველა „ვალენსიას", მესის წინაშე ესეც უძლური აღმოჩნდა.

XXVII ტური

**ბარსა-სარაგოსა 1:0**

**(კეიტა)**

ოთხ დღეში „ბარსას" „არსენალთან" თამაში ელოდა და ყველა ამ თამაშზე ფიქრობდა. გამარჯვების გოლი **კეიტამ** მესის ბრწყინვალე სოლო-რეიდის შედეგად გაიტანა.

XXVIII ტური

**სევილია-ბარსა 1:1**

**(კრკიჩი)**

მორიგი წაფორხილება. თამაშის დასაწყისში პედრომ ტრავმა მიიღო, ანგარიში კი სწორედ მისმა შემცვლელმა **ბოიან კრკიჩმა** გახსნა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა **ხესუს ნავასის** წყალობით გაათანაბრეს, ხოლო მატჩის მიწურულს **ალვარო ნეგრედომ** „ბარსას" დამარცხების ოქროს შანსი გაუშვა ხელიდან. შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელები მარცხს გადაურჩნენ.

XXIX ტური

**ბარსა-ხეტაფე 2:1**

**(დანი ალვეში, კრკიჩი)**

„ბარსა" თავიდანვე დაწინაურდა და მხოლოდ ბოლოსკენ აინერვიულა გულშემატკივარი. ისე კი, იოლი გამარჯვება იყო.

**ცხრილი თვის ბოლოს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 29 | 25 | 3 | 1 | 81-16 | 78 |
| 2. რეალი | 29 | 23 | 4 | 2 | 69-21 | 73 |

**აპრილი**

XXX ტური

**ვილიარეალი-ბარსა 0:1**

**(პიკე)**

„რეალის" სენსაციურმა საშინაო მარცხმა „სპორტინგთან", „ბარსელონას" ფეხბურთელები ოდნავ მოადუნა. ამ მატჩის გმირები **ვიქტორ ვალდესი** და **ჟერარდ პიკე** იყვნენ.

XXXI ტური

**ბარსა-ალმერია 3:1**

(მესი 2, ტიაგო ალკანტარა)

ფანტასტიკური მეორე ტაიმი! ქებათა ქება „ალმერიას", რომელიც ისევ არ შეუშინდა მეტოქეს (მწარე გამოცდილების მიუხედავად) მეორე ტაიმის დასაწყისში **პიატის** პასით **კორონამ** დააწინაურა თავისიანები, მაგრამ მალევე მესიმ პენალტი გაათანაბრა, ხოლო **ტიაგო ალკანტარას** თავურმა ყველაფერი თავის ადგილზე დააბრუნა.

XXXII ტური

**რეალი-ბარსა 1:1**

**(მესი)**

მეორე „კლასიკო" სეზონში, გაზაფხულის „კლასიკოების" სერიალის პირველი ნაწილი. **რაულ ალბიოლი** გააძევეს და მესიმ პენალტი გაიტანა, მაგრამ **კრიშტიანო რონალდომ** გაათანაბრა. ქულა, რომელიც „ბარსას" სავსებით აწყობდა.

XXXIII ტური

**ბარსა-ოსასუნა 2:0**

**(ვილია, მესი)**

ორთვიანი უგოლობის შემდეგ, როგორც იქნა ვილიამ გაიტანა. „ბარსამ" არათვალსასეირო, მაგრამ მნიშვნელოვანი მოგება მოიპოვა.

XXXIV ტური

**სოსიედადი-ბარსა 2:1**

**(ტიაგო ალკანტარა)**

ეს იყო სეზონის მეორე მარცხი. „რეალთან" საჩემპიონთალიგო ჯახის წინ გვარდიოლას გუნდმა გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა.

**ცხრილი თვის ბოლოს**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34 | 28 | 4 | 2 | 89-20 | 88 |
| 2. რეალი | 34 | 25 | 5 | 4 | 81-29 | 80 |

**მაისი**

XXXV ტური

**ბარსა-ესპანიოლი 2:0**

**(ინიესტა, პიკე)**

გუნდმა დერბი მოიგო მშვიდად და აუღელვებლად.

XXXVI ტური

**ლევანტე-ბარსა 1:1**

**(კეიტა)**

„ბარსას" მე-5, მაგრამ „ოქროს" ფრე სეზონში.

**ცხრილი დღეისათვის**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 29 | 5 | 2 | 92-20 | 92 |
| 2. რეალი | 36 | 27 | 5 | 4 | 91-31 | 86 |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ხუთოსანთა შვიდეული

## ■ ჩმილიტე შეაჩერეს
## ■ შესანიშნავ შვიდეულს ლელა და ბელაც ამშვენებენ

„შერატონში" მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატის მე-6 ტურის წინ მხოლოდ **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტვა) მეწინავეობდა უდანაკარგოდ. 11 მოჭადრაკე კი ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებოდა. გუშინდელი პაექრობებიდან სწორედ ბალტიისპირელისა და ბულგარელი მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონ **ანტოანეტა სტეფანოვას** ორთაბრძოლა იყო ყურადღების ცენტრში. დაძაბული შეხვედრა 45-ე სვლაზე ბულგარელის


ბელა ხოტენაშვილი

გამარჯვებით დამთავრდა. ლიდერის დამუხრუჭებამ სხვებსაც მისცა მასთან გათანაბრების შანსი. მესამე დაფაზე ქართულ დუელში უნდა გარკვეულიყო, ვინ გახდებოდა ხუთოსანთა გუნდის წევრი. 61 სვლა მოანდომეს **ნაზი პაიკიძემ** და **ბელა ხოტენაშვილმა** ერთმანეთთან ურთიერთობის გარკვევას. ბოლოს მაინც უფრო გამოცდილმა ხოტენაშვილმა იყოჩაღა. ასევე, წარმატებას მიაღწია საქართველოს ნაკრების წევრმა **ლელა ჯავახიშვილმა** შავი ფიგურებით **ლილით გალოიანთან** (სომხეთი). ორგზის ევროპის ჩემპიონმა **პია კრამლინგმა** (შვედეთი) **ანასტასია ბოდნარუკს** (რუსეთი) სძლია, **მარია რომანკომ** (რუსეთი) **ანა უშენინა** (უკრაინა) დაამარცხა. შესანიშნავი შვიდეულის მეშვიდე ხუთოსანი გახდა ევროპის ორგზის ჩემპიონი **კატერინა ლახნო** (უკრაინა), რომელმაც **ნინო ხურციძეს** აჯობა. პაექრობის დამთავრების შემდეგ სტუმარს გავესაუბრეთ:

- დიდი ხანია, ევროპაში ქალთა ასეთი სიძლიერის ტურნირი არ გამართულა. კონტინენტის თითქმის ყველა საუკეთესო დიდოსტატი ჩამოვიდა თბილისში. მართალია, უკვე ექვსი ტური მიილია, მაგრამ გადაჭრით რამის თქმა ძნელია. გეთანხმებით, რომ კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია, მაგრამ მთავარი მაინც ფინიშია - ვის როგორ ეყოფა ძალები. ჩმილიტემ ზედიზედ ხუთი პარტია მოიგო, თუმცა ერთი წაფორხილება გახდა საკმარისი, ერთბაშად ექვსი მეტოქე წამოსწეოდა.

**- ვიქტორიამ კონტინენტის წინა პირველობებში სამჯერ დაიმსახურა ვერცხლის მედალი, ეტყობა, ამჯერად ოქროს უმიზნებს...**

- რამდენადაც მას ვიცნობ, შემიძლია გითხრათ, რომ ვიქტორია, უბრალოდ, თამაშობს და ჭადრაკისგან სიამოვნებას იღებს, ამიტომ არა მგონია, პარტიის წინ შედეგზე ფიქრობდეს. ისე, ცხადია, ჩემპიონობაზე ვინ იტყვის უარს.

**- ნინო ხურციძესთან შეხვედრაზე რას იტყვით?**

- საინტერესო პარტია გამოვიდა. ცხელ კვალზე დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით. სალამოს კომპიუტერის დახმარებით გავაანალიზებ. თუმცა, მიმაჩნია, ერთი უზუსტობა რომ არა, რამდენიმე სვლით ადრეც შეიძლებოდა მოგება. მე და ნინო აქამდე მხოლოდ ერთხელ შევხვდით ერთმანეთს და ის პარტია ზავით დავასრულეთ. ვიცი, რომ ცოტა ხნის წინათ მას შვილი შეეძინა. ყოველივეს მიუხედავად, ეტყობა, კარგად მოემზადა ამ ჩემპიონატისთვის. რა თქმა უნდა, გამოცდილებაც ხელს უწყობს.

**- მართალია, შეჯიბრების დამთავრებამდე ჯერ კიდევ ხუთი ტურია დარჩენილი, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან მედლების კანდიდატებად ვის მიიჩნევთ?**

- ძნელია ამის თქმა. ნახეთ, რამდენი სახელოვანი დიდოსტატი თამაშობს - სტეფანოვა, კოსტენიუკი, დები კოსინცევები, კრამლინგი, ჩმილიტე... ცხადია, მასპინძლების გამოთიშვაც არ შეიძლება. ვის გინდა, უპირატესობა მიანიჭო? ჯობია, ცოტაც დავიცადოთ.

ერთიც მინდა დავძინო: თბილისში და, საერთოდ, საქართველოში პირველად


ლელა ჯავახიშვილი

ვარ. მართალია, თქვენი დედაქალაქის დათვალიერება ვერ მოვასწარი, მაგრამ სასტუმროდან რომ ვუყურებ, მშვენიერი ხედები მხიბლავს, შესანიშნავია ღამის თბილისიც. ტურნირზე შაბათი დასვენების დღეა და ვეცდები, თქვენს ღირსშესანიშნაობებს გავეცნო...

ახლა ისევ ჩემპიონატს დავუბრუნდეთ: **ალექსანდრა კოსტენიუკი**, რომელმაც ტურნირი ორი ყაიმით დაიწყო, ნელ-ნელა ტემპს უმატებს, გუშინ შავი ფიგურებით თანამემამულე **ტატიანა შადრინა** დაამარცხა. წარმატებას მიაღწიეს დებმა **კოსინცევებმა: ტატიანამ ინა გაპონენკოს** (უკრაინა) სძლია, ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ **ნადეჟდამ იანა კრივაჩს** (სლოვენია) აჯობა. აშკარად ვერ არის სასურველ ფორმაში **ნანა ძაგნიძე,** რომელიც გუშინ შავი ფიგურებით ავსტრიელ **ევა მოზერს** დაუზავდა, არადა, ჩვენებური მას რეიტინგში 112 პუნქტით უსწრებს. **მაკა ფურცელაძე ელინა დანიელიანს** (სომხეთი) დანებდა. **სოფიო გვეტაძე-სალომე მელია 0:1, ინგა ხურცილავა-ნინო ბაციაშვილი** 0,5:0,5, **კატერინა ნემცოვა** (ჩეხეთი)-**ინგა ჭარხალაშვილი** 0,5:0,5...

ექვსი ტურის შემდეგ: ჩმილიტე, ლახნო, სტეფანოვა, ხოტენაშვილი, კრამლინგი, ჯავახიშვილი, რომანკო – 5-5 ქულა. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით 5 მოჭადრაკე ჩამორჩება. ჩვენებურებს – პაიკიძეს, ხურციძეს, ძაგნიძეს, მელიას და მიქაძეს 4-4 ქულა აქვთ.

მე-7 ტურში ითამაშებენ: ლახნო-კრამლინგი, ხოტენაშვილი-სტეფანოვა, ჩმილიტე-რომანკო, ჯავახიშვილი-ტატიანა კოსინცევა, ძაგნიძე-პაიკიძე, მელია-როგულე, სედინა-ხურციძე, ბოდნარუკი-მიქაძე.

ვაჟა დანელია

სამბო. ევროპის ჩემპიონატი

# სოფია სამბოში ევროპას აერთიანებს

დღეს სოფიაში სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **დიმიტრი მულაძე** (52), **უშანგი კუზანაშვილი** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **ბექა იმერლიშვილი** (68), **კახა მამულაშვილი** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100), **ვახტანგ ზოიძე** (+100). როგორც ვხედავთ, გუნდის თავკაცი **ოლეგ იაძე** ძირითადად ძველ კადრებს დაეყრდნო, მაგრამ ნაკრებში სიახლებიცაა ორი დებიუტანტის სახით - მულაძე და იმერლიშვილი პირველად ჭიდაობენ ამ რანგის შეჯიბრებაში. ორივე ახალგაზრდაა და ჯერ გამოცდილება აკლიათ, თუმცა ამ მხრივ უფრო მაინც ხაშურელ მულაძეს გამოვარჩევთ, რომელიც შარშან გამოჩნდა ეროვნულ გუნდში. იქნებ ის წლეულსაც ვერ დამკვიდრებულიყო აქ, რომ არა **უშანგი კუზანაშვილის** ზედა წონაში გადანაცვლება - მსოფლიოს ჩემპიონს სულ უფრო უჭირდა ასაკსა და მის თანამდევ ზედმეტ წონასთან გამკლავება. კუზანაშვილმა შარშან მინსკში 52 კილოგრამში ევროპის პირველობა კი მოიგო, მაგრამ უზბეკეთში, მსოფლიოზე აშკარად გამოჩნდა, რომ მისი იქ დარჩენა გამორიცხული იყო. ეს არც მწვრთნელებს დაუძალებიათ, რადგან იმედად მულაძე ეგულებოდათ და საკადრო ცვლილება თამამად გაატარეს. იმედია, ამით ორივე ფალავანი მოგებული დარჩება.

იმერლიშვილმა ყველაზე ბოლოს გაინაღდა ნაკრებში ადგილი, თუმცა არა იმიტომ, რომ შესარჩევ ეტაპზე სუსტად იჭიდავა და მწვრთნელები არ ენდობოდნენ. პირიქით, სამი უძლიერესი შეჯიბრება მოიგო - არმავირში (ქართველთაგან იქ აქამდე არავის გაუმარჯვია), მინსკსა და ყაზახეთში, რითაც მწვრთნელთა დიდი სიმპათიებიც დაიმსახურა, მაგრამ მის სანაკრებო კარიერას მსოფლიოს შარშანდელ ვიცე-ჩემპიონ **ლევან ნახუცრიშვილის** აჩრდილი სდევდა. სამწუხაროდ, ნახუცრიშვილმა იმავე მსოფლიოზე ხელიც იტკინა და მაშინდელი ფინალიც ძირითადად ამიტომ წააგო. თუმცა ყველაზე ცუდია, რომ ტრავმა აქამდე ვერ მოირჩინა. ამის მიუხედავად, იაძე შანსს მაინც აძლევდა და ბოლო წუთამდე ელოდებოდა მის გამოჯანმრთელებას - ნახუცრიშვილი ამ წონაში ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრებიდან გამოირჩეოდა, როგორც ლიდერი და კარგი მოჭიდავე. ამიტომ არც მწვრთნელმა ჩამოწერა და მოსკოვშიც წაიყვანა შულცის სახელობის ტურნირში საჭიდაოდ, მაგრამ დამარცხდა. იაძე ამასაც იმ ტრავმით ხსნის და საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება, ევროპაზე იმერლიშვილი წაეყვანა, ნახუცრიშვილი კი თავის შანსს მსოფლიოსთვის დაელოდება. იმედია, მანამდე ტრავმასაც მოირჩენს.

ამ დუეტის გარდა, გუნდის უკლებლივ ყველა წევრი ტიტულოვანი და გამოცდილია. მათში ყველაზე ახალგაზრდა და, შესაბამისად, ნაკლებად წარმატებულიც მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი ზოიძეა, რომელსაც დანარჩენები ბევრად აღემატებიან ტიტულებით. აქვე შეგახსენებთ ჩვენებურთა შარშანდელ ევროპულ მონაგარს - კუზანაშვილმა და უბერებელმა **ნესტორ ხერგიანმა** (62) გაიმარჯვეს, ნახუცრიშვილმა, მამულაშვილმა და **დავით კარბელაშვილმა** (90) ვერცხლი მოიპოვეს, მესამე საპრიზო ადგილზე კი ძიუდოში როტერდამისა და ბაქოს „დიდი პრიზების" მომგები **ამირან პაპინაშვილი** (57) გავიდა. სხვათა შორის, ხერგიანი წლეულსაც განიხილება ნაკრების კანდიდატად და მსოფლიოზე მოხვედრის შანსსაც ინარჩუნებს. მეტიც, იაძემ ერთხელ ისიც განაცხადა, რომ მსოფლიოზე წასვლა ხერგიანს გარანტირებული აქვს იმის მიუხედავად, როგორ გამოვა სოფიაში სვიმონიშვილი. მან ისიც დასძინა, რომ ამაზე თავად სპორტსმენები შეთანხმდნენ, მწვრთნელები კი არ შესწინააღმდეგებიან, რადგან ორივე დასაყრდენი სპორტსმენია. საინტერესოა - ფალავნებმა შარშანაც ასე მოილაპარაკეს ერთმანეთში, ოღონდ მაშინ საპირისპირო შეთანხმება დადეს. შედეგად, ევროპაზე ხერგიანი წავიდა და მოიგო კიდეც, მაგრამ მსოფლიოსთვის სვიმონიშვილს გზიდან ჩამოეცალა და ურიგოდ არც ის გამოსულა - ვერცხლი მოიპოვა. ამის მიუხედავად, სპორტსმენთა შორის ასეთ გარიგებას მაინც ვერ მივესალმებით - ვფიქრობთ, აჯობებს, ნაკრები კონკურენციით დაკომპლექტდეს. სხვა თუ არაფერი, შეიძლება, მათ დავაში სხვაც ჩაერიოს და არც იმას გამოვრიცხავთ, ნაკრებში ადგილი სწორედ იმან მოიპოვოს, ახლა კი მესამე თავიდანვე მოკვეთილი გამოდის.

დღეს სოფიაში ვაჟთა შორის შეჯიბრებაში 52, 62, 74, 90 და +100 კილოგრამების ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები ხვალ იასპარეზებენ, ჩემპიონატი კი 15 მაისს საბრძოლო სამბოში შეჯიბრებით დასრულდება.

ირაკლი თავაძე


მარცხნიდან: მუსტაფა ილმაზი და ბაადურ ჯობავა

# ჯობავამ ყველას აჯობა

სარაევოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ ბოლო მე-9 ტურის პარტიები გათამაშდა. კვლავ იყოჩალა რეიტინგით მეორე ნომრად განთესილმა **ბაადურ ჯობავამ** (2704). შავი ფიგურებით მან თურქ **მუსტაფა ილმაზს** აჯობა და 21 ქულით (მოგება 3, ყაიმი 1, წაგება 0 ქულა) პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ და, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები **ჰრანტ მელქუმიანმა** (სომხეთი), **მირჩეა-ემილიან პარლიგრასმა** (რუმინეთი) და **ბორკი პრედოევიჩმა** (ბოსნია-ჰერცეგოვინა) გაინაწილეს. გუშინ პრედოევიჩი და მელქუმიანი დაზავდნენ, პარლიგრასმა კი **კრისტიან საბო** (უნგრეთი) დაამარცხა. ტურნირის რეიტინგფავორიტმა **არკადი ნაიდიჩმა** (2716) ბოლო ტურში **ნიკოლა ჯუკოვიჩს** (ჩერნოგორია) მოუგო, მაგრამ 19 ქულა მხოლოდ მე-5 ადგილისთვის ეყო.

ვაჟა დანელია

წყალბურთი

# წააგეს, მაგრამ შანსი რჩება

ათენში წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მორიგი მატჩი გაიმართა. E ჯგუფის ფავორიტმა საბერძნეთმა საქართველოს უმასპინძლა. სტუმრები (ზურაბ ჭუმბურიძე, გალაქტიონ ლაითაძე, ბექა ქენქაძე, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი (1), გიორგი ხვედელიანი, რევაზ ჩომახიძე (2), მიხეილ ბალათურია (1), ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი (1), ბექა ქავთარაძე (1), ალექსანდრე ნამორაძე, მთავარი მწვრთნელი ზვიად დავითიანი) ელადაში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ, რადგან იტალიის „ბრეშიამ" და ხორვატიის „პრიმორიცამ" ნაკრებში სათამაშოდ არ გამოუშვეს მარკო ელეზი და მარკო ელაჩა. მართალია, ამის გამო ორივე კლუბს 1000-1000 ევროთი დააჯარიმებენ, მაგრამ ამით „ბრეშია" და „პრიმორიცა" ბევრს არაფერს დაკარგავენ, ჩვენ კი საკმაოდ დავზარალდით - ორი გამოცდილი მცველი დაგვაკლდა. არადა, მატჩი ჩვენმა წყალბურთელებმა კარგად დაიწყეს: პირველი პერიოდი 2:1 მოიგეს კიდეც, მერე და მერე ელინელებმა იმძლავრეს და 16:6 (1:2, 6:3, 5:0, 4:1) გაიმარჯვეს. ამ მარცხით ჩვენი გუნდის სატურნირო მდგომარეობა, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ჯგუფიდან გასასვლელად საქართველოს ნაკრებმა 2 ივლისს მანჩესტერში ბრიტანელებთან (პირველი მატჩი შინ 9:3 მოიგეს) უარეს შემთხვევაში 5 ბურთზე მეტი სხვაობით არ უნდა წააგოს. ქართველი წყალბურთელები დარწმუნებული არიან, რომ კუნძულელებს ბოლო პაექრობაშიც აჯობებენ და პლეი ოფში გავლენ, სადაც, სავარაუდოდ, სხვა ჯგუფებში გამარჯვებულებს - თურქეთს, საფრანგეთს, რუმინეთს, ესპანეთს ან გერმანიას დაუპირისპირდებიან. კერძოდ, ვის, ამას წილისყრა გამოავლენს.

ვაჟა დანელია



## FM 107,9

ყოველ შაბათ-კვირას 15.00-22.00 რადიო „საქართველოს ხმის" (FM 107,9) პირდაპირ ეთერში - ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, მიმდინარე და დასრულებული სპორტული ასპარეზობების შედეგები, სტუმარი, ვიქტორინა და საინტერესო პრიზები გადაცემაში „სპორტ ონლაინ" დონ ედოსთან ერთად.

გადაცემის საინფორმაციო მხარდამჭერი - გაზეთი „ლელო".

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ბოსკამპი; 7. მრეტები; 8. „კოლმეურნე"; 9. ტორსიდა; 10. როქი; 11. ომარ; 13. ათენი; 14. ეისი; 15. ისინდი; 16. კლოდ; 18. "ენერჯი"; 19. ქლენტი; 20. დერეფანი; 22. უპრინი; 23. გიგანი; 25. შენგელია.

**შვეულად:** 1. ბაკურიანი; 2. სულაქველიძე; 3. პირამიდა; 4. თეთრაძე; 5. ბერიაშვილი; 6. სიხარულიძე; 7. მეტრეველი; 12. ვინდსერფინგი; 17. დემეტრაძე; 21. როგე; 24. ფრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარატე

# ჯორჯიადან ჯორჯიაში


მარიანა ონსადჩუკი

**მარიანა ონსადჩუკი** თბილისის 128-ე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ 3 წელიწადია აშშ-ში ატლანტაში ბიძასთან ცხოვრობს. ეს გოგონა 8 წლის წინათ კარატეში ცნობილი სენსეის **კახაბერ მარკოზაშვილის** შეგირდი გახდა და წარმატებებსაც მიაღწია.

მარიანა ახლა თბილისშია და გუშინ რედაქციაში გვეწვია. „ატლანტის კარატეს კლუბებთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მათ ბევრი იციან ჩვენს ქვეყანაზე და კარატისტებზეც. ახლა მათი თხოვნით ჩამოვედი თბილისში, ჯორჯიის კლუბები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან მიიღებენ მოზარდებს, რომლებიც კარატეში მეცადინეობენ. სამწუხაროდ, ასეთები ჩვენში საკმაოდ არიან და ჯორჯიელ ქველმოქმედებზე მადლობის მეტი რა გვეთქმის“, - გვითხრა მარიანამ.

**თენგიზ თომაშვილი**

ჩოგბურთი

# ჩახნაშვილი და ქვაცაბაია იგებენ

იტალიის ქალაქ რეჯო ემილიაში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარია. პირველ წრეში 28 წლის **მაკა ჩახნაშვილმა** (224) საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული გერმანელი **ანე შეფერი** (355) დაამარცხა - 6:2, 6:2. ახლა მერვედფინალში ჩვენებური ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ ბელარუს **ანასტასია იაკიმოვას** (109) შეხვდება. მაკა იაკიმოვას, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო 50-ეულშიც ყოფილა, კარიერაში პირველად დაუპირისპირდება.

სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (თურქეთი, 10 ათასი დოლარი) მე-3 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (412) ყოჩაღობს. მეორე წრეში ქართველმა მასპინძელ **სედა არანტეკინს** (1158) მოუგო - 7:5, 5:7, 6:2. მეოთხედფინალში მისი მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი პოლონელი **სანდრა ზანიევსკაა** (540).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


მაკა ჩახნაშვილი

ამბები

## სომხეთთანაც [illegible]

გუშინ მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში „დევისის თასის“ ევროპა-აფრიკის III ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი მარცხი იგემა და ამით დაასრულა C ჯგუფში ასპარეზობა. ჩვენებმა სომხეთის ნაკრებთან 1:2 წააგეს და ბოლო ადგილი გაინაღდეს, თუმცა გავარდნა ნაკრებს არ ემუქრება - ამაზე დაბალი რანგის ლიგა „დევისის თასზე“ უბრალოდ არ არსებობს. ჯგუფიდან გასასვლელად ჩერნოგორიისა და სომხეთის ნაკრებები იბრძოლებენ. ის, რომ საქართველოს ნაკრებს გაუჭირდებოდა ევროპა-აფრიკის II ჯგუფის საგზურისთვის ბრძოლა, თავიდანვე ცხადი იყო, თუმცა სომხეთის ნაკრებთან მარცხს მაინც არ ველოდით. შეგახსენებთ, რომ მაკედონიაში გუნდის კაპიტანი **ვიქტორ ბაქში** იყო. ნაკრები კი არასრული შემადგენლობით წავიდა, გუნდში სამი ურეიტინგო ჩოგბურთელი ირიცხებოდა: **გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი** და **ნიკა დოლიძე**.

## ანა მეოთხედფინალშია

გუშინ ფრანგულ სენ გოდენში (50 ათასი დოლარი) მოასპარეზე **ანა ტატიშვილმა** (105) მერვედფინალური მატჩი მოუგო უკრაინელ **ოლგა სავჩუკს** (149) - 6:4, 2:6, 7:5. 21 წლის ქართველის მორიგი მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი რუსი **ვესნა დოლონცია** (108), რომელიც ადრე **მანასიევას** გვარით ასპარეზობდა. ანამ უკვე გაინაღდა 24 სარეიტინგო ქულა, რაც, შესაძლოა, მას ასეულში გასაღწევად ეყოს კიდეც, თუმცა ამის დანამდვილებით თქმა ახლა შეუძლებელია. ფაქტია, რომ დოლონცთან გამარჯვება ანას საჩოგბურთო ელიტაში შეიყვანს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ისან-სამგორი მედლებით გამდიდრდა

სავარაუდოდ, 2020 წელს სპორტის ოლიმპიურ სახეობებს კარატეც შეემატება. თუ ასე მოხდა, სიახლეს ქართული კარატე მომზადებული შეხვდება, რის გარანტიასაც ის თადარიგი იძლევა, რასაც აქედანვე იჭერენ ეროვნული ფედერაციის მესაჭეები. ამ დღეებში ფედერაციამ ბავშვთა და მოზარდთა შორის (500-მდე მონაწილე), სპორტკომპლექს „მართვეში“ სახელწოდებით „ოლიმპიური გამოწვევა“ საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარა ქვეყნის პირველი ლედის **სანდრა რულოვსის** პატრონაჟით.

ყველაზე მეტი მონაწილით გამოვიდა თბილისის ისან-სამგორის კარატეს კლუბთა გაერთიანება „პატრიოტი“ (პრეზიდენტი **ზვიად ზვიადაური**, ინსტრუქტორი - **გიორგი ქისტაური**), „ლიდერი“ (პრეზიდენტი **გიორგი ბოჭორიშვილი**, ინსტრუქტორები, **დავით ბასარია** და **სერგეი კულიანი**) და „დო“ (პრეზიდენტი და შეფ-ინსტრუქტორი **მამუკა კუზანაშვილი**). სწორედ ამ კლუბებმა დაისაკუთრეს საბოლოო ჯამში 74 სხვადასხვა სინჯის მედალი, თუმცა აქედან უმეტესობა ოქრო-ვერცხლისაა. შემდეგშიც ჩატარდება მსგავსი და კიდევ უფრო მაღალი დონის შეჯიბრებები პირველი ლედის პატრონაჟით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგმა მოზარდმა ორ-ორი საპრიზო ადგილი დაიკავა - WKF-ის და WSKF-ის წესებით ბრძოლაში.

**კვარცხლბეკი.** ავთანდილ არაბული I; ლიზი ზვიადაური I, I; დიმიტრი ყანჩაველი I, II; ალექსი ტყავაცარია I, II; სალომე ასაბაშვილი I; თორნიკე შაკაია I; ნიკა ჯიბლაშვილი I, I; ლუკა ღლურჯიძე I, II; ვალერი ნადირაშვილი I; ირაკლი მაისურაძე I, III; ანასტასია ჭელიძე I, I; ლევან ოსაძე I; ნიკა ბერიძე I; ვალიკო გალდავა I; გიორგი მამულაშვილი I; გიორგი ბედუკაძე I, III; ბექა ხელაშვილი I; ირაკლი სიდონაშვილი I, II; ავთანდილ გიუნაშვილი I, II.

გიორგი სპანდერაშვილი II; ნიკა ქავთარაძე II; გურამ ზურაბაშვილი II, III; ნიკა ხვედელიძე II, III; რიმა სარქისიანი II; დიმიტრი ნანუაშვილი II; შალვა ნიკოლიშვილი II; მინდია კოტორაშვილი II; თენგო ქურთიაშვილი II; ქრისტინა შამუგია II; გოგა გოგრიჭიანი II; ვალერი სუმბაძე II; დაჩი ლაფერიშვილი II.

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი**
**საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრესმდივანი**


გამარჯვებულები და პრიზიორები

სუმო. ნაცუ ბაშო. 8-22 მაისი

# ოსთან დასრულებული სერია

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** მოგებათა სერია ქართულ-ოსურ დაპირისპირებაში შეწყვიტა - გუშინ, ტოკიოში ჩვენებურმა ნაცუ ბაშოზე პირველად წააგო. 27 წლის **არანმა** სტარტზევე მოიპოვა უპირატესობა, მან ჯერ დოჰიოდან აიტაცა ჩვენებური და შემდეგ მიწოლით თიხნარზე დააგდო. დასანანი მარცხის შემდეგ 23 წლის ტოჩინოშინის ბალანსი 4-1-ია. წინ სამი დაუმარცხებელი სუმოისტია, რომელთაც კვალში 7 მიჰყვება და მათ შორის ქართველი მაეგაშირაა.

დღეს ტოჩინოშინი მე-8 მაეგაშირა **შოტენროს** დაეჭიდება. მონღოლმა ბაშო ცუდად დაიწყო და 1-4 ბალანსი აქვს. ქართველის მხარესაა დიდი უპირატესობა ურთიერთშეხვედრებშიც: 4:1.

გუშინ მეორე გამარჯვება იზეიმა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**. ელიტის ყველაზე მძიმე რიკიშიმ იორიკირით აჯობა 37 წლის ექს-სეკივაკე **ტოჩინონადას**. გაგამარუს 2-3 ბალანსი აქვს. დღეს ის ძურიოს პირველ ნომერ **ტაკაიასუს** ხვდება. 21 წლის ტაკაიასუს ჩვენებური აქამდე არასოდეს გადაჰყრია დოჰიოზე.

ძურიოს დივიზიონში ზედიზედ მეხუთედ წააგო **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**. ამჯერად, მას **ტამანოშიმამ** აჯობა. „შავ ზღვას“ დღეს **ბუშუიამასთან** ელის დაპირისპირება.

ნაცუ ბაშოს მეხუთე დღეს დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** წამებში გაიყვანა დოჰიოდან მე-3 მაეგაშირა **კიტატაიკი**. მონღოლის გარდა დაუმარცხებელი მხოლოდ ორი რიკიშია: 26 წლის იაპონელი **ტოიოჰიბიკი** და 24 წლის ბრაზილიელი **კაისეი**. ოძეკთაგან ორი ყოჩაღობს, **ბარუტოსა** და **კაიოს** 4-4 მოგება აქვთ.

### V დღე

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-კიტატაიკი (იორიკირი), გოეიდო-კოტოოშუ (ცუკიოტოში), კაიო-ჰომაშო (იორიკირი), ბარუტო-ტოჩიოძანი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-კისენოსატო (სოტოგაკე), კოტოშოგიკუ-ტაკეკაძე (იორიკირი), კაკურიუ-ტოიონოშიმა (ოშიდაში), არანი-**ტოჩინოშინი** (იორიტაოში), ტამავაში-ვაკანოსატო (იორიკირი), ტოსაიუტაკა-იომიკაძე (კატასუკაში), კიოკუტენჰო-შოტენრო (იორიკირი), ტოიოჰიბიკი-ასასეკირიუ (ოშიდაში), ვაკაკოიუ-ტოჩინოვაკა (ჰიკიოტოში), კაისეი-ტოკიტენკუ (იორიტაოში), **გაგამარუ**-ტოჩინონადა (იორიკირი), მიაბიამა-ტაკამისაკარი (ოშიდაში), დაიდო-კიმურაიამა (ცუკიდაში). ძურიო: ტამანოშიმა-**კოკაი** (იორიკირი).

**5-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), ტოიოჰიბიკი (მაეგაშირა 12), კაისეი (მ 16).

**4-1:** ბარუტო (ოძეკი), კაიო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), გოეიდო (მ 1), **ტოჩინოშინი** (მ 6), ტოსაიუტაკა (მ 9), ასასეკირიუ (მ 9)... 2-3: **გაგამარუ** (მ 14)

### VI დღე

**მნიშვნელოვანი ბრძოლები** - მაკუუჩი: ჰაკუჰო-ამინიშიკი, კაიო-ოკინოუმი, ბარუტო-კისენოსატო, ჰარუმაფუჯი-კიტატაიკი, კოტოოშუ-ტაკეკაძე, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კაკურიუ-გოეიდო, ტოჩიოძანი-არანი, ჰომაშო-ვაკანოსატო, **ტოჩინოშინი**-შოტენრო, **გაგამარუ**-ტაკაისუ; **ძურიო: კოკაი**-ბუშუიამა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სპორტული ცეკვები

# ქართულით გამდიდრებული...

„კავკასიის თასის“ ღია საერთაშორისო ტურნირი სპორტულ ცეკვებში რომ წლეულს მეთექვსმეტედ ტარდება თბილისში, მის მზარდ ავტორიტეტზე მეტყველებს. მონაწილე ქვეყნების რაოდენობამ კი უკვე 17-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ წლიდან წლამდე ქართული ცეკვების ელემენტებით მდიდრდება პროგრამა, რაც ასპარეზობას უფრო მიმზიდველს და შთამბეჭდავს ხდის.

გუშინ საქართველოს სპორტის სამინისტროში, რომელიც ტურნირის მხარდამჭერია, ამ ღონისძიების დაწყებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ 8 პროგრამით პირველობისთვის იბრძოლებს 6-დან 35 წლამდე 1000-ზე მეტი სპორტსმენი. ჟიური ცნობილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებითაა დაკომპლექტებული. ტურნირს დაესწრება ქართული ცეკვის ვეტერანი **ფრიდონ სულაბერიძე**.

**თენგიზ თომაშვილი**



მძლეოსნობა

# კროსი გორში



გორში მძლეოსნობა არაა სპორტის პოპულარული სახეობა, მაგრამ მწვრთნელი **გივი იაზბარიანი** რომ არა, ადვილი შესაძლებელია მძლეოსნობა ამ ქალაქში საერთოდ აღარც არსებულიყო. ერთადერთი სპეციალური სარბენი ბილიკი, რომელიც გორის ცენტრალურ სტადიონზე იყო, ოთხი წლის წინათ არენის რემონტს „შეეწირა“. ამის მერე სავარჯიშო ბაზად XI საჯარო სკოლის არასტანდარტული ბილიკი იქცა.

გორში ტრადიციად მკვიდრდება სეზონური მძლეოსნური კროსები. „ახალბაღში“ ამას წინათაც გაიმართა ასპარეზობა და ამჯერად მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი ქალაქის მუნიციპალიტეტის სპორტისა და კულტურის სამსახურიც (ხელმძღვანელი **გია პაპიატაშვილი**) იყო. ამ თანადგომით შესაძლებელი გახდა შეჯიბრების ყველა გამარჯვებულის და საპრიზო ადგილებზე გასულებისთვის მედლებითა და პრიზებით დაჯილდოება.

შეჯიბრებაში 150-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

1000 მ. გოგონები - **ნინო რუხაძე**; ბიჭები - **რატი მამედოვი** (ორივე - XI სკოლა). 500. გოგონები - **ნინო კარელიძე** (XI სკოლა); 500 ბიჭები - **დავით პავლიაშვილი** (IX სკოლა).

გუნდური: 1. XI საჯარო სკოლა, 2. III საჯარო სკოლა, 3. IX საჯარო სკოლა.

უახლოეს მომავალში გორის ქუჩებში ამანათრბენში იგეგმება შეჯიბრება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# ფართოდ აღინიშნება



წლეულს მეთექვსმეტედ აღინიშნება მძლეოსნობის მსოფლიო დღეები. საქართველო იმ 159 ქვეყანას შორისაა, სადაც ადრინდელისგან განსხვავებით, ეს ღონისძიება 14-15 მაისს მასშტაბურ ხასიათს შეიძენს. ეროვნული ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი **ალექსი ახვლედიანი**) ყველაფერს აკეთებს, რომ ჩვენ ქვეყანაში, რომლის მძლეოსნებს ბრწყინვალე შედეგები აქვთ მოპოვებული საერთაშორისო სარბიელზე, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში, აღდგეს სპორტის ამ სახეობის ტრადიციები.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას, რომლის ეგიდითაც ეს ღონისძიება ტარდება, უკვე ეცნობა საქართველოში მასობრივი შეჯიბრებების ჩატარებისა და ზეიმურობის შესახებ.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიქმნება ფანკლუბი, რომელშიც პირველები გაერთიანდებიან საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი სახეები - **მაია ასათიანი, დავით დოიაშვილი, ნიკა მემანიშვილი, ზაალ უდუმაშვილი, ინგა გრიგოლია, ნინი ბადურაშვილი, თიკო სადუნიშვილი, ნანიკო ხაზარაძე, შორენა ბეგაშვილი, დავით იმედაშვილი, დავით გეგენავა, მათე ტაკიძე, დავით მინაშვილი.** ფანკლუბი სამომავლოდ მძლეოსნობის მხარდამჭერ აქციებსაც გამართავს.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი




შენგელიამ გენტთან ორმაგი დუბლი შეასრულა

# 19 წლის ქართველის 19 ქულა

## შენგელიამ გენტს სტკიცა და დაამტკიცა

ბელგიის ჩემპიონატის წარმომადგენელ „პეპინსტერში" მოთამაშე **თორნიკე შენგელიამ** კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. 19 წლის ქართველის 19 ქულის წყალობით „პეპინსტერმა" სტუმრად „გენტი" დაამარცხა, ხოლო თავად შენგელიამ დაამტკიცა, რომ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ევრო-2011-ზე საქართველოს ნაკრებში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

■ ■ ■

ახლა უფრო კონკრეტულად. პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლი „პეპინსტერისთვის" რეგულარული ეტაპის ბოლოსწინა ტურში „გენტის" დამარცხება აუცილებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლის რანგში „გენტი" თამაშობდა, პეპინსტერელებმა (რომელთა სასტარტო ხუთეულში შენგელიაც მოხვდა) თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და საწყისი მეოთხედი 22:9 მოიგეს. მეორე-მესამე ათწუთეულებში სტუმრები უპირატესობას ინარჩუნებდნენ, თუმცა მეოთხე რაუნდის ბოლოს „გენტის" კალათბურთელებმა ძალები მოიკრიბეს და სხვაობა 6 ქულამდე შეამცირეს. როგორც ბელგიური გაზეთები წერენ, გადამწყვეტ მომენტში შენგელიასა და **ენტონი ჩადას** საჯარიმოებისას ხელი არ აჰკანკალებიათ და „პეპინსტერს" 74:64 მოაგებინეს.

მარგი ქმედების კოეფიციენტიც (28) მოწმობს, რომ ახალგაზრდა ქართველი მატჩის საუკეთესო კალათბურთელი იყო. ამ კომპონენტში 20-ს თორნიკეს გარდა ვერც ერთი მოთამაშე ვერ ასცდა. შენგელიას გასწვრივ ოქმში ვკითხულობთ: 38 წუთი, 10-დან 3 ორქულიანი, 15-დან 13 საჯარიმო, 19 ქულა, 11 მოხსნა (ყველა დაცვაში), 2 ჩაჭრა, 1 ფოლი, 3 შეცდომა. მასზე 9-ჯერ დაჯარიმდნენ.

სტუმართაგან ორმაგ დუბლს გამორჩა **რაშუან ფრიმენი** - 16 ქულა, 15 მოხსნა. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 16 იყო.

■ ■ ■

ბელგიის ჩემპიონატის პლეი ოფში 6 გუნდი გადის. ხუთს ეს საკითხი დადებითად აქვს გადაჭრილი. დარჩენილია ერთი ადგილი, რომლისთვისაც „პეპინსტერი" და „ლუვენი" იბრძვიან. პირველს 11 მოგება (20 მარცხი) აქვს და მე-7 ადგილზეა, ხოლო „ლუვენი" 12 გამარჯვებით მეექვსეა.

რეგულარული ეტაპის დასრულებამდე დარჩენილია ერთი ტური, რომელშიც ერთმანეთის წინაშე სწორედ კონკურენტები წარდგებიან - „პეპინსტერი" „ლუვენს" უმასპინძლებს. მატჩი 14 მაისს გაიმართება. მეტოქის ჩამოსაცილებლად და პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად „პეპინსტერს" 2 და მეტი ქულით გამარჯვება სჭირდება.

■ ■ ■

ამასობაში ბელგიურ პრესაში გავრცელდა იქაური ლიგის ხელმძღვანელის ნაუბარი - „პეპინსტერი" ლიცენზირებისთვის საჭირო პირობებს ვერ აკმაყოფილებს (იგულისხმება ფინანსური გარანტიები) და შესაძლოა, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება არ მივცეთო. „პეპინსტერის" ხელმძღვანელობას საპირისპიროს დასამტკიცებლად და გარანტიების წარსადგენად 5 დღე აქვს.

ნატურალიზებულები

# ჯეისი ქეროლი აღმოსავლეთ ევროპის ნაკრებში...

## ...მაგრამ სად?

რომელი ნატურალიზებული ითამაშებს საქართველოს ნაკრებში? ამ კითხვაზე პასუხი ბევრს აინტერესებს, თუმცა ჯერ ზუსტი პასუხი არც ეროვნულის მთავარ მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** აქვს. საქმე ისაა, რომ **ტორინ გრინის** ტრავმის სიმძიმის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ გარკვეულა. იგი მოტეხილ ფეხის თითს მკურნალობს, თუმცა უცნობია როდის შეძლებს გრინი სრული დატვირთვით ვარჯიშს. თუ იგი საქართველოს ნაკრების შეკრების დაწყებამდე (24 ივლისამდე) მწყობრში ჩადგა, ევროპის ჩემპიონატზეც ტორინი ითამაშებს, თუ ეს ვერ მოხერხდა...

სამი წერტილის ნაცვლად რა ჩავწეროთ, არ ვიცით, რადგან ჯერ გრინისგან ველით საბოლოო პასუხს. სწორედ მასზე სიახლეების ძიებისას საინტერესო სტატიას წავაწყდით, რომელშიც ესპანეთის ჩემპიონატში მოთამაშე გაევროპელებულ ამერიკელებზეა ლაპარაკი. ვკითხულობთ: საქართველოს პასპორტი სხვადასხვა დროს მიიღეს **ტაირონ ელისმა** („ესტუდიანტესი"), ტორინ გრინმა („გრან კანარია") და **ქუინტონ ჰოსლიმ** („ხვენტუდი"), **მელვინ სენდერსმა** (ირიცხებოდა „გრან კანარიაში").

სტატიაში ნათქვამია, რომ „გრან კანარიას" ბომბარდირის, **ჯეის ქეროლის** აგენტი მოლაპარაკებას აწარმოებს აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის კალათბურთის ფედერაციასთან. ქეროლს ევროპული პასპორტი კარიერული წინსვლისთვის სჭირდება, რადგან მისი გადაბირებით ევროგრანდები არიან დაინტერესებულები და თუ მიიწვევენ როგორც ევროპელს, ამერიკელებზე დაწესებული ლიმიტი ქეროლს არც ერთ კლუბში არ შეაფერხებს. „ბარსელონა", „რეალი", „კახა ლაბორალი", „მაქაბი" - აი, იმ გრანდების არასრული სია, რომლებსაც გაისად კეროლის საკუთარ რიგებში ხილვის სურვილი აქვს.

აღმოსავლეთ ევროპა... აზერბაიჯანი, რუსეთი, ბულგარეთი, უკრაინა, საქართველო... კიდევ რამდენიმე ქვეყნის ჩამოთვლა შეიძლება, თუმცა რადგანაც მოლაპარაკების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, არავინ გაამხელს რომელი ქვეყნის ფედერაციასთან აწარმოებს მოლაპარაკებას ჯეისი ქეროლი. საქართველოს ნაკრების მეტოქეები, რუსეთი, ბულგარეთი და უკრაინაც აღმოსავლეთ ევროპას წარმოადგენენ. თუ მათგან ერთ-ერთმა დაიმატა ჯეისი, ნამდვილად არ ნააგებს - ქეროლი ესპანეთის ჩემპიონატში საშუალოდ 19.3 ქულასა და 1.2 პასს აგროვებს, შეუძლია როგორც გამთამაშებლად, ასევე მსროლელად თამაში. „გრან კანარიას" მატჩებისას, როცა გრინი მოედანზეა, ქეროლი მეორე ნომრად ირჯება.

...რაღა რუსეთს, ბულგარეთსა და უკრაინას მივადექით, იქნებ საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ ემზადება ჯეისი?




ქეროლი ჰოსლის წინააღმდეგ

ქართველი ცენტრი ევროლიგის რჩეულთა შორის

# ნესტეროვიჩი, კუკი, შერმადინი...

ევროლიგაზე **გიორგი შერმადინის** წარმატებული თამაში სათანადოდ დააფასეს „ევრობასკეტის" ჟურნალისტებმა. მათ სეზონის საუკეთესოთა შორის გიორგიც დაასახელეს. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით.

ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელის ჯილდო ჩემპიონ **დიმიტრის დიამანტიდისს** ერგო. სიმბოლური ხუთეული ასე გამოიყურებოდა: დიმიტრის დიამანტიდისი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), **ხუან კარლოს ნავარო** (ბარსელონა, ესპანეთი), **ფერნანდო სან ემეტერიო** (კახა ლაბორალი, ესპანეთი), **მაიკ ბატისტი** (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), **სოფოკლის შორციანიტისი** (მაქაბი, ისრაელი).

ასევე გამოქვეყნდა მეორე და მესამე ხუთეულები, რომლის შემდეგაც ჩამოთვლილია ევროლიგის გამორჩეული თორმეტეული. მასში გიორგი შერმადინთან ერთად მოხვდნენ: **რაშო ნესტეროვიჩი** (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), **დორ ფიშერი** (რეალი, ესპანეთი), **ანტე ტომიჩი** (რეალი, ესპანეთი), **ხალიდ ელ ამინი** (რიტასი, ლიტვა), **როკო უკიჩი** (ფენერბაჰჩე, თურქეთი), **მირსად თურქანი** (ფენერბაჰჩე, თურქეთი), **ომარ კუკი** (ვალენსია, ესპანეთი), **იგორ რაკოჩევიჩი** (ეფესი, თურქეთი), **დარიუს ვაშინგტონი** (რომა, იტალია), **ჯოელ ფრილენდი** (უნიკახა, ესპანეთი), **კენი გრეგორი** (ოლიმპია, სლოვენია).

■ ■ ■

ევროლიგიდან სლოვენიაში გადავინაცვლოთ. შიდა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერ „მარიბორთან" წაგების შემდეგ „ოლიმპიას" მწვრთნელმა, **მირო ალილოვიჩმა** შეგირდები გვარიანად შეაფუცხუნა, რაც მომდევნო მატჩის შედეგზე აისახა. ოლიმპიელებმა საშინაო მატჩში „სლოვანს" 12-ზე მეტი ქულა ერთ მეოთხედშიც არ დაანებეს, საბოლოოდ 70:45 მოიგეს.

მწვრთნელმა **ვოვა ბოისა** და **გიორგი შერმადინი** „ოლიმპიას" ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა. გიორგიმ სულ 8 წუთი ითამაშა, თუმცა მეტოქეებმა მისი შეჩერება ვერ მოახერხეს - 4-დან 4 ორქულიანი ჩააგდო და 8 ქულას თითო მოხსნა-პასი-ჩაჭრა მიამატა.




შერმადინმა სლოვანთან უშეცდომოდ ისროლა

ვლადიმერ ბოისამ ორჯერ მეტი, 16 წუთი ითამაშა და ძირითადად დაცვითი ფუნქციების შესრულებით იყო დაკავებული: მხოლოდ ერთი ორქულიანი და 2 საჯარიმო ისროლა. თითო მოხსნა-პასი-ქულა - ასეთი იყო ვოვას მონაგარი.

მატჩის ბომბარდირი „ოლიმპიას" ხორვატი ფორვარდი **დამირ მარკოტა** გახდა, რომელმაც 14 ქულას მოუყარა თავი.

სლოვენიის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპიდან მომდევნო ეტაპზე (ნახევარფინალში) 4 გუნდი გადის. ჯგუფში პირველობა განაღდებული აქვს კრკა-ს - 11 მოგება, 0 წაგება. მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებენ „ოლიმპია", „ზლატოროგი" და „ჰელიოსი". სამივეს 7-7 გამარჯვება აქვს. ვინ რომელ ადგილზე დაასრულებს ამ ეტაპს, დარჩენილი სამი ტური გაარკვევს. 14 მაისს „ოლიმპია" „ზლატოროგს" სტუმრობს, შემდეგ „პოლზელას" მიიღებს, ხოლო ბოლო ტურში სტუმრად კრკა-ს დაუპირისპირდება.

იტალია

# რით გაგახაროთ?!

იტალიის ჩემპიონატის 29-ე ტურიდან ქართველი გულშემატკივრისთვის გასახარი არაფერი გვაქვს. წააგო როგორც **მანუჩარ მარკოიშვილის** „ტერამომ", ასევე **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა". მანუს არ უთამაშია, განაცხადში არ იყო, ხოლო ვიქტორმა ბევრი კი იშრომა, მაგრამ შეტევაში ჩვეულად ვერ გაისარჯა და მოედანი უქულოდ დატოვა.

■ ■ ■

„კანტუმ" ტრევიზოში „ბენეტონთან" 84:88 დათმო. მანუჩარს ფეხის თითი აწუხებს და არც ორი დღის წინ „ბიელასთან" ამხანაგურ მატჩში მიუღია მონაწილეობა.

„ვირტუსმა" რომში „ლოტომატიკასთან" კარგად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ მესამე პერიოდი ჩააგდო და საბოლოოდ 69:80 დამარცხდა.

სანიკიძის მონაგარი ასეთი იყო: 28 წუთი, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა. მან ორ-ორი ორქულიანი, სამიანი და საჯარიმო ისროლა, თუმცა მიზანს ვერც ერთმა ვერ მიაღწია.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

სუპერ ლიგა
პლეი ოფი
1/2 ფინალი
13 მაისი
თბილისის სპორტის სასახლე
სოხუმი – არმია 14:00
ქუთაისის სპორტის სასახლე
ქუთაისი – თსუ 18:00



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მიხეილ ჩაჩუასთან



ივერიას ჭაბუკთა A ლიგის გუნდი

# ივერია გაბრწყინდება?

საქართველოში რაგბი დღითი დღე პოპულარობას იხვეჭს, ვითარდება, რასაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი სარაგბო კერების წარმოქმნაც თვალნათლივ ადასტურებს. ამის პარალელურად კი მიმდინარეობს აქამდე არსებული და ჟამთა ცვლის გამო გაუქმებული გუნდების აღორძინებაც. ასეთია, მაგალითად თბილისის „ივერია“, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოეთის ხანაში არაერთი ძლიერი მორაგბე აღუზრდია და საკავშირო პირველობაზე ახალგაზრდულ გუნდებს შორის შესანიშნავად ასპარეზობდა. „ივერია“ ამ გუნდის აღზრდილებმა რამდენიმე წლის წინ აღადგინეს და დღესაც რაგბის სამსახურშია. კლუბის წარსულზე, აწმყოსა და მომავლის გეგმებზე „ივერიას“ მწვრთნელს **მიხეილ ჩაჩუას** ვესაუბრეთ.

- თბილისის „ივერია“ 1986 წელს ემზარ სულაქველიძის, ლევან მგელაძისა და ნუგზარ გაბრიჩიძის თაოსნობით დაფუძნდა. გუნდმა მალე მიაღწია წარმატებას საკავშირო ასპარეზზე. ახალგაზრდებს შორის 1987 და 1990 წლებში ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ, 1988 წელს კი ტირსაპოლში გამართულ ბოლო ეტაპზე ყველას მოვუგეთ და ჩემპიონის ტიტული ვირგუნეთ. 1998-94 წლებში ზედიზედ ექვსჯერ გავხდით საუკეთესოები საქართველოს ჩემპიონატში. მაშინ გუნდი ვაზისუბანში 172-ე საშუალო სკოლის ბაზაზე ვარჯიშობდა.

**- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „ივერიამ“ დიდხანს ველარ იარსება. რა იყო კლუბის დაშლის მიზეზი?**

- „ივერიამ“ არსებობა 1994 წელს შეწყვიტა. ქვეყანა აირია, მატერიალურად გაგვიჭირდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი ემზარ სულაქველიძე აფხაზეთის ომში დაიკარგა. გუნდმა არსებობა ველარ შეძლო.

**- დღეს „ივერია“ ისევ არსებობს. ვისი თაოსნობით აღდგა გუნდი და რამდენად წარმატებულია მისი აწმყო?**

- „ივერია“ მე და გიორგი ჯავახიშვილმა 2006 წელს, ვარკეთილში 180-ე საჯარო სკოლის ბაზაზე აღვადგინეთ. მუშაობა, ცხადია, ბავშვებთან დავიწყეთ. მალე ჭაბუკთა B ლიგაში და ბავშვთა საფესტივალო ასაკის ტურნირებში დავიწყეთ ასპარეზობა.

2009 წელს კი საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ვითამაშეთ. ძალიან დიდი დახმარება გაგვიწია ჩვენმა სპონსორმა „უზ დეუმ“, რომლის დამსახურებაცაა, რომ შარშან, ძალზედ ახალგაზრდული გუნდით, პირველ ლიგაში მეორე ადგილი დავიკავეთ და უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ მატჩში თბილისის „არმაზთან“ დავმარცხდით. ერთი სიტყვით, უმაღლეს ლიგამდე ერთი ნაბიჯის გადადგმალა დაგვაკლდა.

**- მიუხედავად ასეთი წარმატებული პირველი ნაბიჯებისა, წლეულს „ივერიას“ პირველი ლიგის გუნდებს შორის ველარ ვხედავთ...**

- დიახ ასეა, სხვადასხვა მიზეზების გამო გუნდი დაიშალა. მოთამაშეები, რომლებსაც ბავშვობიდან ვზრდიდით, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებში დაიფანტნენ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი სამი აღზრდილი, ხვიჩა ბუჯიაშვილი, ბექა ბიწაძე და ზაზა ნავროზაშვილი საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების წევრია და თბილისში გასამართავ „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე“ იასპარეზებენ.

**- პირველი ლიგის გუნდი აღარ არსებობს, მაგრამ კლუბი ხომ განაგრძობს არსებობას?**

- რა თქმა უნდა, კლუბი არ გაუქმებულა. სხვადასხვა ასაკის 120 ბავშვი გვყავს, რომლებთანაც ჩემთან ერთად, გიორგი ჯავახიშვილი და ვაჟა პაიჭაძე მუშაობენ. კლუბის პრეზიდენტი ვახტანგ აბრამიშვილი შეძლებისდაგვარად ყველა პირობის შექმნას ცდილობს.

ამასთან, ისევ „უზ დეუს“ დახმარებით შევქმენით ჭაბუკთა A ლიგის გუნდი და ხუთი ტურის შემდეგ ლიდერები ვართ. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მოთამაშეები მეტოქეებზე ერთი წლით უმცროსები არიან. ამასთან ჩვენი 6 მორაგბე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების წევრია. ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ კარგი პერსპექტიული ბიჭები გვყავს და მომავალს იმედით ვუყურებთ.

გვინდა ეს გუნდი ახალ სეზონში პირველ ლიგაში ვათამაშოთ და საბოლოო მიზანი ელიტარულ, უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლების მოპოვებაა.

ამბები

## 180 ათასი ევრო თითოეულს

საფრანგეთის რაგბის ფედერაცია, იმ შემთხვევაში, თუ „ლე ბლე“ მსოფლიო თასს მოიპოვებს, ეროვნული ნაკრების თითოეულ მორაგბეს 180 ათას ევროს გადასცემს. ჯგუფური ტურნირის დაძლევის შემთხვევაში ნაკრების წევრები 45 ათას 740 ევროს მიიღებენ, რაც ჯამში მილიონ 372 ათას ევროს შეადგენს.

თუ სამფეროვნები მეოთხედფინალში გამოეთიშებიან გათამაშებას, ჯილდოდ 60 ათას ევრო იქნება. ოთხეულში შესვლის შემთხვევაში თანხა 100 ათას ევრომდე გაიზრდება. ხოლო ფინალში ნაგება 140 ათასი ევროთი შეფასდება.

საფრანგეთის რაგბის ფედერაცია, ჯერჯერობით ერთადერთია, რომელმაც გუნდისთვის პრემიალური თანხა დაანესა.

## ისევ შაბალის შესახებ

პარიზული „მეტრო რასინგის“ მესამეხაზელი **სებასტიან შაბალი** ბოლო დღეებში ფრანგული სპორტული მედიისთვის ყველაზე აქტუალური თემაა. ექსტრავაგანტური გარეგნობის ფრანგი მორაგბე ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა **მარკ ლივერმონმა** გუნდის გაფართოებულ შემადგენლობაში არ შეიყვანა. ამას, ცხადია, ფრანგული რაგბის თემში სხვადასხვა, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული რეაქცია მოჰყვა.

თავად შაბალი მომხდარში მხოლოდ საკუთარ თავს და უიღბლობას ადანაშაულებს.

*„შარშანდელი სეზონი შესანიშნავად ჩავატარე. წლეულს კი ტრავმებმა დამტანჯა. ექვსი ერის გათამაშების დაწყებამდე ორი თვე გამიცდა და ფორმის აღდგენა ვერ მოვასწარი. ეს კი ნაკრებში ადგილის დაკარგვად დამიჯდა“.* - თქვა სებასტიანმა გუშინ პრესკონფერენციაზე.

საკუთარ თავს ადანაშაულებს მომხდარში მარკ ლივერმონიც:

*„შესაძლოა, შაბალი ჩემს შეცდომას შეეწირა. ექვსი ერის გათამაშებაში არ უნდა მეთამაშებინა. ის ჯერ კიდევ არ იყო შესული სათანადო ფორმაში. არადა, ვფიქრობდი, რომ შანსს ვაძლევდი, თავისი შესაძლებლობები წარმოეჩინა. ეს ვერ შეძლო და, სამწუხაროდ, ველარ ვენდობი“*

სრულიად განსხვავებული პოზიცია აქვს საფრანგეთის ნაკრების ყოფილ და „მეტრო რასინგის“ ამჟამინდელ მწვრთნელ **პიერ ბერბიზიეს.**

*„არ მესმის როგორ შეიძლება სებასტიან შაბალს რაფაელ ლაკაფია ან თუნდაც ლუი პიკამოლი ამჯობინო. შარშან შემოდგომაზე სებასტინი უკონკურენტო იყო. მის ადგილზე სხვა მოთამაშის წარმოდგენაც არ შეიძლებოდა.*

*ლაკაფიას და პიკამოლს არაფერს ვერჩი, ისინი პერსპექტიული მოთამაშეები არიან. პირველი მათგანი სულაც დებიუტანტია. უბრალოდ, შაბალი ფრანგი მსაჯების მიმართ გამოთქმული მწვავე კრიტიკისთვის დასაჯეს“,* - მიაჩნია ბერბიზიეს, რომელიც იანვარში, ასევე მსაჯების მიმართ გამოთქმული კრიტიკისთვის, საფრანგეთის რაგბის ნაციონალურმა ლიგამ ერთთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ისტორია

# პირველი წითელი ბარათი

სარაგბო დაპირისპირებაში წითელი ბარათი პირველად მატჩის არბიტრმა შორეულ 1925 წელს გამოიყენა. ლონდონში, „თვიქნემზე“ ინგლისის ნაკრები ევროპულ ტურნეში მყოფ ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს მასპინძლობდა.

„ოლ ბლექსისთვის“ ეს შეხვედრა ტურნეში ბოლო იყო, მანამდე ახალზელანდიელებს ყველა მეტოქე დამარცხებული ჰყავდა. ინგლისელები კი იმ წელიწადს ხუთი ერის გამარჯვებულები იყვნენ და საუკეთესო ფორმაში იმყოფებოდნენ. ყოველივე აქედან გამომდინარე, მატჩის მნიშვნელობა ერთიათად იზრდებოდა. პირთამდე გადაჭედილი სტადიონის ტრიბუნების გამაყრუებელი ღრიალი მორაგბეებისთვის ვითარებას კიდევ უფრო ნერვიულს ხდიდა.

თამაშის დაწყებისთანავე მორაგბეებმა რამდენჯერმე იკინკლავეს, ბოლოს კი ყოველივე ჩხუბში გადაიზარდა. მატჩის უელსელმა არბიტრმა **ალბერტ ფრიტიმ** ახალზელანდიელ მორკინალს **სირილ ბროუნლის** წითელი ბარათი უჩვენა. ეს იყო, პირველი შემთხვევა მსოფლიო რაგბის ისტორიაში, როდესაც მსაჯმა სასჯელის ასეთ ზომას მიმართა.

ცხადია, ფრიტის ამ ქმედებას ასე იოლად არ ჩაუვლია. „ოლ ბლექსის“ ხელმძღვანელები აღშფოთებულნი იყვნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ სირილ ბროუნლისთან ერთად არბიტრს ინგლისელი **რეჯი ედვარდსიც** უნდა გაეძევებინა, რომელმაც ინციდენტის პროვოცირება გამოიწვია.

იმჟამინდელი ბრიტანელი რაგბის მიმომხილველი **ტერი მაკლინი** ასე იხსენებდა ამ ფაქტს.

*„სირილ ბროუნლიმ ბურთი საკუთარ 22-მეტრიან ზონაში დაიჭირა. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და ვითარების განმუხტვის მიზნით ბურთი ფეხით აუტში გადაიტანა. რეჯი ედვარდსი მთელი სიჩქარით გამოექანა და უბურთო მეტოქე ძირს დაანარცხა. ამას კი დიდი გაწევ-გამოწევა მოჰყვა. შედეგად კი მარტი ბროუნლი დაისაჯა“.*

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირმა ალბერტ ფრიტის, რომელიც იმ დროის უდავოდ საუკეთესო არბიტრი იყო, სთხოვა სასტვენი, რომლითაც შეხვედრა იმსაჯა, საჩუქრად გადაეცა. ეს სასტვენი ამჟამად ახალი ზელანდიის რაგბის მუზეუმში ინახება, ქალაქ პალმერსტონში, სადაც საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო თასზე ორი შეხვედრა უნდა გამართოს რუმინეთისა და არგენტინის ნაკრებებთან. საგულისხმოა, რომ ყველა მსოფლიო თაისის გათამაშების პირველი შეხვედრა, სწორედ ამ სასტვენიდან მიცემული სიგნალით იწყება.

აღსანიშნავია, რომ ალბერტ ფრიტისთვის ამ ამბავს მთალად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. 1937 წელს მას სუონსის პაბში სამი ახალზელანდიელი მოკრიკეტე თავს დაესხა. სამივე, იმავდროულად, ახალი ზელანდიის რაგბის ნაკრების წევრი იყო.

**ალბერტ ფრიტი** 1885 წლის 27 აპრილს დაიბადა უელსის ქალაქ სუონსიში. ის უმაღლესი რანგის მოკრიკეტე იყო, არაერთხელ უთამაშია უელსის ნაკრებში. 1921 წელს ფრიტი კრიკეტს გამოეთხოვა და მთელი დარჩენილი ცხოვრება, რატომღაც რაგბის მიუძღვნა. ის იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო სარაგბო არბიტრი იყო. მან 1923-31 წლებში თვრამეტი ტესტ-მატჩი განსაჯა. მოგვიანებით ის საკუთარ ფესვებს დაუბრუნდა და გლერმორგენის რაგბის კომიტეტში მუშაობდა.

ფრეტი 1966 წლის 17 ივნისს გარდაიცვალა.

სირილ ბროუნლი 1895 წელს დაიბადა. ის ძმებთან, **მორისონთან და ლოურენსთან** ერთად ახალი ზელანდიის ნაკრების ღირსებას იცავდა გასული საუკუნის ოციან წლებში. სირილმა ეროვნულ გუნდში 31 კეპი მოიხვეჭა და 11 ლელო მიითვალა.

ისტორიული ინციდენტის კიდევ ერთი მონაწილე რეჯი ედვარდსი ნიუპორტში დაიბადა. მან უელსის რამდენიმე ჩემპიონატში ითამაშა, მაგრამ ეროვნულ გუნდს ვერ ეღირსა. 1921 წელს, ედვარდსი ინგლისის ნაკრებში მიიწვიეს. ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო. „ჰომების“ შემადგენლობაში არაერთ ნიუპორტელს უთამაშია.

პირველი მსოფლიო ომისას ედვარდსი კანადაში გადასახლდა, რომლის დამთავრების შემდეგ ისევ ბრიტანეთში დაბრუნდა და 1926 წლამდე თამაშობდა. სარაგბო კარიერის დასრულების შემდეგ რეჯი ედვარდსი ერთხანს ხორცით ვაჭრობით ირჩენდა თავს, მერე ისევ კანადაში, მონრეალში დაბრუნდა, სადაც 1951 წლის 9 მაისს გარდაიცვალა კიდეც.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ალბერტ ფრიტიმ სირილ ბროუნლის წითელი ბარათი აჩვენა



msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი**



იაგრის ერთ-ერთი გოლი

# ფავორიტების უპირატესობით

ამერიკის ნაკრებმა, რომლის საშუალო ასაკი 24 წელს არ აღემატება, ვერაფერი გააწყო ჩეხეთის კარგად შეთამაშებულ და გამოცდილ გუნდთან. ყოველდღიურად უმატებს თამაშს **იაგრის, ჩერვენკასა** და **პლეკანეცის** სამეული. ამჯერად ამ ტრიომ ფანტასტიკური მატჩი ჩაატარა - **ტაი კონკლინის** კარში გატანილი ოთხი შაიბა სწორედ მათი ორგანიზებული იყო, გარდა ამის, კიდევ კინაღამ ოთხი გაიტანეს: მეკარესთან სამჯერ პირისპირ გასვლა გააფუჭა პლეკანეცმა, ჩერვენკას ერთი სახიფათო გასროლა კი მეკარემ მოიგერია. რაც შეეხება 39 წლის იაგრს, მან ამ მატჩში ნამდვილი ბენეფისი მოიწყო - ლეგენდარული ვეტერანის შეჩერება შეუძლებელი იყო.

მატჩის შემდეგ ჩეხების დამრიგებელმა **ალოიზ ჰადამჩიკმა** ჰეთ-თრიკის ავტორის თამაშს „ბრწყინვალე“ უწოდა, თავად მატჩის გმირმა კი მოკრძალებულად განაცხადა, რომ ფორმის პიკზე ჯერ არ გასულა. გასაკვირი არ არის, რომ ჩეხ ლეგენდას აქტიურად იწვევენ NHL-ის კლუბები.

ჩეხეთი და ამერიკა აქამდე ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში. ამერიკელებმა 2004 წელს 3:2 გაიმარჯვეს, ევროპელებმა კი მომდევნო წელს იგივე ანგარიშით აიღეს რევანში.

■ ■ ■

ზედიზედ მეორე ჩემპიონატია, გერმანია არაფერში ჩამორჩებოდა ფავორიტებს, მაგრამ ისევ ვერ გააღწია ბოლომდე. შარშანდელი პირველობის საუკეთესო მოთამაშეს, გერმანელთა მეკარე **დენის ენდრაშს** ამ ჩემპიონატზე ძალიან არ უმართლებს - საიმედო თამაშის ფონზე დასანან შაიბებს უშვებს: საქმეში ერთვება რიკოშეტები, დაცვაში შეცდომები, ძელიდან გოლები... ამჯერადაც 28-ე წამზე **ტიორნბერგის** გოლი რიკოშეტით გავიდა და „ტრე კრუნური“ დაწინაურდა.

გერმანია არ დაიბნა და მალე გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ამ გოლით გამხნევებული აქტიურად წავიდა წინ და დარტყმების რაოდენობით აჯობა მეტოქეს. თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ დაცვაში მორიგმა შეცდომამ **პატრიკ ბერგლუნდის** გოლი მოიტანა. პასის ავტორი **ტიორნბერგი** იყო. ამ დუეტმა შვედეთის ხუთიდან სამ გოლში მიიღო მონაწილეობა.

მატჩის შუაში სკანდინავების უპირატესობა ტოტალური გახდა - **პერსონისა** და **ერიქსონის** გოლების შემდეგ ანგარიში 4:1 იყო „ტრე კრუნურის“ სასარგებლოდ. თითქოს მატჩს ინტრიგა აღარ ჰქონდა, მაგრამ **ვოლფმა** იყოჩაღა და ბოლო მეოთხედისთვის გერმანელთა ჩამორჩენა ორ შაიბამდე დაიყვანა.

გერმანელების მეკარე ენდრაში ვახსენეთ და ასევე უნდა აღვნიშნოთ შვედეთის ლიგის საუკეთესო გოლკიპერის **ფასტის** თამაში. ამ გოლკიპერს უკვე სამი „შათაუტი“ დაუგროვდა და მოგერიებისა და საიმედოობის ფანტასტიკური მაჩვენებელი აქვს.

მატჩის ბედი 48-ე წუთზე გადაწყდა, როცა მარტინ ტიორნბერგმა დუბლი გაიფორმა. შვედეთი ყოველგვარი პრობლემის გარეშე, კლასის ხარჯზე გავიდა ნახევარფინალში, სადაც უფრო სერიოზულ მეტოქეს, მოქმედ ჩემპიონ ჩეხეთს შეხვდება.

**1/4 ფინალი**

**ჩეხეთი–აშშ 4:0**

**1:0, 1:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 იაგრი-3 (ჩერვენკა-5), 2:0 იაგრი-4 (პლეკანეცი-2, რახუნეკი-2), 3:0 პლეკანეცი-5 (ფროლიკი-2, ჟიდლიცკი-3), 4:0 იაგრი-5 (პლეკანეცი-3).

**შვედეთი–გერმანია 5:2**

**2:1, 2:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 ტიორნბერგი-1 (ბერგლუნდი-1), 1:1 ბარტა-2 (მაუერი-3, კინკი-2), 2:1 ბერგლუნდი-6 (ტიორნბერგი-3, ფასტი-1), 3:1 პერსონი-3 (ნილსონი-5, ეკმან ლარსონი-2), 4:1 ერიქსონი-3 (რუნდბლადი-1, ნილსონი-6), 4:2 ვოლფი-2 (რანკელი-2, ჰოლცერი-1), 5:2 ტიორნბერგი-2 (ბერგლუნდი-2, პააიარვი-5).

**კრივი**

# რომანის დასასრული



სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ვლადიმერ კლიჩკომ** და ჰოლივუდის მსახიობმა **ჰაიდენ პენეტიერმა** სასიყვარულო ურთიერთობის განწყვეტის შესახებ გამოაცხადეს. თანამედროვე პროფესიული კრივის ერთ-ერთი ლიდერისა და მსახიობის (რომელიც ვლადიმერის გვერდით „ლილიპუტს“ ჰგავდა) რომანი ორი წელი გრძელდებოდა.

*„მადლობას ვუხდი ჰაიდენს ერთად გატარებული ორი წლის გამო. ეს შესანიშნავი დრო იყო. თუმცა ბოლო დროს ვატყობდით, რომ ჩვენი ურთიერთობის შენარჩუნება სულ უფრო რთული ხდებოდა. ძალიან დიდი მანძილია ორ კონტინენტს შორის. ჰაიდენი ამერიკაში ცხოვრობს, მე ოკეანის გაღმა - ევროპაში. ვაფასებ მას, როგორც ადამიანსა და როგორც ქალს. დარწმუნებული ვარ, კარგ მეგობრებად დავრჩებით“*, - განაცხადა IBF-სა და WBO-ის ჩემპიონმა.

დაახლოებით იგივე გაიმეორა პენეტიერიმაც: *„დიახ, ჩვენ განშორება გადავწყვიტეთ, თუმცა პატივს ვცემთ ერთმანეთს და მომავალში მეგობრებად დავრჩებით“.*

ამ წყვილის ურთიერთობისას ჟურნალისტებს ყოველთვის აინტერესებდათ, როგორ ახერხებდნენ ისინი კოცნას. ვლადიმერი თითქმის ორი მეტრი სიმაღლისაა, ჰაიდენი - მხოლოდ 1.55 მეტრი. თუმცა ერთხელ კლიჩკომ ხუმრობის განაცხადა: „როცა ჰაიდენს კოცნა უნდა, კიბეზე ადის“.

**კალათბურთი**

# ახალი ლაურეატები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული სეზონის ახალი ლაურეატები დაასახელა. ამჯერად გამოვლინდა ლიგის საუკეთესო მენეჯერი. ამ ტიტულს ორი მფლობელი ჰყავს - „მაიამი ჰიტის“ პრეზიდენტი **პატ რაილი** და „ჩიკაგოს“ გენერალური მენეჯერი **გარ ფორმენი**.

რაილიმ, რომელიც „ჰიტში“ მე-16 სეზონს ატარებს, გასულ ზაფხულს ახალი კონტრაქტის გაფორმება მოახერხა 2006 წლის ფინალური სერიის MVP-სთან **დუეინ უეიდთან**, აგრეთვე თავის გუნდში გადაიბირა ორი სუპერვარსკვლავი - **ლებრონ ჯეიმსი** და **კრის ბოში**. ფლორიდულმა კლუბმა რეგულარულ ჩემპიონატში 58 მატჩი მოიგო და 24-ჯერ დამარცხდა, რამაც მას აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილი მოუტანა.

„ჩიკაგო“ 62 მოგებითა და 20 წაგებით სეზონის საუკეთესო გუნდი გახდა. ფორმენის აქტიური მუშაობის წყალობით „ხარებმა“ ზაფხულში თავისუფალი აგენტები - **კარლოს ბუზერი, რონი ბრიუერი** და **კაილ კორვერი** დაიმატეს. გუნდის დებიუტანტი დამრიგებელი **ტომ ტიბოდო** ამ სეზონის საუკეთესო მწვრთნელი გახდა, გამთამაშებელი **დერიკ როუზი** კი სეზონის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე.

■ ■ ■

გუშინვე ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ამ სეზონის საუკეთესო ახალბედათა პირველი და მეორე სიმბოლური ნაკრებები გამოავლინა. პირველ ნაკრებში ვხედავთ წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო დებიუტანტად აღიარებულ **ბლეიკ გრიფინს**, რომელიც წელს „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ლიდერად იქცა.



ბლეიკ გრიფინი

**პირველი ნაკრები:** ბლეიკ გრიფინი („კლიპერსი“), ჯონ უოლი („ვაშინგტონი“), ლენდრი ფილდსი („ნიუ იორკი“), დემარკუს კაზინსი („საკრამენტო“), გარი ნილი („სან ანტონიო“).

**მეორე ნაკრები:** გრეგ მონრო („დეტროიტი“), უესლი ჯონსონი („მინესოტა“), ერიკ ბლედსოუ („კლიპერსი“), დერიკ ფეივორსი („ნიუ ჯერსი“), პოლ ჯორჯი („ინდიანა“).

# კობის მომავლის სჯერა

## ენდრიუ ბინუმი ხუთი მატჩით დაისაჯა



ენდრიუ ბინუმი

„ლოსანჯელესლეიკერსის“ ძირითადი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი** 2011-12 წლების რეგულარული ჩემპიონატის საწყის ხუთ შეხვედრას გამოტოვებს. ამის მიზეზი გახდა ის ბინძური ილეთი, რომელიც ბინუმმა „დალასთან“ მეოთხედფინალური სერიის მეოთხე მატჩში **ხუან ხოსე ბარეას** წინააღმდეგ გამოიყენა.

გარდა ამისა, კალიფორნიელი 25 ათასი დოლარით დაჯარიმდა იმის გამო, რომ სათადარიგო სკამისკენ მიმავალმა მაისური გაიხადა. შეგახსენებთ, რომ ბინუმმა ნეკნებში იდაყვი უთავაზა ბარეას მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ბურთიანად ჰაერში იმყოფებოდა და შეტევას ასრულებდა.

მოგვიანებით, ბინუმმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში ამ არასპორტული საქციელისთვის. კალიფორნიელთა ცენტრის განცხადებით, უხეშობის მიზეზი გახდა „ლეიკერსის“ უნიათო თამაშით გამოწვეული იმედგაცრუება. მოქმედმა ჩემპიონმა ის მატჩი 36 ქულის სხვაობით წააგო, რის შემდეგაც სერიაში ანგარიში 0:4 გახდა.

■ ■ ■

„დალასთან“ განადგურების შემდეგ პრესას პირველი კომენტარი მისცა „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ლიდერმა **კობი ბრაიანტმა**. NBA-ის ვარსკვლავი მომხდარისგან ტრაგედიას არ ქმნის და კლუბის წარმატებული მომავლის სჯერა.

ბრაიანტი ჟურნალისტებს კლუბის გენერალურ მენეჯერთან **მიტჩ კუპჩაკთან** ერთად შეხვდა. პირველ რიგში, „ლეიკერსის“ წარმომადგენლებმა უარყვეს ჭორი გუნდის დაშლის შესახებ.

*„ეს ყველაფერი სისულელეა,* - განაცხადა კობიმ. - *მახსოვს, გასული საუკუნის 80-იან წლებში „ლეიკერსი“ ზედიზედ სამი წელი ვერ ხდებოდა ჩემპიონი, მაგრამ მაშინ გუნდის დაშლა არავის უფიქრია.*

*მჯერა თუ არა, რომ დავბრუნდებით და ისევ შევძლებთ გამარჯვებას? რა თქმა უნდა, მჯერა. თუ ეს გუნდი ამავე შემადგენლობით გააგრძელებს თამაშს, მორიგი ტრიუმფი სავსებით რეალური იქნება“.*

თუმცა კობიმ თავი ვერ შეიკავა და პარტნიორები მაინც გააკრიტიკა.

*„როცა ვარჯიშზე არ ვიმყოფებოდი, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ზოგიერთი კალათბურთელი გამოსასვლელ დღეს იწყობდა - მხოლოდ იმის გამო, რომ მე არ ვიყავი მათ გვერდით. ეს იმას ჰგავს, როცა გვერდით უფროსი ძმა არ გყავს... ეს ძალიან სამწუხაროა,* - ამბობს „შავი მამბა“. - *იმედგაცრუებული ვიყავი, რადგან ჯანმრთელობის გამო არ შემეძლო მუდმივად მათ გვერდით ყოფნა. შემდეგ სეზონი სხვანაირად იქნება. წელს უფრო ძლიერი გავხდი, ამიტომაც შევძლებ ვარჯიშებზე მათ გამოცოცხლებას. შესაბამისად, თავის გასასამართლებელი არაფერი გვექნება“.*

# რივერსი რჩება, ფილი არ ბრუნდება

„მაიამისთან“ სერიის წაგების შემდეგ „ბოსტონის“ მთავარი მწვრთნელი **დოკ რივერსი** სამუშაოს ბოლომდე მიყვანას აპირებს.

ვარაუდობდნენ, რომ გუშინდელი მარცხი „სელტიქსში“ რივერსის მოღვაწეობის დასასრული იქნებოდა, მაგრამ სპეციალისტმა აღიარა, რომ რამდენიმე კვირა ფიქრობდა თავის მომავალზე და „ბოსტონში“ მუშაობის გაგრძელებისკენ იხრება. ოფიციალური გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

ამასობაში, „ლეიკერსის“ აწ უკვე ყოფილი დამრიგებელი **ფილ ჯექსონი** გამოეხმაურა გუშინდელ ჭორს იმის თაობაზე, თითქოს ის „ნიუ იორკ ნიქსში“ გააგრძელებს კარიერას. NBA-ის ყველა დროის ტიტულოვანი მწვრთნელის აღიარებით, ის აღარ აპირებს სამწვრთნელო მოღვაწეობის გაგრძელებას.

*„არ ვაპირებ კარიერის გაგრძელებას. დღეს მე ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. მიუხედავად ამისა, არავინ იცის რა მოხდება წელიწად-ნახევრის შემდეგ.*

*ვფიქრობ, კალათბურთის გარეშე ცხოვრება ჩემთვის მუდმივ ბრძოლად გადაიქცევა. ბუნებრივია, პერიოდულად გავიხსენებ ჩემს გუნდებთან გატარებულ წლებს, დავინტერესდები „ლეიკერსის“ ბედით. მაგრამ მჯერა, რომ არჩეული გზიდან გადახვევა არ შეიძლება. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მწვრთნელობის გარდა სხვა საქმის კეთებაც შემიძლია“*, - განაცხადა ჯექსონმა.



დოკ რივერსი გუშინდელი მატჩის შემდეგ

**ავტოსპორტი**

# ფოლქსვაგენი პოლოს ამზადებს

გერმანულმა ავტოგიგანტმა „ვოლკსვაგენმა“ ოფიციალურად დაადასტურა რალის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა. დებიუტი 2013 წელს შედგება და ახალი გუნდს პირველივე წელს წარმატების მიღწევის იმედი აქვს.

გერმანელები რალისთვის ამზადებენ ავტომობილს - Volkswagen Polo R-ს, რომელმაც კონკურენცია უნდა გაუწიოს რალის ჩემპიონატის დღევანდელ ლიდერებს.

*„რალიში მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე გლობალური ტურნირია ავტოსპორტის სამყაროში. ამიტომაც ჩვენთვის მომგებიანია ამ სერიაში მონაწილეობა - როგორც სპორტული, ასევე მარკეტინგული თვალსაზრისით. ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი დაძაბული ადევნებს თვალს რალიში მოვლენათა განვითარებას. ეს უდიდესი აუდიტორიაა და სწორედ მათზე ვაპირებთ მუშაობას.*

*დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ რაღაც ახალი შევძინოთ ამ სერიას და გამოვაცოცხლოთ ჩემპიონატი“*, - განაცხადა „ფოლკსვაგენის“ მარკეტინგული განყოფილების შეფმა **ლუკა დე მეომ**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები

# ჯოკოვიჩის შანსი


ნოვაკს პირველობის შანსი აქვს

მამაკაცთა ტურნირზე გამოსვლა დაიწყო მსოფლიოს პირველმა სამმა ჩოგანმა. **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** გამარჯვებათა სერია პოლონელ **ლუკაშ კუბოტთან** მატჩში გააგრძელა. სერბმა მეტოქეს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ დაანება, თავად კი ოთხი ბრეიკი გააკეთა. დევისის თასზე ორი გამარჯვების გათვალისწინებით ჯოკოვიჩი აგერ უკვე 35 მატჩია არ მარცხდება - ამ მაჩვენებლით ის **ტომას მუსტერსსა** და **როჯერ ფედერერს** გაუთანაბრდა. თუმცა **ბიორნ ბორგისა** (1979-80) და იმავე ფედერერის (2006-07) შედეგამდე ჯერ შორია - ამ დუეტს 41-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდა. რეკორდი კი **გილერმო ვილასს** ეკუთვნის - ზედიზედ 46 გამარჯვება.

ფედერერი ახალი რეკორდების დამყარებაზე აღარ ფიქრობს. ამას წინათ მან განაცხადა, რომ კვლავინდებურად ლამობს რეიტინგის სათავეში დაბრუნებას და მიიჩნევს, რომ „დიდი სლემის" რომელიმე ტურნირის მოგების შემთხვევაში მიზნის ასრულება შესაძლებელი იქნება. რომში შვეიცარიელს პირველ მოწინააღმდეგედ უხერხული მეტოქე ჰყავდა ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგას** სახით. პირველი პარტიის ბედი დასაწყისში გაკეთებულმა ბრეიკმა გადაწყვიტა. როჯერს არ გამოსდიოდა ბადესთან თამაში და საერთოდ ვერ აჩვენებდა ხარისხიან თამაშს. სამაგიეროდ, შვეიცარიელმა მოუმატა მეორე სეტში, მაყურებელს რამდენიმე ლამაზი გათამაშება აჩუქა და 4:0 დაწინაურდა. მიუხედავად ამისა, ფედერერმა ტრადიციული ჩავარდნა ვერ აიცილა - ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია 4:1-ზე და კიდევ ერთი 5:2-ზე. როჯერმა არ დაუშვა უფრო სერიოზული ჩავარდნა, რომელსაც ადგილი ჰქონდა შარშან მონრეალის მასტერსზე, როცა ცონგამ გადამწყვეტი სეტი 1:5-დან მოიგო. მაგრამ ამჯერად, ფედერერმა გადამწყვეტ გათამაშებებში უშეცდომოდ ითამაშა და 6:4, 6:2 მოიგო.

მოულოდნელი ტრილერი გათამაშდა **რაფაელ ნადალის** მატჩში. როგორც ალმოჩნდა, შემთხვევითი არ ყოფილა წინა წრეში **პაოლო ლორენცის** გამარჯვება მადრიდის მასტერსის ერთ-ერთ გმირზე **ტომაშ ბელუჩიზე**. იტალიელმა თავიდანვე მიანიშნა მსოფლიოს პირველ ჩოგანს, რომ იოლი გასეირნება არ ექნებოდა. პაოლო თავის მოწოდებაზე მუდმივად გადიოდა ბადესთან და იქ წარმატებით მოქმედებდა. ნადალმა ვერაფრით დაიჭირა საკუთარი რითმი და 4:2 დაწინაურებულმა საკუთარი მოწოდება წააგო. ტაი-ბრეიკზე რაფაელი ისევ წინ იყო, მაგრამ ამჯერადაც ვერ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. 5:6-ზე ესპანელი „სმეშის" შესრულებისას შეცდა და სეტი დათმო.

ერთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ლორენცი ასეთ კონცენტრაციას ბოლომდე ვერ შეინარჩუნებდა. მან 0:2-დან ანგარიშის გათანაბრება შეძლო, გადაარჩინა უმძიმესი მეშვიდე გეიმი, მაგრამ ბოლოს დაღლილობამ იჩინა თავი. პუბლიკამ ლორენცის გამხნევება სცადა, მაგრამ მესამე პარტია სრულ ფორმალობად იქცა - 6:7, 6:4, 6:0.

მიმოხილვის ბოლოს ერთი ინტრიგის შესახებ - სტატისტიკოსებმა გამოითვალეს, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩს უკვე რომის მასტერსის შემდეგ შეუძლია კარიერაში პირველად მსოფლიოს პირველი ჩოგანის სტატუსის მოპოვება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ სერბი მოიგებს ამ ტურნირს, ხოლო ნადალი ნახევარფინალამდე ვერ მიაღწევს...

■ ■ ■

ქალთა ტურნირის მეორე წრის მატჩებიდან უნდა გამოვყოთ **ანა ივანოვიჩის** მორიგი მარცხი. სერბმა წააგო და ვერ შეძლო მერვედფინალში გასვლა. მისი მატჩი იანინა ვიკმაიერთან კარგად დაიწყო - ანამ პირველი სეტი 6:2 მოიგო, მაგრამ ბელგიელმა მოუმატა და ტაი-ბრეიკზე გადაარჩინა მეორე სეტი, მესამეში კი ივანოვიჩმა ბევრი უხეში შეცდომა დაუშვა და წააგო - 6:2, 6:7(4), 3:6. მოულოდნელ წარმატებებს მიაღწიეს კვალიფიკაციის გამარჯვებულებმა. **ანაბელ მედინა-გარიგესმა მარიონ ბარტოლის** სძლია, **პოლონა ჰერცოგმა** კი **ანდრეა პეტკოვიჩი** გაანბილა.

**ATP**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 227 500 ევრო

**II წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 6:0, 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც)**-ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ) 6:4, 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ)**-პაოლო ლორენცი (იტა) 6:7, 6:4, 6:0; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) 6:4, 3:6, 6:3; **მარდი ფიში (აშშ)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ) 7:6, 5:7, 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-ჟილ სიმონი (საფ) 6:4, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ)**-სემ კუერი (აშშ) 6:3, 7:6; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:1, 3:6, 6:2.

**WTA**

**Internazionali BNL d'Italia**

რომი (იტალია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 2 050 000 დოლარი

**II წრე**

**კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:2, 6:0; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 3)**-სარა ერანი (იტა) 6:1, 6:2; **ნა ლი (ჩინ, 4)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:4, 6:2; **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ) 6:0, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:1, 7:5; **ელენა ვესნინა (რუს)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 8) 3:6, 6:2, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-მარიონ ბარტოლი (საფ, 9) 6:4, 6:3; **შაარ პეერი (ისრ, 10)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:3, 7:5; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 12) 6:4, 6:3; **იანინა ვიკმაიერი (ბელ)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 13) 2:6, 7:6(4), 6:3; **ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს, 16)** ვერა დუშევინა (რუს) 7:5, 6:4; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:2, 6:4; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ)**-რომინა ოპრანდი (იტა) 7:5, 6:1; **გრეტა არნი (უნგ)**-ალბერტა ბრიანტი (იტა) 6:4, 6:4.

# შეწყვიტა თუ დაამთავრა?


დინარა საფინა

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, რუსმა **დინარა საფინამ** სპორტული კარიერის შეწყვეტის შესახებ ამცნო საზოგადოებას. ჩოგბურთელმა განაცხადა, რომ არ იცის რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პაუზა. დინარას აღარ სურს დატანჯოს არც საკუთარი თავი და არც ორგანიზმი.

საფინას 2009 წლის შემოდგომიდან აწუხებს ზურგის არეში ტკივილები. ტრავმის გამო მან 2010 წელს ბევრი ტურნირი გამოტოვა, ხოლო რომელშიც მონაწილეობა მიიღო, ძირითადად, ნაადრევი ეტაპიდან გამოეთიშა ბრძოლას.

რუსი სპორტსმენის სიტყვებით, 2011 წლის სეზონში დასაწყისში ტრავმა აღარ აწუხებდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო. *„თითქოს უკეთ თამაშს იწყებ, მაგრამ მეორე დღეს განძრევაც კი გიჭირს"*, - აღნიშნა ჩოგბურთელმა.

დინარა ამბობს, რომ მოჰბეზრდა ბრძოლა და უახლოეს პერიოდში ჩოგბურთთან დაკავშირებულ არანაირ საქმეს არ გაეკარება. უფრო მეტიც, საფინას არ აინტერესებს, რამდენ ხანს გაგრძელდება მის კარიერაში ეს იძულებითი პაუზა.

საფინა 2009 წელს ცოტა ხნით გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. „დიდი სლემის" ტურნირებზე მისი ყველაზე დიდი წარმატება 2008 წელს როლან გაროსის ფინალში გასვლა იყო, სადაც სერბ **ანა ივანოვიჩთან** დამარცხდა. ამჟამად რუსი 68-ე ადგილს იკავებს WTA-ის კლასიფიკაციაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევრო 2011

**UNDER 17. 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-ინგლისი | 1:0 |
| დანია-გერმანია | 0:2 |

### ინგლისი

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ნოტინგემი-სუონსი | 0:0 |

### ესპანეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ხირონა-ხერესი | 4:2 |
| გრანადა-უესკა | 2:0 |
| ვილიარეალი B-ალკორკონი | 1:4 |
| ლას პალმასი-კარტახენა | 2:0 |
| ვალეკანო-ელჩე | 1:2 |
| სალამანკა-სელტა | 1:1 |

### ბელგია

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ლომელი-მონსი | 1:5 |
| ვაასლანდი-ეუპენი | 4:2 |

### პორტუგალია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჟილ ვისენტე-პენაფიელი | 4:1 |

### ნორვეგიის თასი

**II ეტაპი**

| | |
|---|---|
| ასკერი-ორნ ჰორტენი | 4:2 |
| ფილინგენი-სიოგნდალი | 0:2 |
| ჰამ კამი-ბიასენი | 1:3 |
| კრისტიანსუნდი-ჰიოდი | 0:2 |
| სკეიდი-კონგსვინგერი | 3:4 |
| სტაალი-ვიკინგი | 0:3 |

### შვედეთის თასი

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| ლიმჰამნი-გიოტებორგი | 2:6 |
| ბრომაპიოკარნა-გეფლე | 3:1 |
| ვარნამო-ელფსბორგი | 0:1 |
| ლანდსკრონა-ჰელსინგბ. | 1:1 დ.დ. 2:4 |
| სუნდსვალი-გაის | 2:2 დ.დ. 2:3 |
| ტროლჰატანი-ტრელებორგი | 1:2 |
| ნორტალიე-ნორჩოპინგი | 3:4 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| ჰიკ-ინტერი | 1:0 |
| კუოპიო-ვაასა | 2:1 |
| მიუპა-ჰონკა | 0:1 |
| როვანიემი-იუვიასკიულა | 1:2 |
| ტურკუ-იარო | 1:3 |

### შვეიცარია

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| დელემონი-კიასო | 3:0 |

### საბერძნეთი

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი (3)-პაოკ | 1:2 |
| პანათინაიკოსი-აეკ | 1:1 |

### რუმინეთის თასი

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| დინამო-გლორია | 5:1 |

### [illegible]

| | |
|---|---|
| ამერიკა-მილიონარიოსი | 1:1 |

### პერუ

| | |
|---|---|
| ინტი გასი-უნივერსიტარიო | 0:0 |

### ახალგაზრდული მატჩები

**Under 18**

| | |
|---|---|
| შვეიცარია-საფრანგეთი | 0:0 |

**Under 19**

| | |
|---|---|
| დანია-შოტლანდია | 1:0 |

## კალათბურთი

### ესპანეთი

| | |
|---|---|
| რეალი-სევილია | 78:59 |

### ისრაელი

| | |
|---|---|
| ჰალილი-ჰაპოელი (ჰ) | 89:73 |
| ბგეი ჰაშარონი-მაკაბი (რ) | 75:82 |
| მაკაბი (თ-ა)-ნეთანია | 92:78 |

### იტალია

| | |
|---|---|
| აველინო-სკავოლინი | 89:76 |
| ბენეტონი-კანტუ | 88:84 |
| ბიელა-ბრინდიზი | 74:72 |
| ვარეზე-მონტეგრანარო | 82:73 |
| მილანი-ვანოლი | 92:74 |
| რომა-ბოლონია | 80:69 |
| სასარი-მონტეპასკი | 83:81 |
| ტერამო-კაზერტა | 88:77 |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სპარტაკი | 69:70 |

### თურქეთი

| | |
|---|---|
| ბანვითი-ოლინი | 84:87 (ო) |
| გალათასარაი-ბეშიქთაში | 94:90 (ო) |

## ჰოკეი

### მს. ჩემპიონატი

**1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ფინეთი-ნორვეგია | 4:1 |
| კანადა-რუსეთი | 1:2 |

## ჩოგბურთი

### ATP. რომი

| | |
|---|---|
| **ნადალი**-ფ. ლოპესი | 6:4, 6:2 |
| **ფ. მაიერი**-ჩელა | 7:5, 6:4 |
| ფიში-**ჩილიჩი** | 6:7, 3:6 |
| **ბერდიხი**-ნიემინენი | 6:2, 6:7, 6:2 |
| ფედერერი-**გასკე** | 6:4, 6:7, 6:7 |
| **მიურეი**-სტარაჩე | 6:2, 6:3 |
| **სიოდერლინგი**-ალმაგრო | 6:3, 3:6, 6:4 |
| ვავრინკა-**ჯოკოვიჩი** | 4:6, 1:6 |

### WTA. რომი

| | |
|---|---|
| **სტოსური**-ჰერცოგი | 6:3, 6:4 |
| ვესნინა-**არნი** | 6:3, 6:7, 6:7 |
| გაიდოშოვა-**ნა ლი** | 2:6, 1:6 |
| მ. გარიგესი-**იანკოვიჩი** | 4:6, 6:2, 2:6 |
| ჰანტუხოვა-**სკიავონე** | 6:3, 2:6, 5:7 |
| შარაპოვა-პეერი | 6:2, 6:2 |
| **ვოზნიაცკი**-ვიკმაიერი | 6:1, 7:6 |

TV პროგრამა

**13 მაისი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:00** იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კიევო.
**14:00** ინგლისი ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ტოტენჰემი.
**16:00** იტალიის ჩემპიონატი. უდინეზე-ლაციო.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-მარსელი.
**21:00** ინგლისი ჩემპიონატი. ფულჰემი-ლივერპული.
**23:00** რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. კლერმონი-ბეარიცი (LIVE).
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი.
**11:35** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ატლანტა-ჩიკაგო. VI მატჩი
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". 1/2 ფინალი. პანათინაიკოსი-მონტეპასკი. ბარსელონა. ესპანეთი.
**21:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**23:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ატლანტა-ჩიკაგო. VI მატჩი
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მემფისი-ოკლაჰომა. VI მატჩი (LIVE).

**HTB-პლუსი (სპორტი)**

**22:55** რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. უორინგთონი-კასტლფორდი (LIVE).

**HTB-პლუსი (ონლაინი)**

**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

**HTB-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**17:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**23:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

**HTB-პლუსი (კალათბურთი)**

**18:45** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-ხიმკი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** რალი. IRC. კორსიკის ტური. III დღე. საფრანგეთი (LIVE).
**12:00** მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. VI დღე. როტერდამი. ჰოლანდია (LIVE).
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
**16:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. VII ეტაპი. იტალია (LIVE).
**21:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**14:00** რალი. IRC. კორსიკის ტური. III დღე. საფრანგეთი (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).

ჩოგბურთი

# ანა სახლს ყიდის

მსოფლიოს ყოფილი მერვე ჩოგანი, 29 წლის რუსი **ანა კურნიკოვა** მაიამიში საკუთარ სახლს ყიდის.

ფეშენებელური კომპლექსი შვიდი საძინებლით, რვა სააბაზანოთი, აუზით, სტუმრებისთვის ორსართულიანი სახლითა და იახტების დასაყენებელი ყურით 616 კვადრატულ მეტრზეა გადაჭიმული. მისი ღირებულება 9,4 მილიონ დოლარს შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# მაიამი უფრო ძლიერია

„მაიამი“ მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა „ბოსტონთან“, მაგრამ ბოლოსკენ იპოვა ძალები 16:0 გაქცევისთვის. ეს გარღვევა **ლებრონ ჯეიმსის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით გახდა შესაძლებელი.

„ლეიკერსის“ შემდეგ პლეი ოფს კიდევ ერთი ლეგენდარული გუნდი გამოაკლდა, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში აღწევდა ფინალს. რა თქმა უნდა, კალიფორნიელებისგან განსხვავებით „ბოსტონი“ მთლად უიმედოდ არ გამოიყურებოდა, მაგრამ ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ეტაპზე „მაიამი“ ობიექტურად ძლიერი იყო თავის მეტოქეზე. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ 2004 წლის შემდეგ პირველად „სელტიქსმა“ სერიაში ვერ შეძლო 100 ან მეტი ქულის დაგროვება.

რაც შეეხება გუშინდელი მატჩის სცენარს, ის „ბოსტონისთვის“ ერთგვარად გულდასაწყვეტი იყო. სტუმრები სამმეოთხედნახევარი კარნახობდნენ მეტოქეს საკუთარ პირობებს. პირველ რიგში, ეს დაცვაში კარგი თამაშისა და რეზერვისტების უნარიანი მოქმედების ხარჯზე ხდებოდა. **რეი ალენის** სამქულიანებსა და **კევინ გარნეტის** აქტიურობას თუ არ ჩავთვლით, „ბოსტონის“ მხრიდან შეტევაში რომელიმე კალათბურთელის გამოყოფა შეუძლებელია. **პირსი** და **რონდო** მხოლოდ საკუთარი თავის აჩრდილები იყვნენ და სერიის ანტირეკორდები დაამყარეს - პირსმა დაგროვილი ქულებითა (12) და მოხსნებით (3), რონდომ - შედეგიანი გადაცემებით (3).

საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 28 წამით ადრე **ნენად კრსტიჩის** ზუსტი ტყორცნის შემდეგ „მწვანეები“ ექვსი ქულით დაწინაურდნენ - 87:81. სწორედ იმ მომენტში სტატისტიკურმა სამსახურმა ტელემაყურებლებს საინტერესო ფაქტი მოგვაწოდა - „ბოსტონმა“ მოიგო მიმდინარე პლეი ოფის ხუთივე მატჩი მაშინ, როცა მეტოქეზე უკეთესი ტყორცნების რეალიზაცია ჰქონდა (იმ მომენტისთვის სხვაობა კოლოსალური იყო - 53.2 42.6-ის წინააღმდეგ).

მაგრამ, როცა ერთი გუნდის რიგებში თამაშობენ **უეიდი, ჯეიმსი** და **ბოში,** ექვსქულიანი ჩამორჩენა თუნდაც „ბოსტონის“ წინააღმდეგ, ბევრს არაფერს ნიშნავს. მით უმეტეს, თუ მეტოქეს პოზიციური შეტევისას არაფერი გამოსდის. საფინალო სირენამდე დარჩენილ დროში „სელტიქსმა“ თამაშიდან ვერც ერთი ბურთი ველარ ჩააგდო, ხუთჯერ ააცილა კალათს, სამი შეცდომა დაუშვა და შესაბამისად, „ჰიტის“ 16:0 გაქცევა მიიღო.

დუეინ უეიდის სტატისტიკა ცალკე აღნიშვნის ღირსია - 34 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი და 4 დაფარება, მაგრამ მატჩის გმირი ლებრონ ჯეიმსი გახდა. თავიდან მან ორი ბრწყინვალე პასით **ჯონსსა** და კრის ბოშს ჩააგდებინა, შემდეგ პირსის აქტიური მეურვეობის მიუხედავად ორი სამქულიანი ჩააგდო, სოლო გამოსვლა კი თავისივე ჩაჭრის შემდეგ ეფექტური ჩატენვით (ფოტოზე) და საშუალო მანძილიდან ზუსტი სროლით დაამთავრა - 97:87.

**აღმოსავლეთი**

**მაიამი-ბოსტონი 97:87**

**16:24, 31:25, 24:24, 26:14**

**მ**: უეიდი (34+10 მოხსნა+5 პასი+4 ჩაჭრა), ჯეიმსი (33+7 მოხსნა+4 პასი), ბოში (14+11 მოხსნა), ჰოვარდი (5), ბიბი (3), ჯონსი (3), მილერი (2), ჩელმერსი (2), ენტონი (1+6 მოხსნა).

**ბ**: ალენი (18), გარნეტი (15+11 მოხსნა+3 პასი), პირსი (12+4 პასი), უესტი (10), გრინი (9), კრსტიჩი (8+2 დაფარება), რონდო (6+3 პასი), დევისი (6), ჯ. ო'ნილი (3 + 2 დაფარება).

**სერია: 4-1**

■ ■ ■

სერიის მეხუთე მატჩში „ოკლაჰომასიტი“ ბრწყინვალე სტილში გაუსწორდა „მემფისს“ და ამ სერიაში პირველად დაწინაურდა.

შეგახსენებთ, რომ წინა მატჩში „ოკლაჰომამ“ სამი ოვერტაიმის შემდეგ დაამარცხა მეტოქე. 1993 წლიდან მოყოლებული კიდევ სამმა გუნდმა შეძლო სამ დამატებით დროში შეხვედრის მოგება: „ფინიქსმა“ 1993 წელს („ჩიკაგოს“ წინააღმდეგ), „ნიუ ჯერსიმ“ 2004 წელს („დეტროიტის“ წინააღმდეგ) და „ჩიკაგომ“ 2009 წელს („ბოსტონის“ წინააღმდეგ). ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ასეთ თრილერში გამარჯვებული აუცილებლად მარცხდებოდა შემდეგ შეხვედრაში და უფრო მეტიც - მთლიანად სერიაში. გუშინ ეს ტრადიცია დაირღვა - „თანდერმა“ მეხუთე მატჩში გაანადგურა „მემფისი“ და სერიის მოგების ძალიან კარგი შანსი მიიღო.

მესამე და მეოთხე მატჩებში **სკოტ ბრუქსის** შეგირდებს ერთი სენი შეეყარათ - ვერ ინარჩუნებდნენ მოპოვებულ უპირატესობას. თავიდან ქარს გაატანეს 16-ქულიანი სხვაობა და ოვერტაიმში დამარცხდნენ, შემდეგ კი ბოლო მეოთხედში 10-ქულიანი უპირატესობა გაფლანგეს და ამას მოჰყვა სწორედ ის სამი ოვერტაიმი და ნერვების წყვეტა.

ამჯერად ასეთი რამ არ მომხდარა. მატჩის ბედი საფინალო სირენამდე კარგა ხნით ადრე გადაწყდა და მეოთხე მეოთხედმა, უბრალოდ, ფორმალური ხასიათი მიიღო. მასპინძელთა გუნდი არ დაალალატეს რეზერვისტებმა - **ნიკ კოლისონმა, დეშუან კუკმა, ნაზრ მოჰამედმა** და **ჯეიმს ჰარდენმა**. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ეფექტური იყო - მისმა სარგებლიანობის კოეფიციენტმა „+29“ შეადგინა.

ბუნებრივია, წინა სამოვერტაიმიანმა მარათონმა ორივე გუნდის კალათბურთელებს უამრავი ძალა წაართვა და წესით, ეს აუცილებლად უნდა დატყობოდა გუშინდელი მატჩის მონაწილეებს. „ოკლაჰომა“ ახალგაზრდული გუნდია და ძალები მალე აღიდგინა, რასაც ვერ ვიტყვით „მემფისზე“, კერძოდ კი მის ლიდერ **ზაკ რენდოლფზე**. ის ყველაზე დაღლილი ჩანდა და მეორე ტაიმში ძლივს დარბოდა მოედანზე. მატჩის ბოლოს მის ანგარიშზე მოკრძალებული 9 ქულა და 7 მოხსნა მოდიოდა - ლიდერის ასეთი თამაშით „მემფისს“ მოგება არ ეწერა. არადა, რენდოლფი ამ სერიის წინა მატჩებში საშუალოდ 26 ქულასა და 14 მოხსნას აგროვებდა.

წინ სერიის მეექვსე მატჩია, რომელიც „მემფისის“ მოედანზე გაიმართება. საინტერესოა, ეყოფა თუ არა ძალა და მონდომება მასპინელთა გუნდს სერიის მეშვიდე შეხვედრამდე მისაყვანად.

**დასავლეთი**

**ოკლაჰომა-მემფისი 99:72**

**17:17, 29:18, 25:17, 28:20**

**ო**: დურანტი (19+7 მოხსნა+2 დაფარება), კუკი (18), უესტბრუკი (11+6 პასი), მოჰამედი (10+6 მოხსნა), იბაკა (9+3 დაფარება), კოლისონი (9+10 მოხსნა), ჰარდენი (9+6 მოხსნა+5 პასი), პერკინსი (5), ივეი (3), რობინსონი (3), სეფოლოშა (2+6 მოხსნა), მეინორი (1+9 პასი).

**მ**: მ. გასოლი (15+5 მოხსნა+3 ჩაჭრა+2 დაფარება), რენდოლფი (9+7 მოხსნა), კონლი (9+5 მოხსნა+4 პასი), არტური (9), ალენი (8), ვასკესი (6+3 პასი), მაიო (5+4 პასი), იანგი (4), ჰადადი (4+2 დაფარება), პოუ (3).

**სერია: 3-2**

გია **თვალაბეიშვილი**

